178
1962/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

178/2

საბჭოთა საქართველო

8

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1962 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 1

იანვარი—თებერვალი

1962 წელი

გამოცემის IX წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო

ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

მოწინავე — უდიდესი მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტები 3

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები 10

კანონი საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ 36

დებულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიების შესახებ 41

დებულება ამხანაგური სასამართლოების შესახებ 49

ოფიციალური მასალა 56

ვ. შანიძე—ზოგიერთი შენიშვნა სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის ახალი წესების შესახებ 67

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

თ. მოდებაძე — სასამართლო წესით ზოგიერთი ფაქტის დადგენის შესახებ . 72

ინფორმაცია 75

ნარკვევი

შ. ესიტაშვილი — ლიახვის ტალღების საიდუმლო 80

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია 88

არბიტრაჟის პრაქტიკა 91

ბიბლიოგრაფიული საძიებელი 94

8245

ქ. თბილისის სახ. საჯ. საბჭოთა * ... * ... * ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Передовая — Важнейшие законодательные акты 3

Основы гражданского законодательства Союза ССР и Союзных республик 10

Закон о порядке отзыва судей и народных заседателей судов Грузинской ССР 36

Положение о коллегиях адвокатов Грузинской Советской Социалистической Республики 41

Положение о товарищеских судах 49

Официальные материалы 56

В. Шанидзе — Некоторые замечания о новых правилах определения тяжести телесных повреждений 67

ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ.

Т. Модебадзе — Об установлении некоторых фактов в судебном порядке 72

Информация 75

ОЧЕРК

Ш. Еситашвили — Тайна волн Лиахви 80

Критика и библиография 88

Практика арбитража 91

Библиографический указатель 94

შეკ. № 295
ტირაჟი 6.900
უე 03201.

საredაქციო კოლეგია
მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბერათაშვილი,
პ. ბერძენიშვილი, მ. ვეფხვაძე, გ. ინწკირველი,
ო. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე),
ე. ტაკიძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09 62

გადაეცა წარმოებას 6/II-62 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IV-62 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი,“
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტები

საქართველოს სსრ მეხუთე შოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ, 1961 წლის 26—27 დეკემბერს განიხილა საკითხები, რომელთაც ჩვენი რესპუბლიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

სესიამ განიხილა და მოიწონა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმა, დაამტკიცა საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, მიიღო კანონები საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ და საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ, დაამტკიცა დებულება საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სესიათა შორის მიღებული ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმა შედგენილია შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების შესაბამისად და სავსებით უპასუხებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით დასახულ ამოცანებს.

სახალხო მეურნეობის 1962 წლის გეგმა ითვალისწინებს რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობის გადიდებას 7,4 პროცენტით, მათ შორის სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში — 8 პროცენტით, ამასთან ყველაზე მეტი ზრდა გათვალისწინებულია წარმოების საშუალებათა მწარმოებელ დარგებში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მანქანათმშენებელი და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1962 წელს გაიზრდება 25 პროცენტით, ამასთან ელექტროტექნიკურ მრეწველობაში პროდუქციის მატება გეგმით გათვალისწინებულია 28 პროცენტით, ხოლო ხელსაწყოთმშენებლობაში — 36.7 პროცენტით. განსაკუთრებით დიდი ზრდა — 40 პროცენტით — ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების შედეგად მიღწეული იქნება ქიმიურ მრეწველობაში, ელექტრომანქანების გამოშვება კი თითქმის ერთიორად გადიდდება.

მნიშვნელოვნად გადიდდება სამაგისტრალო რვაღერძიანი ელმავლების, და ავტომანქანების გამოშვება, ელექტროენერგიის გამომუშავება, სამშენებლო მასალების, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საქონლის წარმოება.

სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის დიდ აღმავლობას, რის შედეგად სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს: 180 ათასი ტონა მარცვლეული, რაც თითქმის სამჯერ აღემატება

ეროვნული ბიბლიოთეკა

1961 წლის ფაქტიური დამზადების დონეს, 155 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 36 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, 190 ათასი ტონა ყურძენი, 100 ათასი ტონა ხილი, 16 ათასი ტონა თამბაქო, მათ შორის 2000 ტონა საექსპორტო კონდიციისა, 90 ათასი ტონა ბოსტნეული, 55 ათასი ტონა ხორცი (ცოცხალი წონით), 152 ათასი ტონა რძე, 78 მილიონი ცალი კვერცხი, 4800 ტონა მატყლი, 4200 ტონა აბრეშუმის პარკი და სხვა.

დიდი ყურადღება ეთმობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას. 1962 წლის გეგმით სახელმწიფო კაპიტალ-დაბანდებათა მოცულობა სოფლის მეურნეობაში 1961 წელთან შედარებით 33,3 პროცენტით გადიდდება და 56,4 მილიონ მანეთს მიაღწევს. სახალხო-სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს მარტო საბჭოთა მეურნეობებში 1970 ჰექტარი ვენახების, 575 ჰექტარი ჩაის პლანტაციების, 800 ჰექტარი ბაღების და 150 ჰექტარი ციტრუსოვანი ხეხილის პლანტაციების გაშენებას.

გეგმა დიდ ყურადღებას აქცევს საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოებს. წყალსამეურნეო სამუშაოთა განხორციელებისათვის 1962 წლისათვის გამოყოფილია 10 მილიონ 408 ათასი მანეთი. 1962 წელს უნდა დამთავრდეს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა. 3 მილიონი მანეთი უნდა დაიხარჯოს სიონის წყალსაცავის მშენებლობაზე, რაც მოგვცემს საშუალებას უკვე 1963 წლიდან შევუდგეთ მდინარე იორზე დიდი წყალსაცავის შექმნას. გაგრძელდება თელეთის მექანიკური საირიგაციო სისტემის მშენებლობა. სარწყავი მიწების ფართობი გაიზრდება 6400 ჰექტარით. ამოშრობილი მიწების ფართობი გადიდდება 2000 ჰექტარით, ხოლო წყლით უზრუნველყოფილი საძოვრებისა — 31 ჰექტარით.

კიდევ უფრო ამაღლდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მექანიზაცია, 1962 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ 1850 ტრაქტორს, 100 მარცვლეულის კომბაინს, 100 სიმინდის კომბაინს, ბევრ სატვირთო მანქანას და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

კაპიტალური დაბანდებანი 1962 წელში შეადგენენ 308 მილიონ მანეთზე მეტს, ხოლო სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები 186 მილიონ მანეთზე მეტს.

დიდი ყურადღება ეთმობა საბინაო მშენებლობას. 1962 წელში რესპუბლიკის ქალაქებსა და მუშათა დაბებში, მარტო სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხაზით საექსპლოატაციოდ გადაეცემა 473 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობი, ანუ 9560 კეთილმოწყობილი ბინა. გარდა ამისა გათვალისწინებულია 276 ათასი კვ. მეტრი ფართობის აშენება კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხაზით, რასაც მუშა-მოსამსახურენი საკუთარი სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ახორციელებენ.

სახალხო მეურნეობის 1962 წლის გეგმა ითვალისწინებს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შემდგომ აღმავლობასა და გაუმჯობესებას, სახალხო განათლების, კულტურის და ჯანმრთელობის დაცვის ქსელის მნიშვნელოვან გაფართოებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და წარმოების ხარჯების შემცირებას.

სკკპ ახალ პროგრამაში ნათქვამია, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს სამეურნეო ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომ სრულყოფას და არსებული მატერიალური, შრომითი და ფინანსიური რესურსების რაციონალურად და ეფექტიურად გამოყენებას, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსებს, განსაკუთრებით სახელმწიფო ბიუჯეტს „გაშლილი კომუნისტური მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, — ნათქვამია პარტიის პროგრამაში, — დიდმნიშვნელოვან როლს ინარჩუნებს სახელმწიფო ბიუჯეტი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის განაწილების საქმეში“.

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ რესპუბლიკის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა: შემოსავლის ნაწილში 749.894 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 749.894 ათასი მანეთის ოდენობით და ამის გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1963 წლის 1 იანვრისათვის 22.497 ათასი მანეთის ოდენობით.

უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან გათვალისწინებული შემოსავალი 1962 წლის ბიუჯეტში შეადგენს 673.792 ათას მანეთს, ანუ მთელი შემოსავლის ცხრა მეათედს. მოსახლეობის გადასახადების ხვედრითი წონა ბიუჯეტის შემოსავალში მეტად მცირეა, იგი მხოლოდ 50.626 ათას მანეთს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის შეადგენს 304.709 ათას მანეთს. ასიგნობანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის, საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის 1962 წლის ბიუჯეტში შეადგენენ 400.535 ათას მანეთს. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შენახვისათვის დაიხარჯება მხოლოდ 16.508 ათასი მანეთი. 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ასეთი განაწილება ნათლად მეტყველებს მასზე, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტის მთავარ მიზანდასახულობას შეადგენს მშრომელთა ფართო მასების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

საქართველოს სსრ 1962 წლის ბიუჯეტი საკმაოდ ითვალისწინებს რესპუბლიკაში შემავალ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მოთხოვნილებებს და მათი შემდგომი განვითარებისა და აღმავლობის პერსპექტივებს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში დღემდე არ იყო კანონი საბიუჯეტო უფლებების შესახებ. მოქმედებდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ჯერ კიდევ 1926 წლის 25 აპრილს დამტკიცებული დებულება ადგილობრივი ფინანსების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად მოძველდა და ვეღარ უპასუხებდა დღევანდელ პირობებს. ამიტომ უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებების შესახებ მიღებულ კანონს დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ კანონის მიღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რესპუბლიკის სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საბიუჯეტო საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

კანონს საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გაწვევის შესახებ, რომელიც მიიღო საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ და ამავე სესიის მიერ დამტკიცებულ დებულებას საქართველოს ადვოკატთა კოლეგიების შესახებ, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ისტორიული ყრილობის მიერ.

ჩვენი ეპოქის კომუნისტური მანიფესტის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის მიერ დასახულია ამოცანა „უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი“.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდ როლს ასრულებს საბჭოთა ადვოკატურა.

კაპიტალისტური ქვეყნებიდან განსხვავებით, სადაც ადვოკატთა რიგებში უმთავრესად თავმოყრილია ექსპლოატატორთა კლასების წარმომადგენლები და რომლის მთელი საქმიანობა მიმართულია ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად, საბჭოთა ადვოკატურა მოწოდებულია დაიცვას სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები და მშრომელთა კანონიერი უფლებები, მისი დანიშნულებაა მტკიცედ ემსახუროს საბჭოთა მართლმსაჯულების საქმეს.

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების მე-13 მუხლის შესაბამისად წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში დაცვის განხორციელების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სხვა იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები.

უკანასკნელ დრომდე მოქმედი ადვოკატურის დებულება დამტკიცებული იყო ჯერ კიდევ 1939 წელს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. ბუნებრივია, რომ ოცდაორი წლის წინად დამტკიცებული დებულება მნიშვნელოვნად მოძველდა და ვეღარ უპასუხებდა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა ადვოკატურის წინაშე მდგომ ამოცანებს.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ადვოკატურას ჩანს იქიდან, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ — 1958 წლის 25 დეკემბერს დამტკიცებული სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მე-13 მუხლის თანახმად ადვოკატთა კოლეგიების დებულების დამტკიცების უფლება მიკუთვნებული აქვს არა სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკურ ორგანოს, არამედ მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს — უმაღლეს საბჭოს. ადვოკატთა კოლეგიების დებულების უმაღლესი საბჭოს მიერ განხილვისა და დამტკიცების ფაქტი კიდევ უფრო მაღლა სწევს საბჭოთა ადვოკატურის ავტორიტეტს და აუცილებლად ხელს უწყობს ადვოკატთა ნაყოფიერ მონაწილეობას საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

ადვოკატთა კოლეგიების დებულების პროექტი დამუშავებულია კომუნის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტური პარტიის მეოცე და შემდგომი ყრილობების მითითებათა შესაბამისად პიროვნების თავისუფლებისა და საბჭოთა მოქალაქეების უფლებების ყოველ ღონისძიებით განვითარების შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში ბრალდებულის უფლება დაცვაზე კონსტიტუციით აღიარებული პრინციპია. საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაფართოვდა მოქალაქეთა უფლება დაცვაზე, გაიზარდა ადვოკატურის როლი და პასუხისმგებლობა სოციალისტური კანონიერებისა და მართლმსაჯულების შემდგომი განმტკიცების საქმეში. ის გარემოება, რომ ადვოკატს შეუძლია განახორციელოს დაცვის უფლება არა მარტო სასამართლოში, არამედ წინასწარი გამოძიების დროსაც ნათლად მეტყველებს საბჭოთა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების შემდგომ დემოკრატიზაციაზე.

ბრალდებულის უფლებებისა და ინტერესების კანონიერი დაცვა წარმოადგენს ადვოკატის მოვალეობას, მაგრამ ადვოკატი არაა ვალდებული დაიცვას ბრალდებულის ისეთი მოთხოვნა, რომელიც კანონის საწინააღმდეგოა. ამ დებულებიდან გამომდინარე ადვოკატურის დებულებაში ჩაწერილია, რომ ადვოკატი მოვალეა მტკიცედ დაიცვას საბჭოთა კანონები, კეთილსინდისიერად გაუწიოს იურიდიული დახმარება მოქალაქეებს, გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა დაიცვას მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ადვოკატთა კოლეგიების დებულების მეოთხე მუხლში აღნიშნულია, რომ ადვოკატთა კოლეგიები მთელი თავისი საქმიანობით მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და ორგანიზაციათა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას, სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას, მართლმსაჯულების განხორციელებას და საბჭოთა კანონების პროპაგანდას.

დებულების პროექტის მეათე მუხლით დაწესებულია, რომ ადვოკატთა კოლეგიის წევრად არ შეიძლება მიღებულ იქნას ის პირი, რომელსაც აქვს ნასამართლობა, მიცემული არის სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან სამართალში, ან ვერ უპასუხებს თავისი მორალური მონაცემებით საბჭოთა ადვოკატის წოდებას. ადვოკატისადმი ასეთი მოთხოვნების წაყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადვოკატთა რიგების სიწმინდისათვის.

დებულებით გათვალისწინებულია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები და მათ მიმართ დისციპლინურ საქმეთა განხილვის წესები, რაც ეჭვს გარეშეა აამაღლებს ადვოკატთა პასუხისმგებლობას და განამტკიცებს მათ შორის დისციპლინას. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულების პროექტში გათვალისწინებულია ვ. ი. ლენინის მითითებანი ადვოკატურის ორგანიზაციის შესახებ. მასში სწორი გადაწყვეტილება ჰპოვეს ყველა იმ საკითხებმა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადვოკატთა წინაშე მდგომ ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის შესაძლებლობა დადგენილია კანონით საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ. მოსამართლეთა ვადამდე გაწვევის პრინციპები განმტკიცებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, რომელშიც ხაზგასმულია ის გარემოება, რომ „მართლმსაჯულება სსრ კავშირში ხორციელდება კანონის სრული შესაბამისობით, იგი ემყარება ნამდვილად დემოკრატიულ საფუძვლებს, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობასა და ანგარიშგებას, მათი ვადამდე გაწვევის უფლებას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ დრომდე მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე ადრე გაწვევასთან დაკავშირებული საკითხები საკანონმდებლო წესით მოწესრიგებული არ იყო, თუმცა კანონი ითვალისწინებდა ასეთ შესაძლებლობას პრაქტიკაში. სახალხო მოსამართლის და უმაღლესი სასამართლოს წევრების ვადამდე ადრე გაწვევის საკითხს სწყვეტდა საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, რითაც ცხადია იზღუდებოდა ამომრჩეველთა უფლებები. ამიტომ მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გაწვევის შესახებ კანონს, რომელიც მომზადებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესაბამისად და რომელიც სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გაწვევის უფლებას ანიჭებს მხოლოდ უშუალოდ ამომრჩევლებს, ხოლო უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების, წევრების და მსაჯულების გაწვევის — საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, დიდი სახელმწიფოებრივი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა სასამართლოს წინაშე უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებია დასახული. იგი მთელი თავისი საქმიანობით უნდა ზრდიდეს მოქალაქეებს სამშობლოსა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის. შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების; პატივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. ეს დიდი მოვალეობა, რომ პირნათლად შეასრულოს საბჭოთა სასამართლომ, საჭიროა, მოსამართლე და სახალხო მსაჯული თავისი ცოდნით, გამოცდილებით და საქმისადმი ერთგული, კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით მთლიანად და სავსებით უპასუხებდეს ამ მაღალ დანიშნულებას. მათ უნდა ჰქონდეთ მოსამართლის საპატიო მოვალეობის შესრულების არა მარტო ფორმალური, არამედ მორალური უფლებაც. საბჭოთა მოსამართლე და სახალხო მსაჯული უნდა იმსახურებდნენ ხალხის ნდობას, გრძნობდნენ მაღალ პასუხისმგებლობას თავისი ამომრჩევლების წინაშე, დიდ მოთხოვნილებას უყენებდნენ თავიანთ თავს. უნდა იყვნენ მორალურად წმინდა, თავდაჭერილები და ლენინის პარტიისადმი უანგაროდ ერთგულნი, ყველა საქმეში მაგალითის მიმცემნი.

საბჭოთა ხალხს არ შეუძლია მიანდოს მართლმსაჯულების განხორციელება მათ, ვინც ვერ ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას, არ ასრულებს თავის მოვალეობას, ჩადის დანაშაულს ან სხვა ამორალურ საქციელს, რითაც ჩირქსა სცხებს მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მაღალ წოდებას. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გაწვევის კანონი მთლიანად და სავსებით უპასუხებს საბჭოთა კონსტიტუციისა და ჩვენი ხალხის მაღალ მოთხოვნებს, მასში უდიდესი როლი აქვს მიკუთვნებული საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მშრომელთა კოლექტივებს, რომელთაც ენიჭებათ მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხის დაყენების უფლება.

კანონში მოცემული ნორმები იმის სრულ გარანტიას იძლევიან, რომ მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გაწვევის საკითხი გადაწყვეტილი იქნას სწორად და ობიექტურად.

კანონი მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გაწვევის შესახებ დიდად შეუწყობს ხელს საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განვითარებას და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, აამაღლებს მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა პასუხისმგებლობას ამომრჩევლების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები და სამოქმედოდ შემოღებულ იქნას 1962 წლის 1 მაისიდან.

მუხლი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების წესი და უზრუნველყოს, რომ სსრ კავშირის კანონმდებლობა შეესაბამებოდეს საფუძვლებს.

მუხლი 3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუთანხმონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 8 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები

საბჭოთა კავშირი, რომელმაც სოციალიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვებას მიაღწია, შევიდა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ამ პერიოდის ამოცანებია: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვეს და საზოგადოებისა და მისი ყველა მოქალაქის მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას; სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა თანდათანობითი გარდაქმნა ურთიერთობებად; მოქალაქეთა აღზრდა მაღალი კომუნისტური იდეურობის, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდის ეკონომიკას საფუძვლად უდევს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (საერთო სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ფორმით. საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება თავისი ხასიათით თანდათანობით დაუახლოვდება საერთო სახალხო საკუთრებას, თვით წარმოების საშუალებათა ერთიანი საერთო სახალხო კომუნისტური საკუთრების ჩამოყალიბებამდე.

პირადი საკუთრება გამომდინარეობს სოციალისტური საკუთრებიდან და მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთ-ერთი საშუალებაა. კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე მოქალაქეთა პირადი მოთხოვნილებანი სულ უფრო მეტად დაკმაყოფილდება საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე.

კომუნისტურ მშენებლობაში მთლიანად გამოიყენება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა იმ ახალი შინაარსის შესაბამისად, რომელიც მას აქვს გეგმიან სოციალისტურ მეურნეობაში, და გამოიყენება ეკონომიკის განვითარების ისეთი დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, როგორიც არის სამეურნეო ანგარიში, ფული, ფასი, თვითღირებულება, მოგება, ვაჭრობა, კრედიტი, ფინანსები. კომუნიზმის მშენებლობას საფუძვლად უდევს მოქალაქეთა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციათა მატერიალური დაინტერესებულობის პრინციპი.

საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმიან ხელმძღვანელობას დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებულია საწარმოთა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციათა ოპერატიული და ქონებრივი დამოუკიდებლობისა და ინიციატივის შემდგომი განმტკიცება და განვითარება, მათი უფლებების გაფართოება ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის ჩარჩოებში.

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობას, რომელიც განპირობებულია კომუნისტურ მშენებლობაში სასაქონლო-ფულადი ფორმის გამოყენებით, და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობას.

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა მნიშვნელოვანი საშულებაა კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და სოციალისტურ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა ქონებრივი ურთიერთობისა და უფლებათა დაცვის დარგში.

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტას. იგი ხელს უწყობს მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და სოციალისტური საკუთრების განმტკიცებას და ამ საკუთრების ფორმების განვითარებას ერთიან კომუნისტურ საკუთრებად, საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, მოწოდებათა დროზე და ჯეროვნად შესრულებას, პროდუქციის ხარისხის განუხრელად ამაღლებას, კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებასა და კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობის გადიდებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას, საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას, მოქალაქეთა მატერიალური და კულტურული ინტერესების დაცვას და ამ ინტერესების სწორ შეხამებას მთელი საზოგადოების ინტერესებთან, შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი1. საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობის ამოცანები

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა აწესრიგებს ქონებრივ და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და მოქალაქეთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო კანონმდებლობა აწესრიგებს აგრეთვე სხვა პირად არაქონებრივ ურთიერთობასაც.

საბჭოთა საზოგადოებაში ქონებრივი ურთიერთობის საფუძველია მეურნეობის სოციალისტური სისტემა და წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. სსრ კავშირის სამეურნეო ცხოვრება განისაზღვრება და წარიმართება სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმით.

მუხლი 2. ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებს საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა აწესრიგებს ამ საფუძვლების 1 მუხლში აღნიშნულ ურთიერთობას:

სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის;

მოქალაქეებისას სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

მოქალაქეებისას ურთიერთშორის.

იმ ურთიერთობის მონაწილენი, რომელსაც საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა აწესრიგებს, სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება იყვნენ სხვა ორგანიზაციებიც.

ქონებრივი ურთიერთობის მიმართ, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთი მხარის ადმინისტრაციული დაქვემდებარება მეორე მხარისადმი, აგრეთვე საგადასახადო და საბიუჯეტო ურთიერთობის მიმართ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობა არ გამოიყენება.

საოჯახო, შრომის, მიწის უფლებრივი ურთიერთობა, აგრეთვე ურთიერთობა კოლმეურნეობებში, რომელიც გამომდინარეობს მათი წესდებიდან, მოწესრიგდება შესაბამისად საოჯახო, შრომის, მიწისა და საკოლმეურნეო კანონმდებლობით.

მუხლი 3. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობა

ამ საფუძვლების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსები და სამოქალაქო კანონმდებლობის სხვა აქტები აწესრიგებენ როგორც საფუძვლებით გათვალისწინებულ, ისე მათში გაუთვალისწინებელ ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობას.

სსრ კავშირის სამოქალაქო კანონმდებლობა ამ საფუძვლების შესაბამისად აწესრიგებს ურთიერთობას სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის პროდუქციის მიწოდებისა და კაპიტალური მშენებლობის დარგში, ურთიერთობას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დარგში, რკინიგზის, საზღვაო, საჰაერო, მილსადენი ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და საკრედიტო დაწესებულებათა ურთიერთობას კლიენტურასთან და ერთმანეთს შორის, ურთიერთობას სახელმწიფო დაზღვევის დარგში, ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა აღმოჩენებთან, გამოგონებებთან და რაციონალიზატორულ წინადადებებთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა ურთიერთობას, რომლის მოწესრიგება სსრ კავშირის კონსტიტუციით და ამ საფუძვლებით მიეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას. ამ ურთიერთობის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გადაიჭრას საკითხები, რომლებიც მათ გამგებლობას მიეკუთვნება სსრ კავშირის კანონმდებლობით.

საგარეო ვაჭრობის ურთიერთობა განისაზღვრება სსრ კავშირის სპეციალური კანონმდებლობით, რომელიც აწესრიგებს საგარეო ვაჭრობას, და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საერთო სამოქალაქო კანონმდებლობით.

მუხლი 4. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლები

სამოქალაქო უფლებანი და მოვალეობანი წარმოიშობა იმ საფუძვლებიდან, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, აგრეთვე მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მოქმედებიდან, რომელიც თუმცა არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ სამოქალაქო კანონმდებლობის ზოგადი საწყისებისა და აზრის გამო წარმოშობენ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს.

ამის შესაბამისად სამოქალაქო უფლებანი და მოვალეობანი წარმოიშობიან:

გარიგებებიდან, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აგრეთვე გარიგებებიდან, რომლებიც თუმცა არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას;

ადმინისტრაციული აქტებიდან, მათ შორის სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის — დაგეგმვის აქტებიდან;

აღმოჩენათა, გამოგონებათა, რაციონალიზატორულ წინადადებათა, მეცნიერების, ლიტერატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის შედეგად;

სხვა პირისათვის ზიანის მიყენების შედეგად, აგრეთვე ს̣აკმაო საფუძვლების უქონლად სხვა პირის სახსრებით ქონების შეძენის ან დაზოგვის შედეგად;

მოქალაქეთა და ორგანიზაციათა სხვა მოქმედების შედეგად;

იმ ხდომილების შედეგად, რომელთანაც კანონი აკავშირებს სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების წარმოშობას.

მუხლი 5. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება და მოვალეობათა შესრულება

სამოქალაქო უფლებები დაცულია კანონით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს უფლებები გამოიყენება კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში სოციალისტურ საზოგადოებაში ამ უფლებათა დანიშნულების საწინააღმდეგოდ.

უფლებათა განხორციელებისა და მოვალეობათა შესრულების დროს მოქალაქეებმა და ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან კანონები, პატივი სცენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების მორალურ პრინციპებს.

მუხლი 6. სამოქალაქო უფლებათა დაცვა

სამოქალაქო უფლებათა დაცვა ხორციელდება დადგენილი წესით სასამართლოს, არბიტრაჟის ან სამედიატორო სასამართლოს მიერ შემდეგი გზებით; ამ უფლებათა აღიარებით; უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენით და უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთით, ნატურით ვალდებულების შესრულების მისჯით; უფლებრივი ურთიერთობის შეწყვეტით; უფლების დამრღვევი პირისათვის ზარალის გადახდევინებით, ხოლო კანონით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირგასამტეხლოს (ჯარიმის, საურავის) გადახდევინება, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით.

სამოქალაქო უფლებათა დაცვა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით და შემთხვევებში ხორციელდება აგრეთვე ამხანაგური სასამართლოების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ.

კანონით განსაკუთრებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო უფლებათა დაცვა ხორციელდება ადმინისტრაციული წესით.

მუხლი 7. პატივისა და ღირსების დაცვა

მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს საშუალებით მისი პატივისა და ღირსების სახელგამტეხი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს, რომ ისინი შეესაბამებიან სინამდვილეს.

თუ აღნიშნული ცნობები გავრცელებულია პრესაში, სინამდვილისადმი მათი შეუსაბამობის შემთხვევაში, ისინი უარყოფილ უნდა იქნენ აგრეთვე პრესაში. სხვა შემთხვევაში უარყოფის წესს დაადგენს სასამართლო.

თუ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შესრულებულა, სასამართლოს უფლება აქვს დააღოს დამრღვევს ჯარიმა, რომელიც სახელმწიფოს შემოსავალში გადაირიცხება. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევს მოვალეობისაგან შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოქმედება.

მუხლი 8. მოქალაქეთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

უნარი— იქონიოს სამოქალაქო უფლებანი და მოვალეობანი (სამოქალაქო უფლებაუნარიანობა) თანაბრად აღიარებულია სსრ კავშირის ყველა მოქალაქისათვის. მოქალაქის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი დაბადების მომენტში და წყდება სიკვდილით.

მოქალაქის უნარი — თავისი მოქმედებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებანი და შექმნას თავისი სამოქალაქო მოვალეობანი (სამოქალაქო ქმედუნარიანობა) სრული მოცულობით წარმოიშობა სრულწლოვანობის მიღწევიდან, ესე იგი თვრამეტი წლის ასაკის მიღწევიდან. არასრულწლოვანთა შეზღუდული ქმედუნარიანობა, აგრეთვე არასრულწლოვანთა ქმედუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევები და წესი განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

არავინ არ შეიძლება იქნეს შეზღუდული უფლებაუნარიანობასა ან ქმედუნარიანობაში, გარდა იმ შემთხვევებისა და წესისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით. ბათილია გარიგებანი, რომლებიც ზღუდავენ უფლებაუნარიანობას ან ქმედუნარიანობას.

მუხლი 9. მოქალაქეთა უფლებაუნარიანობის შინაარსი

კანონის შესაბამისად მოქალაქეებს შეუძლიათ ჰქონდეთ ქონება პირად საკუთრებაში, საცხოვრებელი შენობებით და სხვა ქონებით სარგებლობის უფლება, ქონების მემკვიდრეობით მიღებისა და ანდერძით გადაცემის უფლება. უფლება აირჩიონ ესა თუ ის საქმიანობა და საცხოვრებელი ადგილი, ჰქონდეთ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა, აღმოჩენათა, გამოგონებათა, რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორის უფლება, აგრეთვე ჰქონდეთ სხვა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები.

მუხლი 10. მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობა და გარდაცვლილად გამოცხადება

მოქალაქე შეიძლება სასამართლო წესით ცნობილ იქნეს უგზოუკვლოდ დაკარგულად, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი წლის განმავლობაში მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას არ არის ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ.

მოქალაქე შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას არ არის ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ სამი წლის განმავლობაში, ხოლო თუ იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომლებიც შეიცავენ სიკვდილის საფრთხეს ან საფუძველს იძლევიან ვიგულისხმოთ მისი დაღუპვა გარკვეული უბედური შემთხვევის გამო, — ექვსი თვის განმავლობაში.

სამხედრო მოსამსახურე ან სხვა მოქალაქე, რომელიც უგზოუკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გარდაცვლილად გამოცხადდეს, არა უადრეს, ვიდრე ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.

უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობილი ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოცხადების ან ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამის გადაწყვეტილებას აუქმებს სასამართლო. ამასთან მოქალაქის ქონებრივ უფლებათა აღდგენა წარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. იურიდიული პირები

იურიდიულ პირად ჩაითვლება ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ განცალკევებული ქონება, შეუძლიათ თავისი სახელით შეიძინონ ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი უფლებები და იკისრონ მოვალეობანი, იყვნენ მოსარჩელეები და მოპასუხეები სასამართლოში, არბიტრაჟში ან სამედიატორო სასამართლოში.

იურიდიული პირები არიან:

სახელმწიფო საწარმოები და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან, აქვთ მათთვის მიჩენილი ძირითადი და საბრუნავი საშუალებები და დამოუკიდებელი ბალანსი; დაწესებულებანი და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან და აქვთ დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა ხელმძღვანელები კრედიტების განმკარგულებელთა უფლებებით სარგებლობენ კანონით დადგენილი გამონაკლისის გარდა; სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელთა დაფინანსება ხდება სხვა წყაროებით და აქვთ დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვა და დამოუკიდებელი ბალანსი;

კოლმეურნეობები, საკოლმეურნეობათაშორისო და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათი გაერთიანებანი, აგრეთვე იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, ამ ორგანიზაციათა და მათ გაერთიანებათა საწარმოები და დაწესებულებები, რომლებსაც აქვთ განცალკევებული ქონება და დამოუკიდებელი ბალანსი;

სახელმწიფო — საკოლმეურნეო და სხვა სახელმწიფო — კოოპერაციული ორგანიზაციები.

იურიდიული პირი მოქმედებს წესდების (დებულების) საფუძველზე. დაწესებულებებსა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან, ხოლო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში აგრეთვე სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ იმოქმედონ მოცემული სახის ორგანიზაციების შესახებ საერთო დებულების საფუძველზე.

ამ მუხლში აღნიშნული დაწესებულებანი და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქმედებენ შესაბამისად სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის სახელით.

მუხლი 12. იურიდიული პირის უფლებიანობა

იურიდიულ პირს აქვს სამოქალაქო უფლებაუნარიანობა თავისი საქმიანობის დადგენილი მიზნების შესაბამისად.

სამეურნეო ორგანიზაციების უფლებანი და მოვალეობანი, რომლებიც დაკავშირებულია საფირმო სახელწოდების გამოყენებასთან, საწარმოო მარკასთან და სასაქონლო ნიშანთან, განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით.

მუხლი 13. იურიდიული პირის პასუხისმგებლობა თავისი ვალდებულებებისათვის

იურიდიული პირი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე მისი კუთვნილი (ხოლო სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც იურიდიული პირია, მისთვის მიჩენილი) ქონებით, რომლის მიმართ შეიძლება გადახდევინების მიქცევა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

სახელმწიფო პასუხს არ აგებს იმ სახელმწიფო ორგანიზაციების ვალდებულებებზე, რომლებიც იურიდიული პირები არიან, ხოლო ეს ორგანიზაციები პასუხს არ აგებენ სახელმწიფოს ვალდებულებებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციათა დავალიანების დასაფარავად სახსრების გაცემის პირობები და წესი, თუ ეს დავალიანება არ შეიძლება დაიფაროს მათი ხარჯთაღრიცხვების ანგარიშზე, დაწესდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 14. გარიგებანი

გარიგებად ჩაითვლება მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მოქმედება, მიმართული სამოქა-

ლაქო უფლებათა ან მოვალეობათა წარმოშობის შეცვლის ან მოსპობის მიზნით.

გარიგება შეიძლება იყოს ცალმხრივი და ორმხრივი ან მრავალმხრივი (ხელშეკრულებები).

ბათილია გარიგება, რომელიც არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობა გამოიწვევს გარიგების ბათილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ასეთი შედეგი პირდაპირ მითითებულია კანონში. საგარეო ვაჭრობის გარიგებათა ფორმისა და მათი ხელმოწერის წესის დაუცველობას (ამ საფუძვლების 125 მუხლი) მოჰყვება გარიგების გაბათილება.

გაბათილებული გარიგებით თითოეული მხარე ვალდებულია დაუბრუნოს მეორე მხარეს ყოველივე ის, რაც გარიგებით მიუღია, ხოლო როცა მიღებულის დაბრუნება ნატურით შეუძლებელია, აუნაზღაუროს მისი ღირებულება ფულით, თუ კანონით გათვალისწინებული არ არის გარიგების გაბათილების სხვა შედეგები.

თუ გარიგება დადებულია იმ მიზნით, რომელიც წინასწარი შეცნობით ეწინააღმდეგება სოციალისტური სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებს, როცა ორივე მხარეს განზრახვა აქვს — ორივე მხარის მიერ გარიგების შესრულების შემთხვევაში — სახელმწიფოს შემოსავალში გადახდებათ ყოველივე ის, რაც მათ მიიღეს გარიგებით, ხოლო თუ გარიგება შეასრულა ერთმა მხარემ, მეორე მხარეს სახელმწიფოს შემოსავალში მიღებულის ასანაზღაურებლად გადახდება ყოველივე ის, რაც მან მიიღო და რაც ეკუთვნის მისგან პირველ მხარეს. თუ განზრახვა აქვს მხოლოდ ერთ მხარეს, ყოველივე ის, რაც მან მიიღო გარიგებით, უნდა დაუბრუნდეს მეორე მხარეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მიღებული ან შესრულებულის ასანაზღაურებლად კუთვნილი გადახდება სახელმწიფოს შემოსავალში.

მუხლი 15 წარმომადგენლობა

გარიგება, რომელიც დადო ერთმა პირმა (წარმომადგენელმა) მეორე პირის (წარმოდგენილის) სახელით უფლებამოსილების ძალით, რომელსაც საფუძვლად უდევს მინდობილობა, კანონი ან ადმინისტრაციული აქტი, უშუალოდ ქმნის, ცვლის და სპობს წარმოდგენილის სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს.

მუხლი 16. სარჩელის ხანდაზმულობა

უფლების დაცვის საერთო ვადა იმ პირის სარჩელზე, რომლის უფლება დარღვეულია (სარჩელის ხანდაზმულობა), განისაზღვრება სამი წლით, ხოლო სახელმწიფო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სარჩელებზე ურთიერთშორის — ერთი წლით.

სარჩელის ხანდაზმულობის შემცირებული ვადები შეიძლება დაწესდეს სსრ კავშირის კანონმდებლობით ცალკეულ სახეობათა მოთხოვნებისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ ურთიერთობიდან, რომლის მოწესრიგება მიეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას, და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით — სხვა მოთხოვნებისათვის.

სარჩელის ხანდაზმულობის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც წარმოიშობა სარჩელის უფლება; სარჩელის უფლება წარმოიშობა იმ დღიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა. გამონაკლისს ამ წესიდან, ავრეთვე სარჩელის ხანდაზმულობის დენის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლებს დაადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მოთხოვნას დარღვეული უფლების დაცვის შესახებ სასამართლო, არბიტრაჟი ან სამედიატორო სასამართლო განსახილველად მიიღებს მიუხედავად სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გასვლისა. სარჩელის ხანდაზმულობას სასამართლო, არბიტრაჟი ან სამედიატორო სასამართლო გამოიყენებს მხარეთა განცხადების დამოუკიდებლად. თუ სასამართლო, არბიტრაჟი ან სამედიატორო სასამართლო საპატიო მიზეზად ცნობს სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გაშვებას, დარღვეული უფლება დაცულ უნდა იქნეს.

მუხლი 17. მოთხოვნები, რომლებზეც სარჩელის ხანდაზმულობა არ ვრცელდება

სარჩელის ხანდაზმულობა არ ვრცელდება:

მოთხოვნებზე, რომლებიც გამომდინარეობენ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევიდან, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

სახელმწიფო ორგანიზაციების მოთხოვნებზე სახელმწიფო ქონების დაბრუნების შესახებ კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ან მოქალაქეთა უკანონო მფლობელობიდან;

მეანაბრეთა მოთხოვნებზე სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებში და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში შეტანილი ანაბრების გაცემის შესახებ;

სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში — სხვა მოთხოვნებზეც.

მუხლი 18. ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენება სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში

ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონმდებლობა გამოიყენება სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში შემდეგი წესების თანახმად:

1) საკუთრების უფლებიდან გამომდინარე ურთიერთობისადმი გამოიყენება ქონების ადგილსამყოფელის კანონი;

2) გარიგებათა დადების დროს უფლებაუნარიანობა და ქმედითუნარიანობა განისაზღვრება გარიგების დადების ადგილის კანონით;

3) გარიგებათა ფორმისადმი გამოიყენება გარიგების დადების ადგილის კანონი; გარიგების დადების ადგილის კანონი გამოიყენება აგრეთვე იმ ვალდებულებებისადმი, რომლებიც გარიგებიდან წარმოიშობა, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

4) ვალდებულებებისადმი, რომლებიც წარმოიშობა ზიანის მიყენებიდან, გამოიყენება დავის განხილვის ადგილის კანონი, ხოლო დაზარალებულის შუამდგომლობით — ზიანის მიყენების ადგილის კანონი;

5) მემკვიდრეობის ურთიერთობისადმი გამოიყენება მემკვიდრეობის გახსნის ადგილის კანონი;

6) სარჩელის ხანდაზმულობის საკითხები გადაწყდება იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონით, რომლის კანონმდებლობა აწესრიგებს ამ ურთიერთობას.

ᲙᲐᲠᲘ II
საკუთრების უფლება

მუხლი 19. მესაკუთრის უფლებამოსილება

კანონით დადგენილ ფარგლებში მესაკუთრეს აქვს ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგულების უფლება.

მუხლი 20. სოციალისტური საკუთრება

სოციალისტური საკუთრებაა: სახელმწიფო (საერთო-სახალხო), საკუთრება; კოლმეურნეობათა, სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციათა, მათ გაერთიანებათა საკუთრება; საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრება.

მუხლი 21. სახელმწიფო საკუთრება

სახელმწიფო არის მთელი სახელმწიფო ქონების ერთიანი მესაკუთრე.

სახელმწიფო ქონება, რომელიც მიჩენილი აქვთ სახელმწიფო ორგანიზაციებს, იმყოფება ამ ორგანიზაციების ოპერატიულ მმართველობაში, რომლებიც კანონით დადგენილ ფარგლებში, მათი საქმიანობის მიზნების, საგეგმო დავალებებისა და ქონების დანიშნულების შესაბამისად ახორციელებენ ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგულების უფლებას.

სახელმწიფოს საკუთრებაშია მიწა, მისი წიაღი, წყლები, ტყეები, ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, მაღაროები, ელექტროსადგურები, რკინიგზის, წყლის, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტი, ბანკები; კავშირგაბმულობის საშუალებანი, სახელმწიფოს მიერ მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, კომუნალური და სხვა საწარმოები, აგრეთვე ძირითადი საბინაო ფონდი ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში. სახელმწიფო საკუთრებაში შეიძლება იყოს აგრეთვე ყოველი სხვა ქონება.

მიწა, მისი წიაღი, წყლები და ტყეები, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაა, შეიძლება გადაცემულ იქნეს მარტოოდენ სარგებლობაში.

მუხლი 22. სახელმწიფო ქონების განკარგულებისა და მასზე გადახდევინების მიქცევის წესი

სახელმწიფო საწარმოების, შენობების, ნაგებობების, მოწყობილობისა და სხვა ქონების, რომლებიც მიეკუთვნება სახელმწიფო ორგანიზაციების ძირითად საშუალებებს, სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

სახელმწიფო საწარმოები, შენობები და ნაგებობანი ერთი სახელმწიფო ორგანიზაციისაგან მეორეს გადაეცემა უსასყიდლოდ.

ამ მუხლში აღნიშნული სახელმწიფო ქონება არ შეიძლება გასხვისდეს მოქალაქეებისათვის, გარდა ცალკეულ სახეობათა ქონებისა, რომლის მიყიდვა მოქალაქეებისათვის დაშვებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

საწარმოები, შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა და სხვა ქონება, რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფო ორგანიზაციების ძირითად საშუალებებს, არ შეიძლება იყოს დაგირავების საგანი და მათზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა კრედიტორების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. გადახდევინების მიქცევა შეიძლება სხვა ქონებაზე იმ გამონაკლისით, რასაც დააგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა, ხოლო ფულადი სახსრების მიმართ — სსრ კავშირის კანონმდებლობა. გადახდევინების მიქცევის წესს საკრედიტო დაწესებულებათა პრეტენზიებით მათ მიერ გაცემული სესხის დაბრუნების შესახებ განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 23. კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების საკუთრება

კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების საკუთრებაა მათი საწარმოები, კულტურულ-საყოფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებო დაწესებულებანი, შენობები, ნაგებობანი, ტრაქტორები, კომბაინები, სხვა მანქანები, სატრანსპორტო საშუალებანი, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, ამ ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქცია და ამ ორგანიზაციების საქმიანობის მიზნების შესაბამისი სხვა ქონება.

კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათ გაერთიანებათა კუთვნილ საწარმოებზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებზე, შენობებზე, ნაგებობებზე, ტრაქტორებზე, კომბაინებზე, სხვა მანქანებზე, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა ქონებაზე რომელიც მათ ძირითად საშუალებებს ეკუთვნის, აგრეთვე სათესლე და საფურაჟე ფონდებზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა კრედიტორების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. გადახდევინების მიქცევა შეიძლება სხვა ქონებაზე იმ გამონაკლისით, რასაც დაადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა, ხოლო ფულადი სახსრების მიმართ — სსრ კავშირის კანონმდებლობა. გადახდევინების მიქცევის წესს საკრედიტო დაწესებულებათა პრეტენზიებით მათ მიერ გაცემული სესხის დაბრუნების შესახებ განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 24. პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრება

პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებაა მათი საწარმოები, შენობები, ნაგებობანი, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, კულტურის სასახლეები, კლუბები, სტადიონები და პიონერთა ბანაკები მათი მოწყობილობით, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდები და ამ ორგანიზაციების საქმიანობის მიზნების შესაბამისი სხვა ქონება.

პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კუთვნილ საწარმოებზე, შენობებზე, ნაგებობებზე, მოწყობილობასა და სხვა ქონებაზე, რომელიც ეკუთვნის საწარმოთა, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, კულტურის სასახლეების, კლუბების, სტადიონებისა და პიონერთა ბანაკების ძირითად საშუალებებს, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდებზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა კრედიტორების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. გადახდევინების მიქცევა შეიძლება სხვა ქონებაზე იმ გამონაკლისით, რასაც დაადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა, ხოლო ფულადი სახსრების მიმართ — სსრ კავშირის კანონმდებლობა. გადახდევინების მიქცევის წესს საკრედიტო დაწესებულებათა პრეტენზიებით მათ მიერ გაცემული სესხის დაბრუნების შესახებ განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 25. პირადი საკუთრება

მოქალაქეთა პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს ქონება, რომელიც განკუთვნილია მათი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. თითოეულ მოქალაქეს შეუძლია პირად საკუთრებაში ჰქონდეს შრომითი შემოსავალი და დანაზოგი, საცხოვრებელი სახლი (ან მისი ნაწილი) და დამხმარე საოჯახო მეურნეობა, საოჯახო მეურნეობის და ყოფაცხოვრების პირადი მოხმარებისა და კეთილყოფის საგნები.

მოქალაქის პირად საკუთრებაში მყოფი ქონება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არაშრომითი შემოსავლის მისაღებად.

მოქალაქის პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს ერთი საცხოვრებელი სახლი. ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი, რომელიც პირადი საკუთრების უფლებით შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ-ერთ მათგანს ან იყოს მათ საერთო საკუთრებაში. ზღვრულ ზომას საცხოვრებელი სახლისას, რომელიც შეიძლება იყოს მოქალაქის პირად საკუთრებაში, ასეთ სახლში ფართობის გაქირავების პირობებსა და წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს პირუტყვის ზღვრულ რაოდენობას, რომელიც შეიძლება იყოს მოქალაქის პირად საკუთრებაში.

იმ მოქალაქის პირად საკუთრებაში, რომელიც საკოლმეურნეო კომლის წევრია, არ შეიძლება იყოს ქონება, რომელიც კოლმეურნეობის წესდების შესაბამისად შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ საკოლმეურნეო კომლს.

მუხლი 26. საერთო საკუთრება

ქონება შეიძლება ეკუთვნოდეს საერთო საკუთრების უფლებით ორ ან რამდენიმე კოლმეურნეობას, ან სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ან სახელმწიფოს და ერთ ან რამდენიმე კოლმეურნეობას ან სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ან ორ ან რამდენიმე მოქალაქეს.

მუხლი 27. საკოლმეურნეო კომლის საკუთრება

საკოლმეურნეო კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანაზიარი საკუთრების უფლებით (ამ საფუძვლების 26 მუხლი).

საკოლმეურნეო კომლს შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს დამხმარე მეურნეობა თავის სარგებლობაში არსებულ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი სახლი, პროდუქტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული პირუტყვი, ფრინველი და წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი კოლმეურნეობის წესდების შესაბამისად.

გარდა ამისა, საკოლმეურნეო კომლს ეკუთვნის თავის საკუთრებაში კომლის წევრების მიერ გადაცემული მათი შრომითი შემოსავალი კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობისაგან ან მათ მიერ კომლის საკუთრებაში გადაცემული სხვა ქონება, აგრეთვე საოჯახო და პირადი მოხმარების საგნები, რომლებიც შეძენილია საერთო სახსრებით.

საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგულების, აგრეთვე კომლის წევრთა წილის გამოყოფის და კომლის გაყოფის წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 28. საკუთრების უფლების დაცვა

მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს თავისი ქონება სხვის უკანონო მფლობელობიდან.

თუ ქონება სასყიდლით შეძენილია იმ პირისგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება, ხოლო შემძენმა ამის შესახებ არ იცოდა და არ უნდა სცოდნოდა (კეთილსინდისიერი შემძენი), მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს ეს ქონება შემძენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ქონება დაკარგა მესაკუთრემ ან იმ პირმა, რომელსაც მესაკუთრემ გადასცა ქონება მფლობელობაში ან წაერთვა მას ან სხვას, ან გამოვიდა მათი მფლობელობიდან სხვა გზით მათი ნების გარეშე.

თუ ქონება შეძენილია უსასყიდლოდ იმ პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება, მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს ქონება ყველა შემთხვევაში.

სახელმწიფო ქონება, აგრეთვე კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონება, რომელიც არამართლზომიერად გასხვისებულია რაიმე წესით, შეიძლება სათანადო ორგანიზაციებმა გამოითხოვონ ყოველი შემძენისაგან.

ფული, აგრეთვე ფასიანი საწარმდგენელო ქაღალდები არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს კეთილსინდისიერი შემძენისაგან.

მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების ყოველგვარი დარღვევის აღკვეთა, თუნდაც ეს დარღვევები არ იყოს დაკავშირებული მფლობელობის ჩამორთმევასთან.

მუხლი 29. იმ მფლობელის უფლებათა დაცვა, რომელიც არ არის მესაკუთრე

უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ საფუძვლების 28 მუხლით, ეკუთვნის აგრეთვე იმ პირს, რომელიც თუმცა არ არის მესაკუთრე, მაგრამ ქონების მფლობელია კანონის ან ხელშეკრულების ძალით.

მუხლი 30. ხელშეკრულებით შეძენილ ქონებაზე შემძენის საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტი

ხელშეკრულებით შეძენილ ქონებაზე შემძენის საკუთრების უფლება (ხოლო სახელმწიფო ორგანიზაციისათვის — ქონების ოპერატიული მართვის უფლება) წარმოიშობა ნივთის გადაცემის მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით.

გადაცემად ჩაითვლება ნივთის ჩაბარება შემძენისათვის, აგრეთვე ჩაბარება სატრანსპორტო ორგანიზაციაში შემძენისათვის გასაგზავნად და ჩაბარება ფოსტაში შემძენისათვის გასაგზავნად ნივთისა, რომელიც გასხვისებულია მიტანის ვალდებულების დაუდებლად. ნივთების გადაცემას უტოლდება ნივთზე კონოსამენტის ან სხვა განმკარგულებელი დოკუმენტის გადაცემა.

მუხლი 31. რეკვიზიცია და კონფისკაცია

სახელმწიფოს მიერ მესაკუთრისათვის ქონების ჩამორთმევა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ქონების ღირებულების გადახდით (რეკვიზიცია), აგრეთვე სახელმწიფოს მიერ ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა სამართალდარღვევისათვის სანქციის სახით (კონფისკაცია) დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 32. უპატრონო ქონება

ქონება, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე ან რომლის მესაკუთრე ცნობილი არ არის (უპატრონო ქონება), გადადის სახელმწიფო საკუთრებაში. უპატრონო ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლს ეკუთვნის, გადადის კოლმეურნეობის საკუთრებაში. სახელმწიფო ან კოლმეურნეობის საკუთრებაში უპატრონო ქონების გადასვლის წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კარი III

ვალდებულებითი სამართალი

თავი I

ზოგადი დებულებანი ვალდებულებათა შესახებ

მუხლი 33. ვალდებულება და მისი შესრულება

ვალდებულების ძალით ერთი პირი (მოვალე) ვალდებულია შეასრულოს მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ გარკვეული მოქმედება, სახელდობრ: გადასცეს ქონება, შეასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სამუშაო, გადაუხადოს ფული და სხვ. ან თავი შეიკავოს გარკვეული მოქმედებისაგან. ხოლო კრედიტორს უფლება აქვს მოთხოვოს მოვალეს მისი მოვალეობის შესრულება.

ვალდებულებანი წარმოიშობა ხელშეკრულებით ან ამ საფუძვლების 4 მუხლში აღნიშნული სხვა საფუძვლით.

ვალდებულება უნდა სრულდებოდეს ჯეროვნად და დადგენილ ვადაში კანონის, დაგეგმვის აქტის, ხელშეკრულების მითითებათა შესაბამისად, ხოლო ასეთ მითითებათა უქონლობის დროს—ჩვეულებრივად წარდგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ცალმხრივი უარი ვალდებულების შესრულებაზე და ცალმხრივი შეცვლა ხელშეკრულების პირობებისა არ დაიშვება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 34. ხელშეკრულების დადება

ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, როცა მხარეებს შორის მიღწეული იქნება შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებით პუნქტზე, სათანადო შემთხვევისათვის დაწესებული ფორმით. ხელშეკრულების არსებით პუნქტებს წარმოადგენენ ის პუნქტები, რომლებიც ასეთებად ცნობილია კანონით ან საჭიროა ამ სახეობის ხელშეკრულებისათვის, აგრეთვე ყველა ის პუნქტი, რომელთა შესახებ ერთ-ერთი მხარის გაცხადებით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება.

საგეგმო დავალების საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ამ დავალებას.

სახელმწიფო, კოოპერაციულ (კოლმეურნეობების გარდა) და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულების დადების დროს წარმოშობილი უთანხმოებანი, რომელთაც საფუძვლად უდევს ორივე მხარისათვის სავალდებულო საგეგმო დავალება, გადაწყდება შესაბამისი არბიტრაჟის (სამედიატორო სასამართლოს) მიერ, თუ კანონით არ არის დადგენილი სხვა რამ.

დასახელებულ ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულების დადების დროს წარმოშობილი უთანხმოებანი, რომელთაც საფუძვლად არ უდევს ორივე მხარისათვის სავალდებულო საგეგმო დავალება, თუ ეს სპეციალურად გათვალისწინებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გადაჭრას არბიტრაჟმა.

მუხლი 35. ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფა

ვალდებულებათა შესრულება კანონის ან ხელშეკრულების თანახმად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს პირგასამტეხლოთი (ჯარიმით, საურავით), გირაოთი და თავდებობით.

გარდა ამისა, ვალდებულებანი მოქალაქეთა შორის ან მათი მონაწილეობით შეიძლება უზრუნველყოს ბემ, ხოლო ვალდებულებანი სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის—გარანტიამ.

მუხლი 36. პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის

მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში იგი მოვალეა აუნაზღაუროს კრედიტორს ამით მიყენებული ზარალი. ზარალი გულისხმობს ხარჯებს, რომლებიც კრედიტორმა გასწია, მისი ქონების დაკარგვას ან დაზიანებას, აგრეთვე კრედიტორის მიერ არმიღებულ შემოსავალს, რომელსაც იგი მიიღებდა, უკეთუ მოვალე შეასრულებდა ვალდებულებას.

თუ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დადგენილია პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი), ზარალი ანაზღაურდება იმ ნაწილით, რომელსაც ვერ დაფარავს პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი).

კანონით ან ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემთხვევები: როცა დასაშვებია გადახდევინება მხოლოდ პირგასამტეხლოსი (ჯარიმის, საურავის) და არა ზარალისა; როცა ზარალი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სრული თანხით პირგასამტეხლოს (ჯარიმის, საურავის) გარდა; როცა კრედიტორის არჩევანით შეიძლება გადახდევინებულ იქნეს ან პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი), ან ზარალი.

ცალკეულ სახეობათა ვალდებულებების მიხედვით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს შეზღუდული პასუხისმგებლობა ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

არ დაიშვება შეთანხმება სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის მათი პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე, თუ პასუხისმგებლობის ოდენობა ამ სახეობის ვალდებულებისათვის ზუსტად განსაზღვრულია კანონით.

პირგასამტეხლოს (ჯარიმის, საურავის) გადახდა, რომელიც დადგენილია ვადის გადაცილების ან ვალდებულებათა სხვა არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მოვალეს შეასრულოს ვალდებულებანი ნატურით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საგეგმო დავალებამ, რომელიც საფუძვლად უდევს ვალდებულებას სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის, ძალა დაკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 37. ბრალი, როგორც ვალდებულებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის პირობა

იმ პირს, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება ან არაჯეროვნად შეასრულა იგი, ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა (ამ საფუძვლების 36 მუხლი) მხოლოდ ბრალის არსებობის დროს (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით. ბრალის არ არსებობას დაამტკიცებს ის პირი, რომელმაც დაარღვია ვალდებულება.

თუ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მოხდა ორივე მხარის ბრალით, სასამართლო, არბიტრაჟი ან სამედიატორო სასამართლო შესაბამისად ამცირებს მოვალის პასუხისმგებლობის ოდენობას.

მუხლი 38. ვალდებულების შესრულების დაკისრება მესამე პირისათვის

ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულების შესრულება შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ დაეკისროს მესამე პირს, თუ ეს გათვალისწინებულია დადგენილი წესით, აგრეთვე თუ მესამე პირი ადმინისტრაციული დაქვემდებარებით ან სათანადო ხელშეკრულებით დაკავშირებულია ერთ-ერთ მხარესთან.

ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ეკისრება მხარეს იმ ხელშეკრულებით, რომლიდანაც იგი წარმოიშვა, თუ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რომ პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალო შემსრულებელს.

თავი 2

ყიდვა-გაყიდვა

მუხლი 39. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს ქონება მყიდველს საკუთრებაში, ხოლო მყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს ქონება და გადაიხადოს მასში გარკვეული ფულადი თანხა.

თუ მყიდველი სახელმწიფო ორგანიზაციაა, მაშინ მას წარმოეშვება ქონების ოპერატიულად მართვის უფლება (ამ საფუძვლების 21 მუხლი).

მუხლი 40. ფასი

სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საქონლის გაყიდვა წარმოებს დადგენილი სახელმწიფო ფასებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით და მის მიერ დადგენილ ფარგლებში—მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

კოლმეურნეობების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნამატის გაყიდვა, რომელსაც სახელმწიფო არ შეისყიდის, აგრეთვე მოქალაქეების მიერ თავისი ქონების გაყიდვა წარმოებს მხარეთა შეთანხმებით დადგენილ ფასებით.

მუხლი 41. გამყიდველის პასუხისმგებლობა გაყიდული ნივთების არასათანადო ხარისხიანობისათვის

გაყიდული ნივთის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს, ხოლო ხელშეკრულებაში მითითებათა უქონლობის დროს—ჩვეულებრივად წაყენებულ მოთხოვნებს. ნივთი, რომელსაც სავაჭრო ორგანიზაცია ყიდის, უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტს, ტექნიკურ პირობებს ან ამგვარი ნივთებისათვის დადგენილ ნიმუშებს, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს მოცემული სახეობის ყიდვა-გაყიდვის ხასიათიდან.

მყიდველს, რომელსაც მიეყიდა არასათანადო ხარისხის ნივთი, თუ მისი ნაკლი არ იყო წინასწარ დათქმული გამყიდველის მიერ, უფლება აქვს თავისი არჩევანით მოითხოვოს ან ნივთის შეცვლა, რომელიც ხელშეკრულებაში განსაზღვრულია გვაროვნული ნიშნებით, სათანადო ხარისხის ნივთით, ან შესასყიდი ფასის სათანადოდ შემცირება, ან გამყიდველის მიერ ნივთის ნაკლოვანებათა უსასყიდლოდ გამოსწორება, ან მყიდველის მიერ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ან ხელშეკრულების დარღვევა და მყიდველისათვის ზარალის ანაზღაურება.

საცალო ვაჭრობის საწარმოში ნივთის მყიდველი პირის ამ უფლებათა განხორციელების წესს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 42. გაყიდული ნივთების ნაკლის გამო პრეტენზიების წარდგენის ვადები და სარჩელთა ხანდაზმულობის ვადები

ვადებს, რომელთა განმავლობაში შეიძლება პრეტენზიის წარდგენა გაყიდული ნივთის ნაკლის გამო, აგრეთვე სარჩელის ხანდაზმულობის ვადებს იმ მოთხოვნებით, რომლებიც დაკავშირებულია ამ ნაკლთან, აწესებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

იმ შემთხვევებში, როცა საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებში გაყიდული ნივთებისათვის ამ საფუძვლების 48 მუხლის შესაბამისად დადგენილია საგარანტიო ვადები, ეს ვადები გამოითვლება საცალო გაყიდვის დღიდან. საგარან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიო ვადის განმავლობაში მყიდველს შეუძლია წარუდგინოს გამყიდველს პრეტენზია გაყიდული ნივთის ნაკლის გამო, რომელიც ხელს უშლის მის ნორმალურ გამოყენებას. გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ნივთის ნაკლის უსასყიდლო გამოსწორება, ან შეცვალოს იგი სათანადო ხარისხის ნივთით, ან მიიღოს იგი უკან და დაუბრუნოს მყიდველს მასში გადახდილი თანხა, თუ არ დაამტკიცებს, რომ ნაკლი წარმოიშვა მყიდველის მიერ ნივთით სარგებლობის ან მისი შენახვის წესების დარღვევის შედეგად.

მუხლი 43. საქონლის გაყიდვა კრედიტით

ხანგრძლივი სარგებლობის საქონელი საცალო ვაჭრობის საწარმოებმა შეიძლება მოქალაქეებს მიყიდონ კრედიტით (გადახდის განწილვადებით) იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომლებსაც ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

კრედიტად გაყიდული საქონლის საკუთრების უფლებას მყიდველი იძენს ამ საფუძვლების 30 მუხლის წესების შესაბამისად.

თავი 3

მიწოდება

მუხლი 44. მიწოდების ხელშეკრულება

მიწოდების ხელშეკრულებით მიმწოდებელი ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას გადასცეს გარკვეულ ვადებში ან ვადაში მყიდველ ორგანიზაციას (შემკვეთს) საკუთრებად ან, ამ საფუძვლების 21 და 30 მუხლების შესაბამისად, ოპერატიულ მმართველობაში გასახლღვრული პროდუქცია ორივე ორგანიზაციისათვის სავალდებულო პროდუქციის განაწილების საგეგმო აქტის თანახმად; მყიდველი ორგანიზაცია ვალდებულებას კისრულობს მიიღოს პროდუქცია და გადაიხადოს მისთვის დადგენილი ფასებით. მიწოდების ხელშეკრულება არის აგრეთვე ორგანიზაციებს შორის მათი შეხედულებისამებრ დადებული ხელშეკრულება, რომლითაც მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მყიდველს პროდუქცია, რომელიც არ ნაწილდება გეგმიანი წესით, იმ ვადაში, რომელიც არ ემთხვევა ხელშეკრულების დადების მომენტს.

პროდუქციის მიწოდება ხელშეკრულების დაუდებლად წარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ.

მუხლი 45. მისაწოდებელი პროდუქციის დაკლება ან წაუღებლობა

პროდუქციის რაოდენობა, რომელიც მიმწოდებელმა დააკლო ან მყიდველმა არ წაიღო დათქმულ ვადაში, მიწოდებულ (წაღებულ) უნდა იქნეს იმ წესით და იმ ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულია დებულებებით მიწოდებათა შესახებ, ცალკეულ სახეობათა პროდუქციის მიწოდების განსაკუთრებული პირობებით (ამ საფუძვლების 50 მუხლი) ან ხელშეკრულებით.

აცნობებს რა მიმწოდებელი, მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას პროდუქციის მიღებაზე, რომლის მიწოდების ვადა გავიდა, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მყიდველი ვალდებულია მიიღოს ის პროდუქცია და გადაიხადოს მისი ღირებულება, რომელიც მიმწოდებელმა გაგზავნა მყიდველისაგან შეტყობინების მიღებამდე.

მუხლი 46. მიწოდებული პროდუქციის ასორტიმენტი

პროდუქცია მიწოდებულ უნდა იქნეს იმ ასორტიმენტით, რომელსაც ხელშეკრულება ითვალისწინებს.

მოცემულ ასორტიმენტში შემავალი ერთი სახეობის პროდუქციის მიწოდება მეტი რაოდენობით, ვიდრე გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, არ ჩაითვლება სხვა სახეობათა პროდუქციის შიწოდების დანაკლისის დასაფარავად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი მიწოდება მოხდა მყიდველის თანხმობით.

ასორტიმენტში შემავალ ცალკეულ სახეობათა პროდუქციის მიწოდების დანაკლისისათვის მიმწოდებელმა უნდა გადაიხადოს დადგენილი პირგასამტეხლო, თუნდაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში საერთო ღირებულების პროდუქციის მიწოდება შესრულებული იყოს.

მუხლი 47. მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხი

მისაწოდებელი პროდუქციის ხარისხი უნდ შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს ტექნიკურ პირობებს ან ნიმუშებს. ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება სახელმწიფო სტანდარტებთან, დამტკიცებულ ტექნიკურ პირობებთან ან ნიმუშებთან შედარებით.

უკეთეს მიწოდებულია უფრო დაბალი ხარისხის პროდუქცია, ვიდრე ამას მოითხოვს სახელმწიფო სტანდარტი, დამტკიცებული ტექნიკური პირობები ან ნიმუში, მყიდველი ვალდებულია უარი თქვას პროდუქციის მიღებასა და ფასის გადახდაზე, ხოლო თუ პროდუქციის ფასი მყიდველმა უკვე გადაიხადა, შეტანილი თანხა უნდა დაუბრუნდეს მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, თუ მიწოდებული პროდუქციის ნაკლი შეიძლება გამოსწორდეს მიმწოდებლისათვის პროდუქციის დაუბრუნებლად, მყიდველს უფლება აქვს მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის გამოსწორება პროდუქციის ადგილსამყოფელში ან გამოასწორებს მას თავისი საშუალებებით, მაგრამ მიმწოდებლის ხარჯზე.

თუ მიწოდებული პროდუქცია შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს, მაგრამ უფრო დაბალი სორტის აღმოჩნდება, ვიდრე დაპირებული იყო, მყიდველს უფლება აქვს მიიღოს პროდუქცია და აანაზღაუროს იმ ფასად, რომელიც დადგენილია შესაბამისი სორტის პროდუქციისათვის, ან უარი თქვას პროდუქციის მიღებასა და ფასის გადახდაზე.

სარჩელებისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ არასათანადო ხარისხის პროდუქციის მიწოდებიდან, წესდება ხანდაზმულობის ექვსი თვის ვადა იმ დღიდან, როცა მყიდველი სათანადო წესით დაადგენს მისთვის მიწოდებული პროდუქციის ნაკლს.

მუხლი 48. მიწოდებული პროდუქციის ნაკლის გამო პრეტენზიების წარდგენის ვადები

მყიდველის მიერ მისთვის მიწოდებული პროდუქციის იმ ნაკლის დადგენის ვადებსა და წესს, რომელიც ვერ იქნებოდა აღმოჩენილი პროდუქციის ჩვეულებრივი მიღების დროს, და მიმწოდებლისათვის არასათანადო ხარისხის პროდუქციის მიწოდებიდან გამომდინარე პრეტენზიების წარდგენის ვადებსა და წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

იმ პროდუქციის მიმართ, რომელიც განკუთვნილია ხანგრძლივი სარგებლობის ან შენახვისათვის, სახელმწიფო სტანდარტებით ან ტექნიკური პირობებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს უფრო ხანგრძლივი ვადები იმისათვის, რომ მყიდველმა სათანადო წესით დაადგინოს აღნიშნული ნაკლი (საგარანტიო ვადები) და მიმწოდებელს შემდგომ წარუდგინოს საპრეტენზიო მოთხოვნები ან ნაკლის გამოსწორების ან პროდუქციის შეცვლის შესახებ. მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ გამოასწოროს პროდუქციის ნაკლი, რომლისთვისაც დადგენილია საგარანტიო ვადა, ან შეცვალოს იგი, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ნაკლი წარმოიშვა მყიდველის მიერ პროდუქციით სარგებლობის ან მისი შენახვის წესების დარღვევის შედეგად.

ხელშეკრულებებით შეიძლება დაწესდეს საგარანტიო ვადები, თუ ისინი გათვალისწინებული არ არის სტანდარტებით ან ტექნიკური პირობებით, აგრეთვე უფრო ხანგრძლივი საგარანტიო ვადები, ვიდრე გათვალისწინებულია სტანდარტებით ან ტექნიკური პირობებით. ხალხო მოხმარების საქონლის მიმართ, რომელიც საცალო ვაჭრობის ორგანიზაციების მეშვეობით იყიდება, საგარანტიო ვადა გამოითვლება ნივთის საცალო გაყიდვის დღიდან (ამ საფუძვლების 42 მუხლი).

მუხლი 49. მისაწოდებელი პროდუქციის კომპლექტურობა

პროდუქციის მიწოდება უნდა ხდებოდეს კომპლექტურად, სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობების ან პრეისკურანტების მოთხოვნების შესაბამისად. თუ კომპლექტურობა განსაზღვრული არ არის სახელმწიფო სტანდარტით, დამტკიცებული ტექნიკური პირობებით ან პრეისკურანტით, საჭირო შემთხვევებში იგი შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულებით.

არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია მოითხოვოს პროდუქციის დაკომპლექტება ან უკომპლექტო პროდუქციის შეცვლა კომპლექტურით და მის დაკომპლექტებამდე ან შეცვლამდე უარი თქვას ფასის გადახდაზე, ხოლო თუ პროდუქციის ფასი უკვე გადახდილია, მოითხოვოს ამ თანხის დაბრუნება.

თუ მიმწოდებელი პროდუქციას არ დააკომპლექტებს მხარეთა შეთანხმებით დადგენილ ვადაში, მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას პროდუქციაზე.

მუხლი 50. დებულება მიწოდებათა შესახებ და მიწოდებათა განსაკუთრებული პირობები. პასუხისმგებლობა მიწოდების ხელშეკრულების დარღვევისათვის

მიწოდების ხელშეკრულებები დაიდება და შესრულდება შესაბამისად დებულებებისა მიწოდებათა შესახებ, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, და ცალკეულ სახეობათა პროდუქციის მიწოდების განსაკუთრებული პირობებისა, რომლებსაც ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით, ხოლო მის მიერ გათვალისწინებულ შემთხვევებში — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

ამ დებულებებისა და განსაკუთრებული პირობების შესაბამისად გადახდევინებულ იქნება პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი) და ზარალი მიწოდების ხელშეკრულების მოვალეობათა დარღვევისათვის.

არასათანადო ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდების შემთხვევაში მყიდველი მიმწოდებელს გადაახდევინებს დადგენილ პირგასამტეხლოს (ჯარიმას) და, გარდა ამისა, ასეთი მიწოდებით მიყენებულ ზარალს პირგასამტეხლოს (ჯარიმის) ჩაუთვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი 4

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა

მუხლი 51. სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონტრაქტაციის ხელშეკრულება.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონტრაქტაციის ხელშეკრულებებით, რომლებიც დაიდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გეგმების საფუძველზე.

მუხლი 52. კონტრაქტაციის ხელშეკრულების შინაარსი

კონტრაქტაციის ხელშეკრულებებში უთვალისწინებული უნდა იყოს:

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა (პროდუქციის სახეობათა მიხედვით), ხარისხი, მიტანის ვადები, წესი, პირობები და ჩაბარების ადგილი;

დამამზადებელ ორგანიზაციათა და საწარმოთა მოვალეობაა — დროულად მიიღონ პროდუქცია და გადაიხადონ დადგენილი ფასები, აგრეთვე კოლმეურნეობებისათვის ფულადი ავანსების მიცემის ვადები და ოდენობა;

მოვალეობანი იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გაეწიოთ დახმარება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ორგანიზაციაში და მისაღებ პუნქტებსა და საწარმოებში მის ტრანსპორტირებაში;

მხარეთა ურთიერთ ქონებრივი პასუხისმგებლობა მათ მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში.

კონტრაქტაციის ტიპობრივი ხელშეკრულებები დამტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თავი 5

ქონების ქირავნობა

მუხლი 53. ქონების ქირავნობის ხელშეკრულება

ქონების ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი კისრულობს ვალდებულებას მისცეს დამქირავებელს ქონება დროებით სარგებლობაში ფასით.

გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს ქონება მისცეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების პირობებსა და ქონების დანიშნულებას, და თავისი ხარჯით აწარმოოს ამ ქონების კაპიტალური რემონტი, თუ კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის სხვა რამ.

დამქირავებელი ვალდებულია დროზე შეიტანოს გადასახდელი ქონების სარგებლობისათვის, ისარგებლოს ქონებით ხელშეკრულებისა და ქონების დანიშნულების შესაბამისად, იქონიოს იგი წესიერ მდგომარეობაში, თავისი ხარჯით აწარმოოს მიმდინარე რემონტი, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხოლო ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დაუბრუნოს ქონება იმ მდგომარეობაში, როგორშიც მიიღო, ნორმალური გაცვეთის გათვალისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

მუხლი 54. ქირავნობის ხელშეკრულების ძალის შენარჩუნება ქონების სხვა მესაკუთრეზე გადასვლისას

როცა ქირავნობით გაცემული ქონების საკუთრების უფლება გამქირავებლისაგან გადადის სხვა პირზე, ქირავნობის ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს ახალი მესაკუთრისათვის, ქირავნობის ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს აგრეთვე, როცა ქონება ერთი სახელმწიფო ორგანიზაციისაგან (გამქირავებლისაგან) გადადის მეორეზე.

მუხლი 55. საყოფაცხოვრებო გაქირავება

სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მოქალაქეებისათვის ფასად დროებით სარგებლობაში საოჯახო საგნების, მუსიკალური ინსტრუმენტების, სასპორტო ინვენტარის, მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა ქონების მიცემის (საყოფაცხოვრებო გაქირავება) პირობებსა და წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ცალკეულ სახეობათა საყოფაცხოვრებო გაქირავებაში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ამტკიცებენ ტიპობრივ ხელშეკრულებებს. გადახვევა ტიპობრივი ხელშეკრულების პირობებიდან, რომლებიც ზღუდავენ ჩოსარგებლეთა უფლებებს, ბათილია.

თავი 6

საცხოვრებელი ფართობის დაქირავება

მუხლი 56. საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესი და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხელშეკრულება

საცხოვრებელი ფართობის მიცემას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში აწარმოებს ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, ხოლო სახელმწიფო, კოოპერაციული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში— ადმინისტრაციისა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო,საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. ამ სახლებში საცხოვრებელი ფართობით სარგებლობა გაფორმება საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულებებით შესაბამის სახლმმართველობებთან.

საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულება იმ სახლებში, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, დაიდება დამქირავებელსა და სახლის მესაკუთრეს შორის.

საცხოვრებელი ფართობით დამქირავებელთან თანაბრად დამქირავებლის ოჯახის წევრები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, იძენენ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ.

ხელშეკრულებაში განისაზღვრება მხარეთა უფლება და მოვალეობანი. საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ამ საფუძვლების 53 და 54 მუხლები.

მუხლი 57. ბინის ქირა

ვიდრე დაწესდებოდეს საცხოვრებელი ფართობის უფასოდ სარგებლობა, დამქირავებელი მოვალეა დროზე შეიტანოს ბინის ქირა.

ბინის ქირის ოდენობას აწესებს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

ქირას საცხოვრებელი ფართობის სარგებლობისათვის იმ სახლებში, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს ზღვრულ განაკვეთებს, რომლებიც დადგენილია ამ სახლებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 58. დამქირავებლის უფლება განაახლოს ხელშეკრულება

უკეთუ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სახლში ან სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლში საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული ვადით, დამქირავებელს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უფლება აქვს განაახლოს ხელშეკრულება. ეს უფლება გამქირავებელს შეუძლია დავის საგნად გახადოს სასამართლოში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი სისტემატურად არ ასრულებს თავის მოვალეობას ხელშეკრულების მიხედვით.

ასეთივე უფლება ეკუთვნის საცხოვრებელი ფართობის დამქირავებელს იმ სახლში, რომელიც მოქალაქეს ეკუთვნის პირადი საკუთრების უფლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

როცა დამქირავებელი ფართობზე ცხოვრობს ხელშეკრულებით, რომელიც დადებულია ვადით არა უმეტეს ერთი წლისა და ვადით ვალდებულებით — გაათავისუფლოს ფართობი ამ ვადის გასვლის შემდეგ;

როცა სასამართლო დაადგენს, რომ ფართობი აუცილებელია სახლის მესაკუთრის და მისი ოჯახის წევრების პირადი სარგებლობისათვის.

მუხლი 59. საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლა

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ცალკე იზოლირებული ოთახის სახით ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის (რომელიც აღემატება დადგენილ ნორმას) სასამართლოს წესით ჩამორთმევის შესაძლებლობა. ამ შემთხვევებში საცხოვრებელი ფართობის ნორმა, რომელიც წესდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, არ შეიძლება იყოს ერთ სულზე ცხრა კვადრატულ მეტრზე ნაკლები. ცალკეული კატეგორიების დამქირავებელთათვის წესდება აგრეთვე დამატებითი საცხოვრებელი ფართობის ნორმა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში ზედმეტი იზოლირებული ოთახის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი თვითონ არ ჩაასახლებს გასათავისუფლებელ ფართობს სამი თვის განმავლობაში საბინაო ორგანოს წერილობითი გაფრთხილების შემდეგ.

თუ ზედმეტი იზოლირებული ოთახი აღმოჩნდა ბინაში, რომელიც ერთი ოჯახის სარგებლობაშია, დამქირავებელს უფლება აქვს ჩაასახლოს იგი ამ მუხლის წესების შესაბამისად, ან მოითხოვოს გადაყვანა ნაკლები ზომის ცალკე ბინაში.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სხვა შემთხვევებიც, როცა დაუშვებელია ზედმეტი იზოლირებული ოთახის ჩამორთმევა.

თუ ბინაში, რომელშიც დამქირავებელი ცხოვრობს, გათავისუფლდა ოთახი, რომელიც იზოლირებული არ არის მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობისაგან და მისი მოშიჯნავეა, ეს ოთახი უნდა გადაეცეს მის დამქირავებელს თავის სარგებლობაში.

მუხლი 60. ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის მიერ, საცხოვრებელი ფართობის გაცვლა და ქვეგაქირავება

საცხოვრებელი ფართობის დამქირავებელს ყოველთვის აქვს უფლება მოშალოს ხელშეკრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი ფართობის დამქირავებელს უფლება აქვს გაცვალოს მის მიერ დაქირავებული ფართობი.

საცხოვრებელი ფართობის გაცვლა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში, აგრეთვე იმ სახლებში, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, დასაშვებია მხოლოდ გამქირავებლის თანხმობით. საცხოვრებელი ფართობის გაცვლის წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

დამქირავებელს შეუძლია გადააქირაოს საცხოვრებელი ფართობი იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომლებიც დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 61. ხელშეკრულების მოშლა გამქირავებლის მიერ

საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულება არ შეიძლება მოშლილ იქნეს და დამქირავებელი არ შეიძლება გასახლებულ იქნეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობიდან სხვანაირად, თუ არა სასამართლო წესით (გარდა 63 მუხლში აღნიშნული შემთხვევებისა) და კანონით დადგენილ საფუძველზე.

დამქირავებელს, რომელსაც კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე გამოასახლებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სახლიდან ან სახელმწიფო, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლიდან, გამქირავებელმა უნდა მისცეს სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი, გარდა ქვემოაღნიშნული შემთხვევებისა.

თუ დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრები სისტემატურად ანგრევენ ან აფუჭებენ საცხოვრებელ ფართობს ან სისტემატურად არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, რითაც სხვებისათვის შეუძლებელს ხდიან მათთან ერთად ბინაში ან ერთ სახლში ცხოვრებას, ხოლო გაფრთხილებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები უშედეგო აღმოჩნდა, დამრღვევის გასახლება წარმოებს სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ითვალისწინებს ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის პირობებს სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები დიდ ხანს არ არიან იქ იმ შემთხვევებში, როცა დამქირავებელს აქვს პირადი საკუთრების უფლება იმავე დასახლებულ პუნქტში ფლობდეს საცხოვრებელ სახლს, რომელიც ვარგისია მუდმივ საცხოვრებლად, და შესაძლებლობა აქვს ჩასახლდეს იქ, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა საცხოვრებელი ფართობის დამქირავებლები იმ სახლებში, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, სისტემატურად არ იხდიან ბინის ქირას.

მუხლი 62. საწარმოთა და დაწესებულებათა სახლებიდან გამოსახლების განსაკუთრებული შემთხვევები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიძლება დაადგინონ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოთა და დაწესებულებათა და ცალკეულ უწყებათა სიები, რომელთა სახლებიდან დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა სასამართლო წესით გამოსახლება საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ან დანაშაულის ჩადენისათვის.

მაგრამ საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად ამ შემთხვევებშიც არ შეიძლება გამოსახლებულ იქნან ომის ინვალიდები, I და II ჯგუფების შრომის ინვალიდები, პენსიონერები მოხუცებულობის გამო, პერსონალური პენსიონერები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ პირთა ოჯახები, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახები, რომლებიც დაღუპნენ ან უგზოუკვლოდ დაიკარგნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს.

მუხლი 63. ადმინისტრაციული გამოსახლება

მოქალაქეთა გამოსახლება ადმინისტრაციული წესით არ დაიშვება, გარდა იმ პირთა გამოსახლებისა, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს საცხოვრებელი ფართობი, აგრეთვე დამქირავებელთა გამოსახლებისა იმ სახლებიდან, რომლებსაც ჩამონგრევა ემუქრებათ. იმ სახლებიდან გამოსახლებულ დამქირავებლებს, რომლებსაც ჩამონგრევა ემუქრება, ეძლევათ სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს სასამსახურო ფართობიდან, საერთო საცხოვრებლებიდან და სასტუმროებიდან გამოსახლების ადმინისტრაციული წესი.

თავი 7

ნარდად მუშაობა

მუხლი 64. ნარდად მუშაობის ხელშეკრულება

ნარდად მუშაობის ხელშეკრულებით სამუშაოს ნარდად ამღები, ვალდებულებას კისრულობს, თავისი რისკით შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო შემკვეთის დავალებით მისი ან თავისი მასალებით, ხოლო შემკვეთი კისრულობს ვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულებას მიიღოს და აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო.

მონარდე მოვალეა ყოველი ზომა მიიღოს, რათა უზრუნველყოს შემკვეთის მიერ მინდობილი ქონების შენახვა და პასუხს აგებს ყოველი ისეთი დაუდევრობისათვის, რასაც მოჰყვება ამ ქონების დაკარგვა ან დაზიანება.

მუხლი 65. შემკვეთის უფლებები მენარდის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში

თუ მენარდემ გადაუხვია ხელშეკრულების პირობებს, რამაც გააუარესა სამუშაო, ან დაუშვა სხვა ნაკლი მუშაობაში, შემკვეთს უფლება აქვს თავისი არჩევანით მოითხოვოს: აღნიშნული ნაკლის უსასყიდლოდ გასწორება სათანადო ვადაში ან შემკვეთის მიერ გაღებული საჭირო ხარჯების ანაზღაურება თავისი სახსრებით სამუშაოთა ნაკლის გამოსასწორებლად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემკვეთის ასეთი უფლება, ან სამუშაოსათვის გასამრჯელოს შესაბამისად შემცირება.

თუ სამუშაოში არის არსებითი გადახვევა ხელშეკრულებიდან ან სხვა არსებითი ნაკლი, შემკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და ზარალის ანაზღაურება.

მუხლი 66. წესები მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების მომსახურების ნარდად მუშაობის ხელშეკრულების შესახებ

წესებს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების მომსახურების ნარდად მუშაობის ხელშეკრულების შესახებ (საყოფაცხოვრებო შეკვეთა) ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ტიპობრივ ხელშეკრულებებს მოქალაქეების ცალკეულ სახეობათა მომსახურების შესახებ ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები. ტიპობრივი ხელშეკრულების პირობებისაგან გადახვევა, რაც ზღუდავს შემკვეთის უფლებებს, ბათილია.

თავი 8

ნარდად მუშაობა კაპიტალურ მშენებლობაზე

მუხლი 67. კაპიტალურ მშენებლობაზე ნარდად მუშაობის ხელშეკრულება

კაპიტალურ მშენებლობაზე ნარდად მუშაობის ხელშეკრულებით მენარდე ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას თავისი ძალებით და სახსრებით ააშენოს და ჩააბაროს შემკვეთ ორგანიზაციას გეგმით გათვალისწინებული ობიექტი დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად დადგენილ ვადაში, ხოლო შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას აღმოუჩინოს მენარდეს სამშენებლო მოედანი, გადასცეს მას დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, უზრუნველყოს მშენებლობის დროზე დაფინანსება, მიიღოს ობიექტები, რომელთა მშენებლობა დამთავრებულია, და გადაუხადოს მათი საფასური.

მშენებლობის უზრუნველყოფა ტექნოლოგიური, ენერგეტიკული, ელექტროტექნიკური და საერთო საქარხნო მოწყობილობით და აპარატურით ეკისრება შემკვეთს, გარდა სპეციალური დადგენილებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სპეციალური დადგენილებებით შემკვეთს შეიძლება დაეკისროს მშენებლობის უზრუნველყოფა მასალებით.

მუხლი 68. გენერალური მენარდე და ქვემენარდე

კაპიტალურ მშენებლობაზე ნარდად მუშაობის ხელშეკრულებას შემკვეთი დებს ერთ სამშენებლო ორგანიზაციასთან, რომელსაც როგორც გენერალურ მენარდეს უფლება აქვს ქვენარდად მუშაობის ხელშეკრულების საფუძველზე მიანდოს სამუშაოთა ცალკეული კომპლექსების შესრულება სპეციალიზებულ ორგანიზაციებს (ამ საფუძვლების 38 მუხლი).

მოწყობილობის მონტაჟის სამუშაოთა შესრულების ხელშეკრულებას შემკვეთი დებს ან გენერალურ მენარდეებთან ან მოწყობილობის მიმწოდებელთან.

გენერალური მენარდის თანხმობით სამონტაჟო და სხვა სპეციალურ სამუშაოთა შესრულების ხელშეკრულებანი შემკვეთმა შეიძლება დადოს სამონტაჟო ან სხვა სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან.

მუხლი 69. შემკვეთის უფლებები

შემკვეთი ახორციელებს კონტროლსა და ტექნიკურ ზედამხედველობას, რომ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, ღირებულება და ხარისხი შეესაბამებოდეს პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს. მას უფლება აქვს ყოველ დროს შეამოწმოს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა მსვლელობა და ხარისხი, აგრეთვე გამოყენებული მასალების ხარისხი, ამასთან არ უნდა ჩაერიოს მენარდის ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში.

სამუშაოთა შესრულების ან სამუშაოებისათვის გამოყენებული მასალების ნაკლი, რომელიც დაშვებულია მენარდის (ან ქვემენარდის) ბრალით, მენარდემ უნდა გამოასწოროს თავისი ხარჯით.

მუხლი 70. მხარეთა პასუხისმგებლობა კაპიტალურ მშენებლობაზე ნარდად მუშაობის ხელშეკრულების დარღვევისათვის

კაპიტალურ მშენებლობაზე ნარდად მუშაობის ხელშეკრულების მიხედვით მოვალეობათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხისმგებელი მხარე გადაიხდის დადგენილ პირგასამტეხლოს (საურავს), აგრეთვე აანაზღაურებს პირგასამტეხლოთი დაუფარავი თანხით ზარალს, რომელიც გამოიხატა მეორე მხარის მიერ გაწეული ხარჯებით, მისი ქონების დაკარგვით ან დაზიანებით.

პირგასამტეხლოს (საურავის) თანხები, რომლებიც მენარდემ გადაიხადა ცალკეულ სამუშაოთა შესრულების ვადების დარღვევისათვის, დაუბრუნდება მენარდეს იმ შემთხვევაში, უკეთუ ობიექტის ყველა სამუშაო დამთავრდა ხელშეკრულებით დადგენილ საბოლოო ვადაში.

მუხლი 71. წესები კაპიტალურ მშენებლობაზე ნარდად მუშაობის ხელშეკრულებათა შესახებ

კაპიტალურ მშენებლობაზე ნარდად მუშაობის ხელშეკრულებები დაიდება და სრულდება იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, ან მის მიერ დადგენილი წესით. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული წესები კოლმეურნეობებში კაპიტალურ მშენებლობაზე ნარდად მუშაობის ხელშეკრულებათა შესახებ.

თავი 9

გადაზიდვა

მუხლი 72. გადაზიდვის ხელშეკრულება

გადაზიდვის ხელშეკრულებით სატრანსპორტო ორგანიზაცია (გადამზიდველი) კისრულობს ვალდებულებას მიიტანოს გამგზავნის მიერ მისთვის მინდობილი ტვირთი დანიშნულების პუნქტში და მისცეს იგი ტვირთის მიღებისათვის უფლებამოსილ პირს (მიმღებს), ხოლო გამგზავნი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ტვირთის გადაზიდვის დადგენილი გადასახდელი.

მგზავრის გადაყვანის ხელშეკრულებით გადამყვანი კისრულობს ვალდებულებას გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების პუნქტში, ხოლო თუ მგზავრი ჩააბარებს ბაგაჟს—აგრეთვე მიიტანოს ბაგაჟი დანიშნულების პუნქტში და მისცეს იგი ბაგაჟის მიღებისათვის უფლებამოსილ პირს; მგზავრი ვალდებულია გადაიხადოს მგზავრობისათვის დაწესებული ფასი, ხოლო ბაგაჟის ჩაბარების შემთხვევაში—ბაგაჟის გადაზიდვის ფასიც.

ტვირთის გადაზიდვის, მგზავრების გადაყვანისა და ბაგაჟის გადატანის პირობები და ამ გადაზიდვისათვის მხარეების პასუხისმგებლობა ამ საფუძვლების შესაბამისად განისაზღვრება ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის წესდებებით (კოდექსებით) და დადგენილი წესებით (კოდექსებით) და დადგენილი წესებით.

მუხლი 73. ტვირთის გადაზიდვის გეგმა და პასუხისმგებლობა მისი შეუსრულებლობისათვის

სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება დაიდება გადაზიდვის გეგმის საფუძველზე, რომელიც სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

გეგმით გაუთვალისწინებელი ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებათა დადება დასაშვებია სატრანსპორტო წესდებით (კოდექსებით) დადგენილი წესით.

გადამზიდველსა და გამგზავნს ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა გადასაზიდი საშუალებების მიუწოდებლობისათვის, გადასაზიდად ტვირთის წარუდგენლობისათვის და იმ მოვალეობათა სხვა დარღვევისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ გადაზიდვის გეგმიდან, აგრეთვე ასეთივე დარღვევებისათვის იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მეორე ნაწილით.

მუხლი 74. გადამზიდველის პასუხისმგებლობა ტვირთის ან ბაგაჟის დაკარგვისათვის, დანაკლისისა და დაზიანებისათვის

გადამზიდველი პასუხს აგებს გადასაზიდად მიღებული ტვირთისა და ბაგაჟის დაკარგვისათვის, დანაკლისისა და დაზიანებისათვის თუ ვერ დაამტკიცებს, რომ დაკარგვა, დანაკლისი ან დაზიანება მისი ბრალით არ მომხდარა (ამ საფუძვლების 37 მუხლი).

სატრანსპორტო წესდებაში (კოდექსებში) შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემთხვევები, როცა ტვირთის დაკარგვაში, დანაკლისში ან დაზიანებაში გადამზიდველის ბრალის დამტკიცება ევალება მიმღებს ან გამგზავნს.

მუხლი 75. ტვირთისა და ბაგაჟის მიტანის ვადა და პასუხისმგებლობა ვადის გადაცილებისათვის

გადამზიდველი მოვალეა ტვირთი ან ბაგაჟი დანიშნულების პუნქტში მიიტანოს იმ ვადაში, რომელიც დადგენილია სატრანსპორტო წესდებებით (კოდექსებით) ან სათანადოდ გამოცემული წესებით. თუ აღნიშნული წესით მიტანის ვადა არ არის დადგენილი, მხარეებს უფლება აქვთ ეს ვადა განსაზღვრონ ხელშეკრულებით.

გადამზიდველი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ტვირთის ან ბაგაჟის მიტანის ვადის გადაცილებისათვის, თუ ვადის გადაცილება არ მომხდარა მისი ბრალით.

მუხლი 76. გადაზიდვიდან გამომდინარე პრეტენზიები და სარჩელები

გადამზიდველისადმი გადაზიდვიდან გამომდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარე სარჩელის წარდგენამდე სავალდებულოა მისთვის პრეტენზიის წარდგენა.

პრეტენზიები შეიძლება წარდგენილ იქნეს ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო პრეტენზიები ჯარიმებისა და პრემიების გადახდის შესახებ — 45 დღის განმავლობაში. გადამზიდველი მოვალეა განიხილოს განცხადებული პრეტენზია და აცნობოს განმცხადებელს მისი დაკმაყოფილების ან უარის შესახებ სამი თვის განმავლობაში, ხოლო იმ გადაზიდვის პრეტენზიების გამო, რომელსაც გადამზიდველები ახორციელებენ სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტით ერთ დოკუმენტით, — ექვსი თვის განმავლობაში და პრეტენზიების ჯარიმის ან პრემიის გადახდის შესახებ — 45 დღის განმავლობაში.

თუ პრეტენზიას უარი ეთქვა ან პასუხი მიღებული არ არის ამ მუხლით დადგენილ ვადაში, განმცხადებელს უფლება ეძლევა წარადგინოს სარჩელი ორ თვეში პასუხის მიღებიდან ან პასუხისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან.

გადამზიდველის მიერ გამგზავნისათვის, მიმღების ან მგზავრისათვის გადაზიდვიდან გამომდინარე სარჩელების წარსადგენად დადგენილია ექვსი თვის ვადა. სარჩელის ხანდაზმულობის ვადებს და საზღვარგარეთის მიმოსვლაში გადაზიდვასთან დაკავშირებულ დავაზე სარჩელების წარდგენის წესს იდგენენ სატრანსპორტო წესდებები (კოდექსები) ან საერთაშორისო შეთანხმებები.

მუხლი 77. გადაყვანის პასუხისმგებლობა მგზავრის სიკვდილისათვის ან ჯანმრთელობის დაზიანებისათვის

გადამყვანის პასუხისმგებლობა მგზავრის სიკვდილისათვის ან ჯანმრთელობის დაზიანებისათვის განისაზღვრება ამ კარის 12 თავის წესების მიხედვით, თუ კანონით გათვალისწინებული არ არის ვაძლიერებული პასუხისმგებლობა.

თავი 10

სახელმწიფო დაზღვევა

მუხლი 78. დაზღვევის სახეობანი.

სახელმწიფო დაზღვევა ხორციელდება სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის ფორმით.

მუხლი 79. სავალდებული დაზღვევა

სავალდებულოა იმ ქონების დაზღვევა, რომელიც აღნიშნულია კანონში ამ კანონით დადგენილი პირობებით.

სავალდებულო დაზღვევით სადაზღვევო ორგანიზაცია კანონით გათვალისწინებული მოვლენის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას დამზღვევს ან სხვა პირს, რომელსაც ეკუთვნის დაზღვეული ქონება აუნაზღაურებს ზიანს: ქონების სრული დაღუპვის დროს — სადაზღვევო უზრუნველყოფის სრული თანხით, ხოლო ნაწილობრივ დაზიანების დროს — სადაზღვევო უზრუნველყოფის სათანადო ნაწილის ოდენობით. დამზღვევი მოვალეა შეიტანოს დადგენილი სადაზღვევო გადასახდელები.

სავალდებულო პირადი დაზღვევის სახეობებს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 80. ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულება

ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებით დამზღვევი ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულებაში აღნიშნული მოვლენის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომის დროს:

ქონებრივ დაზღვევაში — აუნაზღაუროს დამზღვევს ან სხვა პირს, რომლის სასარგებლოდაც დადებულია ხელშეკრულება, მიყენებული ზიანისათვის (გადაუხადოს სადაზღვევო საზღაური) ხელშეკრულებით დათქმული თანხის (დაზღვევის თანხის) ფარგლებში, ხოლო როცა ქონება დაზღვეულია არასრული ღირებულებით. — ზიანის შესაბამისი ნაწილი, თუ დაზღვევის წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

პირად დაზღვევაში — გადაუხადოს დამზღვევს ან სხვა პირს, რომლის სასარგებლოდ დადებულია ხელშეკრულება, ხელშეკრულებით დაპირობებული დაზღვევის თანხა, მიუხედავად იმისა, თუ რა თანხა ეკუთვნის მას სახელმწიფო სოციალური დაზღვევით, სოციალური უზრუნველყოფით და რა თანხა ეკუთვნის ზიანის ანაზღაურების წესით.

დამზღვევი კისრულობს ვალდებულებას იხადოს ხელშეკრულებით დადგენილი სადაზღვევო გადასახდელი.

მუხლი 81. დამზღვევ ორგანიზაციაზე დაზღვევის უფლებათა გადასვლა იმ პირის მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია მიყენებული ზიანისათვის

დამზღვევ ორგანიზაციაზე, რომელმაც გადაიხადა სადაზღვევო საზღაური ქონებრივი დაზღვევით, ამ თანხის ფარგლებში გადადის მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევს (ან სხვა პირს, რომელმაც მიიღო სადაზღვევო საზღაური) აქვს იმ პირის მიმართ, ვინც პასუხისმგებელია მიყენებული ზიანისათვის.

მუხლი 82. დაზღვევის წესები

დაზღვევის წესები დამტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თავი 11

საანგარიშსწორებო და საკრედიტო ურთიერთობა

მუხლი 83. ანგარიშსწორება ორგანიზაციებს შორის

გადასახდელები ვალდებულებებით სახელმწიფო ორგანიზაციებსა, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზაციებს შორის წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით საკრედიტო დაწესებულებათა მეშვეობით, რომლებშიც აღნიშნული ორგანიზაციები კანონის შესაბამისად ინახავენ თავიანთ ფულად სახსრებს. ანგარიშსწორების წესსა და ფორმებს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

ანგარიშსწორება ნაღდი ფულით სახელმწიფო ორგანიზაციებსა, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დაშვებულია იმ შემთხვევებსა და ფარგლებში, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 84. განკარგულება ფულადი სახსრებისა, რომლებიც ინახება ორგანიზაციათა ანგარიშებზე საკრედიტო დაწესებულებებში

ორგანიზაციები ფულად სახსრებს, რომლებიც მათ ანგარიშზე ინახება საკრედიტო დაწესებულებებში. განკარგავენ ამ სახსრების მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად.

სახსრები, რომლებიც საჭიროა ხელფასისა და მასთან გათანაბრებულ გადასახდელთა გასაცემად, ორგანიზაციის ანგარიშიდან გაიცემა მიუხედავად ანგარიშის მფლობელისადმი რაიმე პრეტენზიის არსებობისა. გამონაკლისი ამ წესიდან შეიძლება დაადგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

ორგანიზაციის თანხმობის მიუღებლად იმ სახსრების ჩამოწერა, რომლებიც მის ანგარიშზეა საკრედიტო დაწესებულებაში, დასაშვებია მხოლოდ სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

პრეტენზიების დაკმაყოფილების დროს დაცულია რიგისობა, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

მუხლი 85. ორგანიზაციების დაკრედიტება

სახელმწიფო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაკრედიტება წარმოებს დამტკიცებული გეგმების თანახმად სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის სხვა ბანკების მიერ მიზნობრივი ვადიანი სესხების გაცემის გზით იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

ერთი ორგანიზაციის მიერ მეორე ორგანიზაციის დაკრედიტება ნატურალური ან ფულადი ფორმით, მათ შორის ავანსების გაცემა, დაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

საწარმოო დახმარების გაწევისას ერთი კოლმეურნეობის მიერ მეორე კოლმეურნეობის დაკრედიტების პირობებსა და წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 86. ბანკის სესხი მოქალაქეებისათვის

სსრ კავშირის ბანკები მოქალაქეებს სესხს აძლევენ იმ შემთხვევებში და იმ წესით, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

მუხლი 87. მოქალაქეთა ანაბრები საკრედიტო დაწესებულებებში

მოქალაქეებს შეუძლიათ ფულადი სახსრები შეინახონ სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში, განკარგონ ანაბრები, მიიღონ ანაბრებზე შემოსავალი პროცენტების ან მოგებათა სახით, აწარმოონ უნაღდო ანგარიშსწორება საკრედიტო დაწესებულებათა წესდებებისა და დადგენილი წესით გამოცემული წესების შესაბამისად.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ანაბრების საიდუმლოებას, მათ შენახვასა და გაცემას მეანაბრის პირველი მოთხოვნისთანავე.

სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების განკარგვის წესი განისაზღვრება მათი წესდებებით და ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წესებით.

სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში მოქალაქეთა ანაბრებზე გადახდევინების მიქცევა შეიძლება სასამართლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც დაკმაყოფილებულია სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე სამოქალაქო სარჩელი, ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ალიმენტის გადახდევინების სარჩელზე (თუ არ არის ხელფასი ან სხვა ქონება, რომელზეც შეიძლება გადახდევინების მიქცევა), ან იმ ანაბრის გაყოფის შესახებ სარჩელზე, რომელიც მეუღლეების თანაბარი ქონებაა. აღნიშნულ საკრედიტო დაწესებულებებში მოქალაქეთა ანაბრების კონფისკაცია შეიძლება მოხდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან კანონის შესაბამისად ქონების კონფისკაციის შესახებ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე.

თავი 12

ვალდებულებანი, რომლებიც წარმოიშვება ზიანის მიყენების შედეგად

მუხლი 88. ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლები

ზიანი, რომელიც მიაყენეს მოქალაქის პიროვნებას ან ქონებას, აგრეთვე ზიანი, რომელიც მიაყენეს ორგანიზაციას, სრული მოცულობით უნდა აანაზღაუროს იმ პირმა, ვინც ზიანი მიაყენა.

ზიანის მიმყენებელი გათავისუფლდება მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაზღაურებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალით არ ყოფილა მიყენებული.

ორგანიზაცია მოვალეა აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიყენებულია მისი მუშაკების ბრალით შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულების დროს.

ზიანი, რომელიც მიყენებულია მართლზომიერი მოქმედებით, ანაზღაურდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 89. სახელმწიფო დაწესებულებათა პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც მიყენებულია მათი თანამდებობის პირების მოქმედებით

სახელმწიფო დაწესებულებანი პასუხს აგებენ ზიანისათვის, რომელიც მოქალაქეებს მიაყენა მათი თანამდებობის პირების არასწორმა სამსახურებრივმა მოქმედებამ ადმინისტრაციულ მმართველობის დარგში, საერთო საფუძველზე (ამ საფუძვლების 88 მუხლი), თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ზიანისათვის, რომელიც თანამდებობის პირთა ასეთი მოქმედებით მოუვიდათ ორგანიზაციებს, სახელმწიფო დაწესებულებები პასუხს აგებენ კანონით დადგენილი წესით.

ზიანისათვის, რომელიც მიყენებულია მოკვლევის,წინასწარი გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების თანამდებობის პირთა არასწორი სამსახურებრივი მოქმედებით, სათანადო სახელმწიფო ორგანოებს ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

მუხლი 90. პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც მიყენებულია მომეტებული საფრთხის წყაროთი

ის ორგანიზაციები და მოქალაქენი, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მომეტებულ საფრთხესთან გარშემო მყოფთათვის (სატრანსპორტო ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოები, მშენებლობები, ავტომობილთა მფლობელები და სხვ.), ვალდებული არიან აანაზღაურონ ზიანი, რომელიც მიაყენა მომეტებული საფრთხის წყარომ, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანი წარმოიშვა დაუძლეველი ძალის ან დაზარალებულის განზრახვის გამო.

მუხლი 91. პასუხისმგებლობა მოქალაქის ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიკვდილისათვის, რომლისთვისაც ზიანის მიმყენებელი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანით

თუ მუშაკს თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიაყენეს დასახიჩრება ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანება ორგანიზაციის ან მოქალაქის ბრალით, რომლებიც მოვალენი არიან გადაიხადონ მისი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესატანები, ამ ორგანიზაციამ ან მოქალაქემ დაზარალებულს უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ ნაწილში, რომელიც აღემატება მის მიერ მიღებული დახმარების ან მისი ჯანმრთელობის დაზიანების შემდეგ დანიშნული და ფაქტიურად მიღებული პენსიის თანხას. გამონაკლისი ამ წესიდან შეიძლება დადგენილ იქნეს სსრ კავშირის კანონმდებლობით.

დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში ზიანის საზღაურის უფლება აქვთ გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ შრომისუუნარო პირებს ან იმ პირებს, რომლებსაც მისი სიკვდილის დღისათვის უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო, აგრეთვე გარდაცვლილის ბავშვს, რომელიც დაიბადა მისი სიკვდილის შემდეგ.

მუხლი 92. პასუხისმგებლობა მოქალაქის ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიკვდილისათვის, რომლისთვისაც ზიანის მიმყენებელი მოვალე არ არის გადაიხადოს სადაზღვევო შესატანები

თუ დასახიჩრება ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანება მიყენებულია იმ ორგანიზაციის ან მოქალაქის მიერ, რომელიც მოვალე არ არის გადაიხადოს დაზარალებულისათვის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესატანები, ამ ორგანიზაციამ ან მოქალაქემ უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულს ზიანი ამ საფუძვლების 88 და 90 მუხლების წესებით იმ ნაწილში, რომელიც ამედატება მის მიერ მიღებული დახმარების ან ჯანმრთელობის დაზიანების შემდეგ მისთვის დანიშნული და ფაქტიურად მიღებული პენსიის თანხას.

დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების უფლება აქვთ ამ საფუძვლების 91 მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულ პირებს.

მუხლი 93. დაზარალებულის ბრალისა და ზიანის მიმყენებელი პირის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინება

თუ თვით დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობა ხელს უწყობდა ზიანის წარმოშობას ან გადიდებას, დაზარალებულის ბრალის ხარისხის მიხედვით (ხოლო ზიანის მიმყენებლის ბრალის დროს მისი ბრალის ხარისხის მიხედვითაც) ანაზღაურების ოდენობა უნდა შემცირდეს ან ზიანის ანაზღაურებაზე უარი უნდა ეთქვას.

სასამართლოს შეუძლია მოქალაქის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ოდენობა შეამციროს მისი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 94. რეგრესული მოთხოვნები.

ორგანიზაცია ან მოქალაქე, რომელიც პასუხისმგებელია ზიანის მიყენებისათვის, მოვალეა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს რეგრესული მოთხოვნით აანაზღაუროს დახმარების ან პენსიის თანხა, რომელიც მიეცათ ამ საფუძვლების 91 და 92 მუხლებში აღნიშნულ პირებს.

ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემცირების შემთხვევაში (ამ საფუძვლების 93 მუხლი) შესაბამისად მცირდება აგრეთვე ანაზღაურების ოდენობა რეგრესული მოთხოვნით.

თავი 13

სოციალისტური ქონების გადარჩენის გამო წარმოშობილი ვალდებულებანი

მუხლი 95. სოციალისტური ქონების გადარჩენისას გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

ზიანი, რომელიც მოქალაქემ განიცადა სოციალისტური ქონების გადარჩენის დროს იმ საფრთხისაგან, რაც ამ ქონებას ემუქრება, უნდა აანაზღაუროს იმ ორგანიზაციამ, რომლის ქონებაც გადაარჩინა დაზარალებულმა, ზიანის ანაზღაურების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ᲙᲐᲠᲘ IV

საავტორო სამართალი

მუხლი 96. ნაწარმოებნი, რომლებზეც საავტორო სამართლის მოქმედება ვრცელდება

საავტორო სამართლის მოქმედება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებებზე, მიუხედავად ნაწარმოების ფორმის, დანიშნულების და ღირსებისა, აგრეთვე მიუხედავად მისი აღბეჭდვის წესისა.

საავტორო სამართლის მოქმედება ვრცელდება ნაწარმოებებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია ან არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რომელიც იძლევა ავტორის შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგის აღბეჭდვის შესაძლებლობას (ხელნაწერი, ნახაზი, გამოხატულება, საჯაროდ წარმოთქმა ან შესრულება, ფირი, მექანიკური ან მაგნიტური ჩანაწერი და სხვ.).

მუხლი 97. საავტორო უფლება სსრ კავშირის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ გამოშვებულ ნაწარმოებებზე

საავტორო უფლება ნაწარმოებებზე, რომელიც პირველად გამოქვეყნდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე ან არ გამოქვეყნებულა, მაგრამ სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით, ეკუთვნის ავტორს და მის მემკვიდრეებს მათი მოქალაქეობის მიუხედავად.

საავტორო უფლება ეკუთვნით აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქეებს, რომელთა ნაწარმოებნი პირველად გამოქვეყნებულია ან რაიმე ობიექტური ფორმით არსებობს უცხოეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აგრეთვე ეკუთვნით მათ მემკვიდრეებს.

სხვა პირებს საავტორო უფლება ნაწარმობზე, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ან რაიმე ობიექტური ფორმით არსებობს უცხოეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ეკუთვნით მხოლოდ სსრ კავშირის მიერ დადებულ სათანადო საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე და მათ ფარგლებში.

მუხლი 98. ავტორის უფლებები

ავტორს უფლება აქვს:

გამოაქვეყნოს, აღბეჭდოს და გაავრცელოს თავისი ნაწარმოები კანონით დაშვებული ყველა საშუალებით საკუთარი სახელით, პირობითი სახელით (ფსევდონიმი) ან სახელის აღუნიშნავად (ანონიმურად), ნაწარმოების ხელშეუხებლობისა;

მიიღოს ანაზღაურება სხვა პირების მიერ ნაწარმოების გამოყენებისათვის, გარდა კანონში აღნიშნული შემთხვევებისა. საავტორო გასამრჯელოს განაკვეთებს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 99. თანაავტორობა

საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია ორი ან მეტი პირის საერთო შრომით (კოლექტიური ნაწარმოები), ეკუთვნით თანაავტორებს საზიაროდ, მიუხედავად იმისა, ქმნის თუ არა ასეთი ნაწარმოებები ერთ განუწყვეტელ მთლიანობას, თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითეულს აგრეთვე აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. თითოეული თანაავტორი ინარჩუნებს საავტორო უფლებას კოლექტიური ნაწარმოების მის მიერ შექმნილ ნაწილზე, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.

მუხლი 100. იურიდიულ პირთა საავტორო უფლება. საავტორო უფლება ნაწარმობებზე, რომელიც შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით

იურიდიულ პირებს საავტორო უფლება ეკუთვნით იმ შემთხვევებში და იმ ფარგლებში, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

იმ ნაწარმოების ავტორს, რომელიც შექმნილია სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით სამეცნიერო ან სხვა ორგანიზაციაში, ეკუთვნის საავტორო უფლება ამ ნაწარმოებზე. ორგანიზაციის მიერ ასეთი ნაწარმოების გამოყენების წესს და ავტორისათვის გასამრჯელოს მიცემის შემთხვევებს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 101. ავტორის ნაწარმოების გამოყენება სხვა პირების მიერ

ავტორის ნაწარმოების გამოყენება სხვა პირების მიერ დასაშვებია მხოლოდ ავტორთან ან მის მემკვიდრეებთან ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა კანონში აღნიშნული შემთხვევებისა.

ტიპობრივი ხელშეკრულებები ნაწარმოების გამოყენების შესახებ (საგამომცემლო, დადგმის, კინოსცენარისა ან სხვა საავტორო ხელშეკრულებანი) დამტკიცდება იმ წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ავტორთან დადებული ხელშეკრულების პირობები, რომლებიც აუარესებენ მის მდგომარეობას კანონით ან ტიპობრივი ხელშეკრულებით დადგენილ მდგომარეობასთან შედარებით, ბათილია და შეიცვლება კანონით ან ტიპობრივი ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით.

მუხლი 102. ნაწარმოების თარგმნა სხვა ენაზე

ყოველი გამოცემული ნაწარმოები შეიძლება გადაითარგმნოს სხვა ენაზე ავტორის თანხმობის გარეშე, მაგრამ მისთვის შეტყობინებით და იმ პირობით, რომ შენარჩუნებულ იქნეს ნაწარმოების მთლიანობა და აზრი. სხვა ენაზე სათარგმნელად ნაწარმოების გამოყენებისათვის ანაზღაურების უფლება ეკუთვნის ორიგინალის ავტორს იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მთარგმნელს აქვს საავტორო უფლება მის მიერ შესრულებულ თარგმანზე.

მუხლი 103. ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობის გარეშე და საავტორო გასამრჯელოს გადაუხდელად

დასაშვებია ავტორის თანხმობის გარეშე და საავტორო გასამრჯელოს გადაუხდელად, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორის გვარის და ნასესხობის წყაროს აუცილებელი მითითებით:

1) სხვისი გამოცემული ნაწარმოების გამოყენება ახალ, შემოქმედებითად დამოუკიდებელი ნაწარმოების შესაქმნელად, გარდა თხრობითი ნაწარმოების გადამუშავებისა დრამატულ ნაწარმოებად ან სცენარად და პირიქით, აგრეთვე დრამატული ნაწარმოების გადამუშავებასა სცენარად და პირიქით;

2) მეცნიერულ და კრიტიკულ ნაშრომებში, სასწავლო და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო გამოცემებში, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკე გამოცემული ნაწარმოებების და მათი ნაწყვეტების აღებეჭდვა იმ ფარგლებში, რომლებიც დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით;

3) ინფორმაცია პერიოდულ პრესაში, კინოში, რადიოთი და ტელეხიდვით ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოშვებულ ნაწარმოებთა შესახებ;

4) გაზეთებში, კინოში, რადიოთი და ტელევიზიით საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების, მოხსენებების, აგრეთვე ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოშვებულ ნაწარმოებთა აღებეჭდვა;

5) თავისუფალი დათვალიერებისათვის ღია ადგილებში, გამოფენებისა და მუზეუმების გარდა, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა რაიმე წესით აღებეჭდვა, გარდა მექანიკური კონტაქტური პირის გადაღებისა.

მუხლი 104. ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობის გარეშე საავტორო გასამრჯელოს გადახდით

დასაშვებია ავტორის თანხმობის გარეშე, მაგრამ მისი გვარის აღნიშვნით და საავტორო გასამრჯელოს გაცემით:

1) გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა საჯარო შესრულება; მაგრამ, თუ მნახველებს ფულს არ ახდევინებენ, ავტორს გასამრჯელოს უფლება აქვს მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში;

2) საჯარო აღებეჭდვის ან გავრცელების მიზნით გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა ჩაწერა ფირზე, ფირფიტაზე, მაგნიტურ ლენტზე ან სხვა მოწყობილობაზე, გარდა ნაწარმოებთა გამოყენების კინოში, რადიოთი ან ტელეხედვით (ამ საფუძვლების 103 მუხლის 4 პუნქტი);

3) გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების გამოყენება კომპოზიტორის მიერ ტექსტიანი მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად;

4) სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა, აგრეთვე ფოტოგრაფიულ ნაწარმოებთა გამოყენება სამრეწველო ნაკეთობებში; ამ შემთხვევებში ავტორის გვარის აღნიშვნა სავალდებულო არ არის.

მუხლი 105. საავტორო უფლების მოქმედების ვადა

საავტორო უფლება ავტორს ეკუთვნის მთელ სიცოცხლეში. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს ცალკეულ სახეობათა ნაწარმოებებზე საავტორო უფლების მოქმედების შემოკლებული ვადები.

საავტორო უფლება გადადის მემკვიდრეობით იმ წესითა და იმ ფარგლებში, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. საავტორო უფლების მოქმედების შემოკლებული ვადის დროს იგი გადადის მემკვიდრეებზე ავტორის სიკვდილამდე ვადის გაუსვლელ ნაწილზე.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგინდება მემკვიდრეების მიერ საავტორო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლების განხორციელების ფარგლები, კერძოდ, მათთვის საავტორო გასამრჯელოს მიცემის ფარგლები მისი თანხის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს იმ გასამრჯელოს 50 პროცენტისა, რომელიც თვით ავტორს ეკუთვნოდა.

მუხლი 106. საავტორო უფლების გამოსყიდვა სახელმწიფოს მიერ

საავტორო უფლება ნაწარმოების გამოცემაზე, საჯარო შესრულებასა და სხვაგვარ გამოყენებაზე სახელმწიფომ შეიძლება იძულებით გამოისყიდოს ავტორისაგან ან მისი მემკვიდრეებისაგან იმ წესით, რომელიც დადგენილია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

კარი V

აღმოჩენის უფლება

მუხლი 107. აღმოჩენის ავტორის უფლება

აღმოჩენის ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი ავტორობისა და პრიორიტეტის ცნობა, რომელიც დადასტურებულია იმ შემთხვევებსა და იმ წესით გაცემულ დიპლომში, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით აღმოჩენების, გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ.

აღმოჩენის ავტორს აქვს გასამრჯელოს უფლება, რომელიც მას ეძლევა დიპლომის მიღების დროს, აგრეთვე შეღავათების უფლება, რომლებიც გათვალისწინებულია დებულებით აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ.

მუხლი 108. აღმოჩენის ავტორის უფლებათა გადასვლა მემკვიდრეობით

აღმოჩენის გარდაცვლილი ავტორის დიპლომის, აგრეთვე აღმოჩენისათვის გასამრჯელოს მიღების უფლება მემკვიდრეობით გადადის კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 109. დავა აღმოჩენის ავტორის შესახებ

დავას აღმოჩენის ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ გადაწყვეტს სასამართლო.

კარი VI

გამომგონებლობის სამართალი

მუხლი 110. საავტორო მოწმობა და პატენტი

გამოგონების ავტორს თავისი არჩევანით შეუძლია მოითხოვოს ან მხოლოდ თავისი ავტორობის ცნობა, ან ავტორობის ცნობა და გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების მინიჭება. პირველ შემთხვევაში გამოგონებაზე გაიცემა საავტორო მოწმობა, მეორე შემთხვევაში — პატენტი.

საავტორო მოწმობები და პატენტები გაიცემა იმ პირობებში და იმ წესით, რომლებიც გათვალისწინებულია დებულებით აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ.

სსრ კავშირის ფარგლებში მომხდარ გამოგონებათა და საბჭოთა მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ მომხდარ გამოგონებათა დაპატენტება, აგრეთვე საბჭოთა გამოგონებების ყოველგვარი გადაცემა საზღვარგარეთ დაიშვება მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 111. გამოგონების გამოყენება, რომელზეც გაცემულია საავტორო მოწმობა

იმ შემთხვევებში, როცა გამოგონებაზე გაცემულია საავტორო მოწმობა, გამოგონების გამოყენების უფლება ეკუთვნის სახელმწიფოს, რომელიც კისრულობს ზრუნვას გამოგონების რეალიზაციისათვის მისი დანერგვის მიზანშეწონილობის გათვალისწინებით.

კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანაბარ საფუძვლებზე გამოიყენონ გამოგონებანი, რომლებიც მიეკუთვნება მათი საქმიანობის ფარგლებს.

გამომგონებელს, რომელსაც მიეცა საავტორო მოწმობა, მისი გამოგონების დასანეთგავად მიღების შემთხვევაში, უფლება აქვს გასამრჯელოზე გამოგონების დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიის ან სხვა დადებითი ეფექტის მიხედვით, აგრეთვე უფლება აქვს შეღავათებზე შესაბამისად დებულებისა აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ.

მუხლი 112. პატენტის მფლობელის უფლებები

პატენტი გაიცემა თხუთმეტი წლის ვადით, დაწყებული განაცხადის შეტანის დღიდან. იმავე დღიდან დაცულია გამცხადებლის უფლებები. არავის არ შეუძლია იმ პირის თანხმობის გარეშე, ვისაც ეკუთვნის პატენტი (პატენტის მფლობელი), გამოიყენოს გამოგონება. პატენტის მფლობელს შეუძლია გასცეს ნებართვა (ლიცენზია) მისი გამოგონების გამოყენებაზე ან მთლიანად დაუთმოს სხვას პატენტი.

ორგანიზაცია, რომელმაც გამოგონებაზე განაცხადის მიცემამდე გამომგონებლისაგან დამოუკიდებლად გამოიყენა სსრ კავშირის ფარგლებში ეს გამოგონება და შეასრულა ამისათვის ყველა საჭირო სამზადისი, ინარჩუნებს უფლებას შემდგომ უსასყიდლოდ გამოიყენოს ეს გამოგონება. დავა ამ საკითხზე გადაწყდება სასამართლოს წესით.

იმ შემთხვევებში, როცა გამოგონებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოსათვის, მაგრამ პატენტის მფლობელთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება პატენტის დათმობის ან ლიცენზიის გაცემის თაობაზე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით პატენტი შეიძლება იძულებით გამოისყიდოს სახელმწიფომ ან შესაბამის ორგანიზაციას შეიძლება მიეცეს ნებართვა გამოგონების გამოყენებაზე პატენტის მფლობელისათვის გასამრჯელოს დადგენით.

მუხლი 113. რაციონალიზატორული წინადადების ავტორის უფლებები

დასანერგავად მიღებული რაციონალიზატორული წინადადებების ავტორს ეძლევა მოწმობა, რომელიც ადგენს მის ავტორობას. მას უფლება აქვს გასამრჯელოზე იმ ეკონომიის ან სხვა დადებით ეფექტის მიხედვით, რომელიც მიღებულია წინადადების დანერგვის შედეგად, აგრეთვე უფლება აქვს შეღავათებზე შესაბამისად დებულებისა აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ.

მუხლი 114. გამომგონებლისა და რაციონალიზატორის მონაწილეობა წინადადების დანერგვაში.

გამომგონებლები და რაციონალიზატორები აქტიურად უნდა უწყობდნენ ხელს მათი წინადადებების დანერგვასა და შემდგომ განვითარებას და უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ წინადადებათა დანერგვის სამუშაოების განხორციელებაში იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია დებულებით აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ.

მუხლი 115. გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორის უფლებების გადასვლა მემკვიდრეობით

გამოგონებაზე საავტორო მოწმობის ან პატენტის, რაციონალიზატორულ წინადადებაზე მოწმობის მიღების და გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის გასამრჯელოს მიღების უფლება, აგრეთვე პატენტზე დამყარებული განსაკუთრებული უფლება გამოგონებაზე მემკვიდრეობით გადადის კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 116. დავა ავტორობისა და გასამრჯელოს გაცემის შესახებ

დავა გამოგონების ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ გადაწყვეტს სასამართლო. სასამართლო გადაწყვეტს აგრეთვე დავას რაციონალიზატორულ წინადადებაზე პირველობის შესახებ, თუ ეს დავა ვერ გადაწყდება ორგანიზაციაში წინადადების დანერგვის ადგილის მიხედვით.

დავა გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის გასამრჯელოს ოდენობის, გამოანგარიშების წესისა და გაცემის ვადების საკითხებზე გადაწყდება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია დებულებით აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ, ამასთან გამომგონებელს ან რაციონალიზატორს, რომელსაც მიღებული გადაწყვეტილება არ მიაჩნია სწორად, შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

კარი VII

მემკვიდრეობის სამართალი

მუხლი 117. მემკვიდრეობის საფუძვლები

მემკვიდრეობა ხორციელდება კანონით ან ანდერძით. მემკვიდრეობა კანონით შეიძლება ყოველთვის, როდესაც და რამდენადაც იგი ანდერძით არ არის შეცვლილი.

თუ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არცერთმა მემკვიდრემ არ მიიღო მემკვიდრეობა, ან ანდერძის დამტოვებელმა ყველა მემკვიდრეს ჩამოართვა მემკვიდრეობა, გარდაცვლილის ქონება მემკვიდრეობის უფლებით გადაეცემა სახელმწიფოს.

მუხლი 118. მემკვიდრეობა კანონით

კანონით მემკვიდრეობის დროს პირველი რიგის მემკვიდრეები არიან, თანასწორ წილად, გარდაცვლილის შვილები (მათ შორის შვილად აყვანილი), მეუღლე და მშობლები (შვილად აყვანები). პირველი რიგის მემკვიდრეთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა.

სამკვიდროს დამტოვებლის შვილიშვილები და შვილთაშვილები კანონით მემკვიდრეები არიან, თუ მემკვიდრეობის გახსნის დროისთვის ცოცხალი არ არის მათი ის მშობელი, რომელიც მემკვიდრე იქნებოდა; ისინი მემკვიდრეობას იღებენ თანაბრად იმ წილისა, რომელიც მიეკუთვნებოდათ კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს კანონით მემკვიდრეების შემდგომი რიგი. შემდგომი რიგის მემკვიდრეები კანონით მემკვიდრეობისათვის გამოწვეულ იქნებიან მხოლოდ მაშინ, თუ არ არიან წინა რიგის მემკვიდრეები ან ისინი არ იღებენ მემკვიდრეობას.

კანონით მემკვიდრეების რიცხვს მიეკუთვნებიან შრომისუუნარო პირები, რომლებიც გარდაცვლილის კმაყოფაზე იყვნენ სულ ცოტა ერთ წელიწადს მის სიკვდილამდე. სხვა მემკვიდრეების ყოფნის დროს ისინი მემკვიდრეობას იღებენ იმ რიგის მემკვიდრეებთან თანაბრად, რომელიც გამოწვეულია მემკვიდრეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობის და საყოფაცხოვრებო საგნები გადადის კანონით მემკვიდრეებზე, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ სამკვიდროს დამტოვებელთან, მიუხედავად მათი რიგისა და მემკვიდრეობის წილისა. ამ ქონების მემკვიდრეობის პირობებს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 119. მემკვიდრეობა ანდერძით

ყოველ მოქალაქეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი ჩვეულებრივი საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნების გამოუკლებლივ ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, რომლებიც შედიან ან არ შედიან კანონით მემკვიდრეთა წრეში, აგრეთვე სახელმწიფოს ან ცალკეულ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სამკვიდროს დამტოვებლის არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო შვილები (მათ შორის შვილად აყვანილები), აგრეთვე გარდაცვლილის შრომისუუნარო მეუღლე, მშობლები (შვილებად ამყვანები) და კმაყოფაზე მყოფნი მემკვიდრეობას ღებულობენ მიუხედავად ანდერძის შინაარსისა, სულ ცოტა ორ მესამედ წილს, რომელიც ეკუთვნოდა თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს (სავალდებულო წილი). სავალდებულო წილის ოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია აგრეთვე სამკვიდრო ქონების ღირებულება, რომელიც შედგება ჩვეულებრივი საოჯახო და საყოფაცხოვრებო საგნებისაგან.

სიკვდილის შემთხვევისათვის იმ ანაბრების განკარგულების წესი, რომლებიც მოთავსებულია სახელმწიფო შემნახველ სალაროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში, მეანაბრეთა სპეციალური მითითებით განისაზღვრება დასახელებული საკრედიტო დაწესებულებების წესდებებით და დადგენილი წესით გამოცემული წესებით.

მუხლი 120. მემკვიდრის პასუხისმგებლობა სამკვიდროს დამტოვებლის ვალებისათვის

მემკვიდრე, რომელმაც მემკვიდრეობა მიიღო, პასუხს აგებს სამკვიდროს დამტოვებლის ვალებზე მასზე გადასული სამკვიდრო ქონების ნამდვილი ღირებულების ფარგლებში. ამავე საფუძველზე აგებს პასუხს სახელმწიფო, რომელზეც გადავიდა ქონება ამ საფუძვლების 117 და 119 მუხლების წესით.

მუხლი 121. მემკვიდრეობის გახსნის ადგილი

მემკვიდრეობის გახსნის ადგილად ჩაითვლება სამკვიდროს დამტოვებლის უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის, — ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.

ᲙᲐᲠᲘ VIII

უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებაუნარიანობა, უცხო სახელმწიფოთა სამოქალაქო კანონების, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გამოყენება.

მუხლი 122. უცხოელ მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებაუნარიანობა

უცხოელი მოქალაქეები სსრ კავშირში სარგებლობენ სამოქალაქო უფლებაუნარიანობით საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად. ცალკეული გამონაკლისები შეიძლება დადგენილ იქნეს სსრ კავშირის კანონით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეუძლია დააწესოს საპასუხო შეზღუდვები იმ სახელმწიფოთა მოქალაქეების მიმართ, რომლებშიც არის საბჭოთა მოქალაქეების სამოქალაქო უფლებაუნარიანობის სპეციალური შეზღუდვები.

მუხლი 123. მოქალაქეობის არმქონე პირთა სამოქალაქო უფლებაუნარიანობა

სსრ კავშირში მცხოვრებნი მოქალაქეობის არმქონე პირები სარგებლობენ სამოქალაქო უფლებაუნარიანობით საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად. ცალკეული გამონაკლისები შეიძლება დადგენილ იქნეს სსრ კავშირის კანონით.

მუხლი 124. უცხოეთის ორგანიზაციების საგარეო ვაჭრობის გარიგებანი

უცხოეთის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ განსაკუთრებული ნებართვის გარეშე დადონ სსრ კავშირში გარიგებანი საგარეო ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული საანგარიშსწორებო, სადაზღვევო და სხვა ოპერაციების დარგში საბჭოთა საგარეო ვაჭრობის გაერთიანებებთან და სხვა საბჭოთა ორგანიზაციებთან, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ასეთი გარიგებათა დადების უფლება.

მუხლი 125. კანონი, რომელიც გამოყენებულია გარიგების ფორმის მიმართ

საზღვარგარეთ დადებული გარიგების ფორმა ექვემდებარება გარიგების დადების ადგილის კანონს. მაგრამ გარიგება არ შეიძლება ბათილად ჩაითვალოს ფორმის დაუცველობის გამო, თუ დაცულია სსრ კავშირის და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის მოთხოვნები.

საბჭოთა ორგანიზაციების მიერ დადებულ საგარეო ვაჭრობის გარიგებათა ფორმას და მათი ხელმოწერის წესს, ამ გარიგებათა დადების ადგილის მიუხედავად, განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

სსრ კავშირში არსებულ ნაგებობათა გამო გარიგებათა ფორმა ექვემდებარება სსრ კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისა და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობას.

მუხლი 126. კანონი, რომელიც გამოყენებულია საგარეო ვაჭრობის გარიგებათა ვალდებულებების მიმართ

საგარეო ვაჭრობის გარიგებაში მხარეთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება გარიგების დადების ადგილის კანონებით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

გარიგების დადების ადგილი განისაზღვრება საბჭოთა კანონით.

მუხლი 127. კანონი, რომელიც გამოყენებულია მემკვიდრეობის მიმართ

მემკვიდრეობის ურთიერთობა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

პირის უნარი — შეადგინოს და გააუქმოს ანდერძი, აგრეთვე ანდერძისა და მისი გაუქმების აქტის ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქტის შედგენის მომენტში. მაგრამ ანდერძი და მისი გაუქმება არ შეიძლება ჩაითვალოს ბათილად ფორმის დაუცველობის გამო, თუ ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს აქტის შედგენის ადგილის კანონის მოთხოვნებს ან საბჭოთა კანონის მოთხოვნებს.

სსრ კავშირში მდებარე ნაგებობათა მემკვიდრეობა ყველა შემთხვევაში განისაზღვრება საბჭოთა კანონით. იმავე კანონით განისაზღვრება პირის უნარი შეადგინოს ან გააუქმოს ანდერძი, აგრეთვე ანდერძის ფორმა, თუ ნაანდერძევია სსრ კავშირში მდებარე ნაგებობა.

მუხლი 128. უცხოეთის კანონის გამოყენების შეზღუდვა

უცხოეთის კანონი არ გამოიყენება, თუ მისი გამოყენება ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს.

მუხლი 129. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან საერთაშორისო შეთანხმება, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, ადგენს სხვა წესებს, ვიდრე ისინი, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესები.

იგივე დებულება გამოიყენება მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებაში ან საერთაშორისო შეთანხმებაში, რომელშიც მონაწილეობს მოკავშირე რესპუბლიკა, დადგენილია სხვა წესები, ვიდრე გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო კანონმდებლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გაწვევის წესის შესახებ.

I. საერთო საფუძვლები

მუხლი 1. საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეები და სახალხო მსჯულები შეიძლება ამომრჩეველთა ან მათი ამრჩევი ორგანოს გადაწყვეტილებით ვადამდე იქნან გაწვეული, თუ მათ ვერ გაამართლეს ამომრჩეველთა ან მათი ამრჩევი ორგანოს ნდობა ან ჩაიდინეს ისეთი მოქმედება, რაც შეუფერებელია მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მაღალი წოდებისათვის.

II. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის გაწვევის წესი

მუხლი 2. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლე შეიძლება ვადამდე გაწვეულ იქნას ამ რაიონის, ქალაქის ამომრჩეველთა გადაწყვეტილებით.

მუხლი 3. სახალხო მოსამართლის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებებისათვის: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციებისათვის, პროფესიული კავშირების, კოოპერაციული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და კულტურულ საზოგადოებებისათვის მათი ცენტრალური, რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო ორგანოების სახით, აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებისათვის საწარმოებსა და დაწესებულებებში, გლეხებისათვის — კოლმეურნეობებსა და სოფლებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის — საბჭოთა მეურნეობებში, სამხედრო მოსამსახურეებისათვის — ჯარის ნაწილებში.

მუხლი 4. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მშრომელთა კრებები, რომლებიც აღძრავენ სახალხო მოსამართლის გაწვევის საკითხს, აცნობებენ ამის შესახებ სახალხო მოსამართლეს, გაწვევის საკითხის დაყენების მოტივების აღნიშვნით.

სახალხო მოსამართლეს უფლება აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან მშრომელთა კრებებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო მისი გაწვევის შესახებ საკითხის აღძვრას.

მუხლი 5. საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მშრომელთა კრებების გადაწყვეტილებები, რომლებმაც აღძრეს საკითხი სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ, გადაეგზავნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, განიხილავს წარდგენილ მასალებს და თუ სახალხო მოსამართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის გაწვევის საკითხი აღძრულია ამ კანონის მოთხოვნის დაცვით, ნიშნავს სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრას.

მუხლი. 6. მას შემდეგ, რაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული, (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს კენჭისყრას სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138-ე მუხლის თანახმად ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, ისევე როგორც საქართველოს სსრ თვითეული მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია დაუბრკოლებელი აგიტაციის უფლება სახალხო მოსამართლის როგორც გაწვევის სასარგებლოდ, ისე საწინააღმდეგოდ.

მუხლი 7. სახალხო მოსამართლის გაწვევის საკითხი განიხილება და წყდება რაიონის, ქალაქის ამომრჩეველთა კრებებზე, ღია კენჭისყრით. კრებები ტარდება საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ჯარის ნაწილებში, აგრეთვე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 8. კრებებს იწვევენ ამ კანონის მე-3 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა საზოგადოებები, ხოლო ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

მუხლი 9. კრება უფლებამოსილად ითვლება თუ მასში მონაწილეობს ამ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და ჯარის ნაწილებში მომუშავე ამომრჩეველთა უმრავლესობა ან ამომრჩეველთა უმრავლესობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კრების ხელმძღვანელობის გასაწევად აირჩევა პრეზიდიუმი, რომელიც აფორმებს კრების ოქმს.

მუხლი 10. ამომრჩეველთა კრების ოქმში აღინიშნება:

ა) საწარმოს, დაწესებულების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ჯარის ნაწილის, დასახლებული პუნქტის დასახელება, სადაც ჩატარდა კრება;

ბ) კრების დრო და ადგილი;

გ) ამ კოლექტივის ამომრჩეველთა საერთო რიცხვი;

დ) კრებაზე დამსწრე ამომრჩეველთა რიცხვი;

ე) გასაწევი სახალხო მოსამართლის გვარი, სახელი და მამის სახელი;

ვ) სახალხო მოსამართლის გაწვევის სასარგებლოდ, ან წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და სამი დღის ვადაში წარედგინება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 11. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამომრჩეველთა კრებების ოქმების საფუძველზე დაითვლის რაიონში, ქალაქში სახალხო მოსამართლის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მიცემულ ხმებს და არკვევს გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს.

მუხლი 12. სახალხო მოსამართლე გაწვეულად ითვლება თუ გაწვევას ხმა მისცა ამ რაიონის, ქალაქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

მუხლი 13. სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგები მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ უნდა იქნას არაუგვიანეს ხუთი დღისა კენჭისყრის შედეგების განსაზღვრის შემდეგ.

მუხლი 14. მეთვალყურეობას ამ კანონის შესრულებაზე სახალხო მოსამართლის გაწვევის დროს, აგრეთვე საჩივრების განხილვას ამ კანონის დარღვევის შესახებ ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

III. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულის გაწვევის წესი

მუხლი 15. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯული შეიძლება ვადამდე გაწვეულ იქნას იმ კოლექტივის ამომრჩეველთა გადაწყვეტილებით, სადაც ის არჩეული იყო სახალხო მსაჯულად.

მუხლი 16. სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება უზრუნველყოფილია ამ კანონის მე-3 მუხლში აღნიშნულ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებებისათვის.

მუხლი 17. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან მშრომელთა კრებები, რომლებიც აღძრავენ სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხს, ამის შესახებ აცნობებენ სახალხო მსაჯულს, გაწვევის საკითხის დაყენების მოტივების აღნიშვნით.

სახალხო მსაჯულს უფლება აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან მშრომელთა კრებებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო გაწვევის საკითხის აღძვრას.

მუხლი 18. საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მშრომელთა კრებების გადაწყვეტილებანი, რომლებმაც აღძრეს საკითხი სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ გადაეგზავნება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს წარდგენილ მასალებს და თუ საკითხი სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ აღძრულია ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნიშნავს კენჭისყრას სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ.

მუხლი 19. მას შემდეგ რაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს კენჭისყრას სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138-ე მუხლის თანახმად, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, ისევე როგორც საქართველოს სსრ თვითეული მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია დაუბრკოლებელი აგიტაციის უფლება სახალხო მსაჯულის, როგორც გაწვევის სასარგებლოდ, ისე საწინააღმდეგოდ.

მუხლი 20. სახალხო მსაჯულის გაწვევის საკითხს ღია კენჭისყრით განიხილავს და წყვეტს იმ კოლექტივის ამომრჩეველთა საერთო კრება, სადაც ივი არჩეული იყო სახალხო მსაჯულათ.

მუხლი 21. კრებებს იწვევენ ამ კანონის მე-16 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა საზოგადოებები, ხოლო ამომრჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

მუხლი 22. კრება უფლებამოსილად ითვლება თუ მასში მონაწილეობას იღებს საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და ჯარის ნაწილებში მომუშავე ამომრჩევლების უმრავლესობა ან ამომრჩეულთა უმრავლესობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კრების ხელმძღვანელობის გასაწევად აირჩევა პრეზიდიუმი, რომელიც აფორმებს კრების ოქმს.

მუხლი 23. ამომრჩეველთა კრების ოქმში აღინიშნება:

ა) საწარმოს, დაწესებულების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ჯარის ნაწილის, დასახლებული პუნქტის დასახელება, სადაც ჩატარდა კრება;

ბ) კრების დრო და ადგილი;

გ) ამ კოლექტივის ამომრჩეველთა საერთო რიცხვი;

დ) კრებაზე დამსწრე ამომრჩეველთა რიცხვი;

ე) გასაწევი სახალხო მსაჯულის გვარი, სახელი და მამის სახელი;

ვ) სახალხო მსაჯულის გაწვევის ან წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა საერთო კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და სამი დღის ვადაში წარედგინება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 24. სახალხო მსაჯული გაწვეულად ჩაითვლება, თუ გაწვევას ხმა მისცა კრებაზე დამსწრე ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

მუხლი 25. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ კრების ოქმს, და თუ გაწვევა ჩატარებულია ამ კანონის შესაბამისად აცნობებს სათანადო რაიონულ, საქალაქო სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს სახალხო მსაჯულის გაწვევის შესახებ.

მუხლი 26. მეთვალყურეობას ამ კანონის შესრულებაზე სახალხო მსაჯულის გაწვევის დროს, აგრეთვე საჩივრების განხილვას ამ კანონის დარღვევის შესახებ ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

IV. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების, წევრების, აგრეთვე ამ სასამართლოების სახალხო მსაჯულების ვადამდე გაწვევის წესი.

მუხლი 27. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრი, აგრეთვე ამ სასამართლოს სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე გაწვეულ იქნან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 28. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრი, აგრეთვე ამ სასამართლოების სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე გაწვეულ იქნან შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 29. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრი აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე გაწვეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **ზ. გელდიაშვილი**

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 13 მუხლის შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რეპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს „დებულება საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **ზ. გელდიაშვილი**

ქ. თბილისი. 1961 წლის 27 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 125-ე მუხლისა და საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 13 მუხლის შესაბამისად, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში ბრალდებულთა, დაზარალებულთა, მაძიებელთა და მოპასუხეთა დაცვის განხორციელების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სხვა იურიდიული დახმარების გასაწევად საქართველოს სსრ-ში მოქმედებენ საქართველოს სს რესპუბლიკის აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიები.

მუხლი 2. ადვოკატთა კოლეგიები იმ პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომლებიც ადვოკატთა საქმიანობას ეწევიან და მოქმედებენ ამ დებულების საფუძველზე.

ადვოკატთა კოლეგიები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით, აქვთ ბეჭედი და შტამპი.

მუხლი 3. ადვოკატთა საქმიანობას ადვოკატთა კოლეგიის სახელით ეწევიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც გაერთიანებული არიან ადვოკატთა კოლეგიებში,

მუხლი 4. ადვოკატთა კოლეგიები მთელი თავისი საქმიანობით მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ მოქალაქეთა, საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას, მართლმსაჯულების განხორციელებას და საბჭოთა კანონების პროპაგანდას.

მუხლი 5. ადვოკატთა კოლეგიები მათზე დაკისრებულ ამოცანებს ახორციელებენ შემდეგი გზით:

ა) იურიდიული კონსულტაციის (რჩევა-დარიგების, ცნობის ,სამართლებრივ საკითხებზე განმარტების) მიცემით და სხვაგვარი იურიდიული დახმარების გაწევით;

ბ) საჩივრების, განცხადებების, ხელშეკრულებებისა და უფლებრივი ხასიათის სხვა დოკუმენტების შედგენით;

გ) წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში ადვოკატთა მონაწილეობით ბრალდებულის დამცველის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩლის და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის სახით;

დ) სასამართლოსა და არბიტრაჟში სამოქალაქო საქმეების განხილვაში მონაწილეობით მოქალაქეთა და საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დავალებით.

მუხლი 6. ადვოკატთა კოლეგიების საერთო ხელმძღვანელობას და მათი საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

მუხლი 7. ადვოკატთა შრომის ანაზღაურება წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

ამავე ინსტრუქციით განისაზღვრება აგრეთვე რა შემთხვევებში გაეწევა უფასო იურიდიული დახმარება.

თავი II. ადვოკატთა კოლეგიის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

მუხლი 8. ადვოკატთა კოლეგიის წევრად შეიძლება მიღებულ იქნას სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.

უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც იურიდიული სპეციალობის მიხედვით აქვს მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ორი წლისა, კოლეგიაში მიიღება სტაჟირების გაუვლელად, ხოლო ის პირი, რომელსაც არა აქვს მუშაობის სტაჟი იურიდიული სპეციალობის მიხედვით, მიიღება სტაჟიორად. სტაჟირების წარმატებით გავლის შემდეგ კოლეგიაში მიღება წარმოებს ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

სტაჟირების ხანგრძლივობას განსაზღვრავს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე. სტაჟირების გავლის პერიოდში სტაჟიორი ღებულობს ხელფასს კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ დადგენილი ოდენობით, ადვოკატთა შრომის ანაზღაურების ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 9. ადვოკატთა კოლეგიაში წევრად მიღება, აგრეთვე კოლეგიიდან ამორიცხვა და გარიცხვა წარმოებს კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ.

განცხადებას კოლეგიაში მიღების შესახებ განიხილავს პრეზიდიუმი განმცხადებლის თანდასწრებით, არა უგვიანეს ერთი თვისა განცხადების შეტანის დღიდან.

მუხლი 10. ადვოკატთა კოლეგიის წევრად არ მიიღება ის პირი, რომელსაც აქვს ნასამართლობა, მიცემული არის სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან სამართალში, ან ვერ უპასუხებს თავისი მორალური მონაცემებით საბჭოთა ადვოკატის წოდებას.

მუხლი 11. ადვოკატთა კოლეგიიდან ამორიცხვა წარმოებს:

ა) ადვოკატის საკუთარი სურვილით;

ბ) ადვოკატის სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო;

გ) თუ დადგინდება, რომ პროფესიულად შეუფერებელია ადვოკატის მოვალეობის შესრულებისათვის.

მუხლი 12. ადვოკატებს, რომლებიც გავიდნენ ადვოკატთა კოლეგიიდან არჩეულ თანამდებობაზე გადასვლის ან სასწავლებელში წასვლის გამო, უფლება აქვთ არჩეულ თანამდებობაზე მუშაობის დამთავრებისა და სასწავლებელში ყოფნის შემდეგ დაუბრუნდნენ შესაბამის ადვოკატთა კოლეგიას.

მუხლი 13. კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილება კოლეგიის წევრად მიღებაზე უარის თქმის, კოლეგიიდან ამორიცხვის ან გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას საქარველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარესთან ერთი თვის ვადაში დადგენილების გამოტანის დღიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება საჩივარზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა.

მუხლი 14. ადვოკატთა კოლეგიის წევრს არ შეუძლია ერთდროულად დაიკავოს საშტატო თანამდებობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში.

გამონაკლის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კოლეგიის პრეზიდიუმს შეუძლია ნება დართოს ადვოკატს შეითავსოს პედაგოგიური ან მეცნიერული სამუშაო და რესპუბლიკის შორეულ, მთიან რაიონებში, სადაც ადვოკატს არა აქვს დატვირთვა ანდა, სადაც იურიდიული მომსახურების გაწევა უახლოესი რაიონიდან დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და საწარმოში საშტატო თანამდებობა.

მუხლი 15. ადვოკატი მოვალეა მთელ თავის საქმიანობაში მტკიცედ დაიცვას საბჭოთა კანონები, კეთილსინდისიერად გაუწიოს იურიდიული დახმარება მოქალაქეებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მას მიმართავენ, გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება და ხერხი, რათა დაიცვას მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები, იყოს უმწიკვლო ყოფაქცევის მაგალითი.

მუხლი 16. ადვოკატს არ შეუძლია მიიღოს დავალება:

ა) თუ იგი მოცემულ საქმეზე ადრე იურიდიულ დახმარებას უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მეორე პირის ინტერესებს, რომელმაც მიმართა დაცვისათვის;

ბ) თუ იგი ადრე მოცემულ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, მოკვლევის მომხდენი პირი, ექსპერტი ან მოწმე;

გ) როცა საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობს თანამდებობის პირი, რომელთანაც ადვოკატს ახლო ნათესაური დამოკიდებულება აქვს.

მუხლი 17. ადვოკატს უფლება აქვს იურიდიული კონსულტაციის მეშვეობით მიმართოს თხოვნით საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს მიაწოდონ მას დოკუმენტები და ცნობები, რომლებიც აუცილებელია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებზე იურიდიული დახმარების გასაწევად.

მუხლი 18. ადვოკატი მოვალეა მუდმივად იზრუნოს თავისი ცოდნის სრულყოფისათვის, თავისი იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მუხლი 19. ადვოკატმა არ უნდა გაახმაუროს ცნობები, რომლებსაც მიაწვდიან მას იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

მუხლი 20. ადვოკატს არა აქვს უფლება უარი განაცხადოს იურიდიული დახმარების გასაწევად აღებული დავალებისაგან კლიენტის თანხმობის გარეშე.

მუხლი 21. ადვოკატი თავისი შრომისათვის იღებს ანაზღაურებას თანხებიდან, რომლებიც იურიდიული დახმარების გაწევისათვის შემოაქვთ იურიდიული კონსულტაციის სალაროში, იმ ანარიცხების გამოკლებით, რომლებიც დაწესებულია ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 22. ადვოკატი სარგებლობს უფლებით, მიიღოს დახმარება დროებით შრომის უუნარობისას და პენსია საერთო საფუძველზე მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 23. ადვოკატს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კოლეგიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხების განხილვაში.

თავი III. ადვოკატთა კოლეგიის ორგანოები

მუხლი 24. ადვოკატთა კოლეგიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება;

ბ) ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი;

გ) სარევიზიო კომისია,

მუხლი 25. ადვოკატთა კოლეგიის უმაღლესი ორგანოა ადვოკატთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ და უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს კოლეგიის წევრთა არა ნაკლებ 2/3-სა.

რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნას ადვოკატთა კოლეგიის წევრთა შემადგენლობის 1/3-ის მოთხოვნით, კოლეგიის პრეზიდიუმის ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის წინადადებით.

მუხლი 26. ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება:

ა) ირჩევს ფარული კენჭისყრით ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს და სარევიზიო კომისიის შემადგენლობას სამი წლის ვადით, კრების მიერ განსაზღვრული რაოდენობით;

ბ) ისმენს კოლეგიის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ.

გ) ამტკიცებს ადვოკატთა კოლეგიის შტატებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

დ) აწესებს ადვოკატთა გამომუშავების ანარიცხების ოდენობას არა უმეტეს 25 პროცენტისა;

ე) ამტკიცებს შინაგანაწესს და სხვა ინსტრუქციებს ადვოკატთა კოლეგიის მუშაობის შესახებ;

ვ) განსაზღვრავს კოლეგიის წევრთა საერთო რაოდენობას;

ზ) კრებას უფლება აქვს ღია კენჭისყრით ვადაზე ადრე გაიწვიოს პრეზიდიუმის ან სარევიზიო კომისიის ის წევრი, რომელიც ვერ ამართლებს ნდობას.

მუხლი 27. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი არის კოლეგიის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო, რომელიც თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, ირჩევს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს. აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ აწარმოონ საადვოკატო საქმიანობა მათი ძირითადი სამუშაოსათვის ზიანის მიუყენებლად.

მუხლი 28. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი:

ა) აწარმოებს კოლეგიის წევრთა მიღებას და კოლეგიიდან ადვოკატების ამორიცხვას და გარიცხვას;

ბ) იწვევს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრებებს;

გ) აწყობს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში იურიდიულ კონსულტაციებს, ნიშნავს და ათავისუფლებს მათ გამგეებს, ამტკიცებს იურიდიული კონსულტაციების ხარჯთაღრიცხვებს, ატარებს იურიდიული კონსულტაციების შემოწმებასა და რევიზიას და უწევს მათ ხელმძღვანელობას;

დ) ანაწილებს კოლეგიის წევრებს სამუშაოდ იურიდიულ კონსულტაციებში, განიხილავს ერთი იურიდიული კონსულტაციიდან მეორეში ადვოკატთა გადაყვანის საკითხს და ახორციელებს კონტროლს მათ საქმიანობაზე;

ე) ატარებს საჭირო ღონისძიებებს ადვოკატთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ვ) განაზოგადებს და ავრცელებს იურიდიული კონსულტაციებისა და ადვოკატების დადებითი მუშაობის გამოცდილებას და იძლევა სათანადო მეთოდურ მითითებებს;

ზ) ამოწმებს და იხილავს მასალებს ადვოკატთა დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ და ადებს მათ სათანადო დისციპლინურ სასჯელს;

თ) განაგებს კოლეგიის სახსრებს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში და ადგენს ფინანსურ ანგარიშებს.

ი) ღებულობს ზომებს ადვოკატთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

კ) ადგენს სტატისტიკურ ანგარიშებს ადვოკატთა კოლეგიის მუშაობის შესახებ.

მუხლი 29. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე:

ა) ორგანიზაციას უკეთებს კოლეგიის პრეზიდიუმის მუშაობას და ამზადებს საკითხებს პრეზიდიუმის განსახილველად;

ბ) იწვევს პრეზიდიუმის სხდომებს და თავმჯდომარეობს მას;

გ) უზრუნველყოფს საჩივრებისა და სხვაგვარ მასალების შემოწმებას ადვოკატთა საქმიანობის შესახებ და შეაქვს ისინი პრეზიდიუმის განსახილველად;

დ) პრეზიდიუმის სახელით აწარმოებს მიმოწერას საწარმოებთან, დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან;

ე) აწარმოებს პრეზიდიუმის ადმინისტრაციულ-ტექნიკური მუშაკების მიღებას და დათხოვნას;

ვ) ხელმძღვანელობს ადვოკატთა კოლეგიის სამეურნეო საქმიანობას, არის ადვოკატთა კოლეგიის კრედიტების განმკარგულებელი დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

მუხლი 30. სარევიზიო კომისია ატარებს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და იურიდიული კონსულტაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს.

მუხლი 31. სარევიზიო კომისიის მუშაობის ხელმძღვანელობას ახორციელებს ადვოკატთა კოლეგიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა კომისიის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით.

მუხლი 32. საჭირო შემთხვევაში სარევიზიო კომისია აყენებს საკითხს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წინაშე გამოვლინებულ დარღვევათა შესახებ სათანადო ღონისძიების მისაღებად.

მუხლი 33. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს თავისი გადაწყვეტილებები გამოაქვს ხმების უმრავლესობით.

მუხლი 34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს შეაჩეროს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის იმ დადგენილებათა შესრულება, რომლებიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და ამ დებულებას, და მისცეს მითითება აღნიშნულ დადგენილებათა გადასინჯვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IV. იურიდიული კონსულტაცია

მუხლი 35. ადვოკატთა კოლეგიის წევრთა მუშაობის ორგანიზაციისათვის ქალაქებში და რაიონებში იქმნება იურიდიული კონსულტაციები, რომლებიც სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, აქვთ საკუთარი ბეჭედი და შტამპი.

იურიდიული კონსულტაციის რიცხობრივ შემადგენლობას და მის ადგილსამყოფელს ადგენს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

მუხლი 36. იურიდიული კონსულტაციის მუშაობას ხელმძღვანელობს კონსულტაციის გამგე, რომელსაც ნიშნავს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი კოლეგიის წევრთა შემადგენლობიდან.

კონსულტაციის გამგე თავის მუშაობაზე პასუხისმგებელია ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წინაშე.

მუხლი 37. იურიდიულ კონსულტაციაში, სადაც 15 ადვოკატზე მეტი მუშაობს, კონსულტაციის გამგეს ენიშნება ხელფასი დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით, გამონაკლის შემთხვევაში ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა შეიძლება დაუნიშნოს დამატებითი გასამრჯელო იმ კონსულტაციის გამგეს, სადაც 15 ადვოკატზე ნაკლები მუშაობს.

კონსულტაციის გამგეს აგრეთვე შეუძლია აწარმოოს საადვოკატო საქმიანობა ძირითადი სამუშაოებისათვის ზიანის მიუყენებლად.

მუხლი 38. იურიდიული კონსულტაციის გამგე:

ა) ორგანიზაციას უკეთებს იურიდიული კონსულტაციის მთელ მუშაობას;

ბ) ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ადვოკატთა მუშაობის ხარისხის შესამოწმებლად და გასაუმჯობესებლად;

გ) ხელმძღვანელობს სტაჟიორების საწარმოო პრაქტიკას და დახმარებას უწევს ახლადმიღებულ ადვოკატებს მუშაობაში;

დ) აღრიცხავს კონსულტაციაში არსებულ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს;

ე) იღებს დავალებებს საწარმოების, დაწესებულება-ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების წარმომადგენლებისაგან და მოქალაქეებისაგან და სდებს მათთან სათანადო ხელშეკრულებებს;

ვ) ანაწილებს სამუშაოს ადვოკატთა შორის საქმის სირთულის, ადვოკატის დატვირთვისა და კვალიფიკაციის მხედველობაში მიღებით, ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნას კლიენტის პერსონალური მოთხოვნა;

ზ) ადვოკატთა ძალებით ატარებს მოსახლეობაში საბჭოთა კანონების პროპაგანდას, ლექციების, მოხსენებების და საუბრების მოწყობის გზით;

თ) აწარმოებს მიმოწერას დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან დაცვისათვის აუცილებელი ცნობებისა და დოკუმენტების მისაღებად;

ი) ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წინაშე აყენებს საკითხს იმ ადვოკატთა სტაჟიორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც არღვევენ შინაგანაწესს და უშვებენ სხვა გადაცდომებს;

კ) კონსულტაციის საერთო კრების წინაშე განსახილველად აყენებს საკითხს ადვოკატების მცირემნიშვნელოვან გადაცდომათა შესახებ.

ლ) გამოყოფს ადვოკატებს დაცვისათვის სასამართლოსა და პროკურატურის მოთხოვნით;

მ) ხელმძღვანელობენ კონსულტაციის სამეურნეო და საფინანსო საქმიანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას, განაგებს კრედიტებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში და კონტროლს უწევს საბუღალტრო ანგარიშიანობას;

ნ) აწარმოებს საფინანსო და სტატისტიკურ ანგარიშიანობას დაწესებული ფორმით და უდგენს მათ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს.

თავი V. ადვოკატთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

მუხლი 39. ადვოკატთა წახალისების მიზნით, მათ მიერ თავისი მოვალეობის სანიმუშოდ და წარმატებით შესრულებისა და აგრეთვე ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს შეუძლია გამოიყენოს წახალისების შემდეგი ღონისძიებები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი ჯილდო;

გ) ფასიანი საჩუქარი.

მუხლი 40. ადვოკატი შეიძლება მიცემულ იქნას დისციპლინურ პასუხისგებაში შინაგანაწესის დარღვევისათვის, თავისი მოვალეობისადმი დაუდევარი ან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და სხვა ისეთი მოქმედებისათვის, რაც სახელს უტეხს საბჭოთა ადვოკატურას.

მუხლი 41. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებად ითვლება:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური.

მუხლი 42. დისციპლინური საქმე ადვოკატის მიმართ აღიძვრება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მიერ.

დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება დადებულ იქნას გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გავლის შემდეგ.

მუხლი 43. ადვოკატის დისციპლინური საქმის განხილვას წინ უნდა უსწრებდეს იმ გარემოებათა გულდასმით, ყოველმხრივი და ობიექტური შემოწმება, რაც საფუძვლად დაედო დისციპლინური საქმის აღძვრას.

ადვოკატი წინასწარ უნდა გაეცნოს დისციპლინური საქმის ყველა მასალებს და მას უნდა მოეთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება.

მუხლი 44. დისციპლინური საქმის განხილვა ხდება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის სხდომაზე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული ადვოკატის თანდასწრებით.

იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი, რომლის მიმართ აღძრულია დისციპლინური საქმე, საპატიო მიზეზის გარეშე განმეორებით არ გამოცხადდება პრეზიდიუმის სხდომაზე, საქმე შეიძლება განხილულ იქნას მის დაუსწრებლად, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.

მუხლი 45. თუ ადვოკატი სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ გადაცდომას, ის დისციპლინური სასჯელის არმქონედ ითვლება.

იურიდიული კონსულტაციის კოლექტივისა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს უფლება აქვს ადვოკატს ვადამდე მოუხსნას დისციპლინური სასჯელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 46. უკიდურესი ზომის სახით, თუ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი დისციპლინური სასჯელის ღონისძიებას ჩათვლის არასაკმარისად, გამოიყენება ადვოკატთა კოლეგიიდან გარიცხვა.

კოლეგიიდან ადვოკატის გარიცხვას საფუძვლად შეიძლება დაედოს:

ა) ადვოკატის მიერ დანაშაულის ჩადენა, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით;

ბ) ისეთი გადაცდომის ჩადენა, რაც სახელს უტეხს საბჭოთა ადვოკატის წოდებას;

გ) შინაგანაწესის სისტემატური დარღვევა და პროფესიულ მოვალეობათა არაკეთილსინდისიერი შესრულება.

თავი VI. ადვოკატთა კოლეგიის სახსრები

მუხლი 47. ადვოკატთა კოლეგიის სახსრები შეიქმნება იმ ანაზღაურების ანარიცხებიდან, რომლებსაც მიიღებენ ადვოკატები ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიეკუთვნებათ მათ იურიდიული დახმარების გაწევისათვის, აგრეთვე ანაზღაურებიდან იურიდიული დახმარებისათვის, რომელსაც გაუწევენ სტაჟიორები და სხვა შენატანებიდან.

ადვოკატთა კოლეგიის სახსრები ხმარდება სოციალურ დაზღვევას, კოლეგიის პრეზიდიუმისა და იურიდიული კონსულტაციების შენახვას, კადრების მომზადებას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებას და კოლეგიის წევრებისათვის მატერიალური დახმარების გაწევას, წახალისებას, ადვოკატთა შვებულებების ანაზღაურებას, სამეურნეო და ორგანიზაციულ ღონისძიებების განხორციელებას.

მუხლი 48. ადვოკატთა კოლეგიის სახსრები გათავისუფლებულია სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისაგან. კოლეგია და იურიდიული კონსულტაციები თავისუფლდებიან აგრეთვე შტატების, შრომის ხელფასის, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებისა და კაპიტალურ შეკეთებათა ხარჯთაღრიცხვების საფინანსო ორგანოებში რეგისტრაციისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. გელდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგური სასამართლოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს „დებულება ამხანაგური სასამართლოების შესახებ".

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 9 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების მოწყობისა და ამ სასამართლოების დებულების დამტკიცების შესახებ" (კან. კრ. 1930 წ. № 22, მუხ. 318);

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება „საბინაო კოოპერაციულ ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებში არსებულ საამხანაგო სასამართლოების შესახებ" (კან. კრ. 1931 წ. № 22, მუხ. 239);

გ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 13 აპრილის დადგენილება „სარეწაო კოოპერაციულ ამხანაგობებში (არტელებში) საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების მოწყობის შესახებ" (კან. კრ. 1932 წ. № 15, მუხ. 125).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე — ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი — ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1961 წლის 10 ნოემბერი.

დებულება

ამხანაგური სასამართლოების შესახებ

ამხანაგური სასამართლოების ამოცანები და მათი ორგანიზაციის წესი

მ უ ხ ლ ი 1. ამხანაგური სასამართლოები არჩევითი საზოგადოებრივი ორგანოებია, რომლებიც მოწოდებული არიან აქტიურად შეუწყონ ხელი მოქალაქეთა აღზრდას შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით, საბჭოთა ადამიანებში კოლექტივიზმისა და ამხანაგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ურთიერთდახმარების, მოქალაქეთა ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობის განვითარებას. ამხანაგური სასამართლოების მუშაობაში მთავარია ისეთ სამართლებრივ დარღვევათა და გადაცდომათა თავიდან აცილება, რომლებიც ზიანს აყენებენ საზოგადოებას, ადამიანების აღზრდა დარწმუნებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი შეუწყნარებელი ვითარების შექმნის გზით. ამხანაგური სასამართლოები აღჭურვილი არიან კოლექტივის ნდობით, გამოხატავენ მის ნებას და პასუხისმგებელი არიან მის წინაშე.

მ უ ხ ლ ი 2. ამხანაგური სასამართლოები საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში იქმნებიან მუშათა, მოსამსახურეთა ან მოსწავლეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. (უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სტუდენტებისათვის და მოსწავლეთათვის ამხანაგური სასამართლოები იქმნება ცალკე, მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ცალკე).

ამხანაგური სასამართლოები კოლმეურნეობებში, სახლებში, რომლებსაც სახლთმმართველობები ემსახურებიან ან რომლებიც ქუჩის კომიტეტებში არიან გაერთიანებული, აგრეთვე დაბებსა და სოფლებში იქმნება კოლმეურნეობის წევრთა, სახლების მობინადრეთა ან დაბისა და სოფლის მოქალაქეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტების თანხმობით.

მსხვილ კოლექტივებში ამხანაგური სასამართლოები შეიძლება შეიქმნას საწარმოების საამქროებში, კოლმეურნეობების ბრიგადებში და ა. შ.

ამხანაგური სასამართლოები შეიძლება შეიქმნას კოლექტივებში, სადაც არა ნაკლებ 30 კაცია.

მ უ ხ ლ ი 3. ამხანაგური სასამართლოები აირჩევა მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებზე ღია კენჭისყრით ერთი წლის ვადით. ამხანაგური სასამართლოების ასარჩევად კრებებს იწვევენ შესაბამისად პროფკავშირების საქარხნო, საფაბრიკო, ადგილობრივი კომიტეტები, კოლმეურნეობების გამგეობები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

სასამართლოს შემადგენლობაში არჩეულად ითვლებიან ის პირნი, რომელნიც მიიღებენ ხმების უმრავლესობას დანარჩენ კანდიდატებთან შედარებით და კრებაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტ ხმებს.

სასამართლოს წევრთა რაოდენობას ადგენს საერთო კრება 5-დან 7 კაცამდე. სასამართლოს წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით აირჩევენ ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და სასამართლოს მდივანს.

მ უ ხ ლ ი 4. ამხანაგური სასამართლოები თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებენ მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებს.

ამხანაგური სასამართლოების წევრები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ნდობა, შეიძლება ვადამდე გაწვეულ იქნან საერთო კრების მიერ. გაწვეულთა ან სხვა მიზეზებით გასულთა ნაცვლად ამხანაგური სასამართლოს ახალ წევრთა არჩევნები ხდება ამ დებულების მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეები, რომლებსაც განიხილავენ ამხანაგური სასამართლოები

მ უ ხ ლ ი 5. ამხანაგური სასამართლოები განიხილავენ საქმეებს:

1) შრომის დისციპლინის დარღვევის შესახებ, მათ შორის: არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის, სამუშაოზე დაგვიანებით ან სამუშაოდან ნაადრევად წასვლის შესახებ; თავისი მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად სამუშაოს უხარისხოდ შესრულების, წუნის ან მოცდენის დაშვების შესახებ; ტექნიკის უშიშროებისა და შრომის დაცვის სხვა წესების დაუცველობის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას; ინვენტარის, ინსტრუმენტებისა და მასალების გაუფრთხილებლობით დაზიანების შესახებ;

2) საზოგადოებრივ ადგილებში და სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებისა და უღირსი საქციელის შესახებ;

3) ქალების მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულების, შვილების აღზრდის ვალდებულების შეუსრულებლობისა და მშობლებისადმი უღირსი დამოკიდებულების შესახებ;

4) შეურაცხყოფისა და კოლექტივის წევრისათვის გამაწბილებელი, მონაჭორი ცნობების გავრცელების შესახებ, თუ ეს ჩადენილია პირველად, უწმაწური სიტყვების ხმარებისათვის;

5) ხეებისა და სხვა მწვანე ნარგავების დაზიანების შესახებ;

6) საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობებისა და კომუნალური მოწყობილობის დაზიანების შესახებ, რომელსაც არ მოჰყოლია მნიშვნელოვანი ზარალი.

7) ბინებში და საერთო საცხოვრებლებში შინაგანაწესის დარღვევის შესახებ; დამხმარე სათავსოებით, საბინაო მეურნეობის დანიშნულების ნაგებობით სარგებლობის, კომუნალური მომსახურების ანაზღაურების თაობაზე მცხოვრებთა დავის შესახებ და სახლის თანამფლობელთა შორის მიწის ნაკვეთებით სარგებლობის წესის დადგენის შესახებ;

8) მოქალაქეთა შორის ქონებრივი დავის შესახებ, თანხით 50 მანეთამდე, თუ ისინი ერთიდაიგივე კოლექტივის წევრები არიან და ამასთან დავის ორივე მონაწილე თანახმაა საქმე განიხილოს ამხანაგურმა სასამართლომ;

9) სხვა ანტისაზოგადოებრივი საქციელის შესახებ, რაც არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას;

10) ადმინისტრაციულ და სხვა მცირემნიშვნელოვან სამართლებრივ დარღვევათა შესახებ, თუ მილიციის, პროკურატურის ორგანოები ან სასამართლო საჭიროდ ჩათვლიან ასეთი საქმის ამხანაგური სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემას.

მ უ ხ ლ ი 6. საქმეთა განხილვა ამხანაგურ სასამართლოში ხდება დამრღვევის სამუშაოს ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მ უ ხ ლ ი 7. ამხანაგურ სასამართლოებს უფლება არა აქვთ განიხილონ საქმეები ისეთ სამართლებრივ დარღვევისა და სამოქალაქო უფლებრივი დავების შესახებ, რომელთა გამო უკვე გამოტანილია განაჩენები ან სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციის მიერ დისციპლინური სასჯელის დადება არ გამორიცხავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებლობას საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ამხანაგური სასამართლოს ინიციატივით იგივე გადაცდომა განხილულ იქნას ამხანაგურ სასამართლოში.

ამხანაგურ სასამართლოებში საქმეების განხილვის წესი

მ უ ხ ლ ი 8. ამხანაგური სასამართლოები განიხილავენ საქმეებს:

1) პროფკავშირის საქარხნო, საფაბრიკო, ადგილობრივი კომიტეტების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების, ქუჩების, სახლების, უბნების, კვარტალების კომიტეტებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მოქალაქეთა კრებების წარდგინებით;

2) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და საბჭოების მუდმივი კომისიების წარდგინებით;

3) სახელმწიფო ორგანოების, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და კოლმეურნეობების გამგეობების შეტყობინებით;

4) სასამართლოს, პროკურორის, აგრეთვე პროკურორის თანხმობით მომკვლევი ორგანოს მიერ გადაცემული მასალების მიხედვით;

5) მოქალაქეთა განცხადებებით;

6) თვით ამხანაგური სასამართლოს ინიციატივით.

მ უ ხ ლ ი 9. ამხანაგური სასამართლო საქმეებს განიხილავს 15 დღის ვადაში მათი შემოსვლის მომენტიდან. საქმის განხილვის დროს და ადგილს განსაზღვრავს ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე, რის შესახებაც ფართოდ აუწყებენ მოქალაქეებს.

მ უ ხ ლ ი 10. ამხანაგურ სასამართლოში საქმეთა განხილვას საჭირო შემთხვევებში წინ უნდა უძღოდეს ფაქტების შემოწმება, რომელსაც მოახდენენ სასამართლოს წევრები.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირნი და მოქალაქენი მოვალენი არიან ამხანაგური სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინონ მას საქმისათვის საჭირო ცნობები და დოკუმენტები.

სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე ამხანაგურ სასამართლოში მიცემულს გააცნობს არსებულ მასალებს და ამხანაგურ სასამართლოში საქმის განხილვის საფუძვლის არსებობისას განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა იქნას გამოწვეული სასამართლოს სხდომაზე მოწმეებად. სასამართლოში გადაცემულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა და მოწმეების გამოწვევა.

ამხანაგური სასამართლოს მიერ გამოწვეულ მოქალაქეთა გამოცხადება სავალდებულოა.

მ უ ხ ლ ი 11. ამხანაგური სასამართლოს სხდომები და სასამართლოს წევრთა მიერ იმ დავალებათა შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია საქმის განხილვასთან, წარმოებს არასამუშაო დროს. საქმეები განიხილება საჯაროდ, ამხანაგური სასამართლოს არა ნაკლებ სამი წევრის შემადგენლობით.

ამხანაგურ სასამართლოში გადაცემულ-პირს შეუძლია მისცეს აცილება ამხანაგურ სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრებს, თუ საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ისინი შეიძლება დაინტერესებული იყვნენ საქმის შედეგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცილების დაკმაყოფილების ან უარის თქმის საკითხს გადასწყვეტს მოცემული საქმის განმხილველი ამხანაგური სასამართლოს მთელი შემადგენლობა.

ამხანაგური სასამართლო განიხილავს არსებულ მასალებს, მოისმენს სასამართლოში გადაცემული პირის, დაზარალებულისა და მოწმეთა განმარტებებს. სხდომაზე დამსწრეებს ამხანაგური სასამართლოს ნებართვით შეუძლიათ მისცენ კითხვები და გამოვიდნენ განსახილველი საქმის შესახებ არსებითად.

ამხანაგური სასამართლო ადგენს სხდომის ოქმს.

მ უ ხ ლ ი 12. იმ შემთხვევაში თუ ის პირი, რომელიც გადაცემულია ამხანაგურ სასამართლოზე, არ გამოცხადდა სხდომაზე, სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა, გამოარკვიოს გამოუცხადებლობის მიზეზები და დადგენილ გარემოებათა მიხედვით მეორედ დანიშნოს საქმე მოსასმენად. თუ აღნიშნული პირი საპატიო მიზეზების გარეშე მეორედ არ გამოცხადდება სხდომაზე, ამხანაგურ სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს მის დაუსწრებლად.

იმ პირის მიმართ, რომელიც ამხანაგურ სასამართლოში მიცემული არის პროკურატურის, სახალხო სასამართლოსა და მომკვლევი ორგანოებიდან შემოსული მასალების საფუძველზე, ამხანაგურ სასამართლოში გამოცხადებისაგან თავის არიდების შემთხვევაში მასალები უბრუნდება აღნიშნულ ორგანოებს საჭირო ზომების მისაღებად.

მ უ ხ ლ ი 13. ამხანაგური სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მოცემული საქმის განხილვაში მონაწილე სასამართლოს წევრთა ხმის უმრავლესობით. გადაწყვეტილებაში აღინიშნება დარღვევის არსი და სასამართლოს მიერ განსაზღვრული ზემოქმედების ზომა. ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელს აწერენ მისი გამოტანის მონაწილენი — სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები. გადაწყვეტილება გამოცხადდება საჯაროდ და ეცნობება მშრომელთა სათანადო კოლექტივს თვალსაჩინო ადგილებში გამოკვრითა და სხვა საშუალებებით.

საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, რომლებსაც ამხანაგური სასამართლოები გამოიყენებენ

მ უ ხ ლ ი 14. ამხანაგური სასამართლო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისას ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებით და თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებით.

მ უ ხ ლ ი 15. ამხანაგურ სასამართლოს შეუძლია დამნაშავეს შეუფარდოს ზემოქმედების შემდეგი ზომები:

1) დაავალდებულოს საჯაროდ მოიხადოს ბოდიში დაზარალებულის ან კოლექტივის წინაშე;

2) გამოუცხადოს ამხანაგური გაფრთხილება;

3) გამოუცხადოს საზოგადოებრივი გაკიცხვა;

4) გამოუცხადოს საზოგადოებრივი საყვედური პრესაში გამოქვეყნებით ან უამისოდ;

5) დააჯარიმოს 10 მანეთამდე თანხით, უკეთუ გადაცთომა დაკავშირებული არ არის შრომის დისციპლინის დარღვევასთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) დააყენოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის წინაშე საკითხი მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად დამნაშავის დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის ან თანამდებობიდან დაქვეითების შესახებ ვადით არა უმეტეს სამი თვისა, იმავე სახის სამუშაოს ფარგლებში.

7) აღძრას სახალხო სასამართლოში საკითხი დაკავებულ ბინიდან დამნაშავის გამოსახლების შესახებ, თუ შეუძლებელია მასთან ერთად ცხოვრება ან მტაცებლურად ეპყრობა საბინაო ფონდს ან თუ იგი ბინის ქირის ურჩი გადამხდელია;

8) ამხანაგურ სასამართლოს ამ მუხლის 1—7 პუნქტებით გათვალისწინებული ზომების შეფარდებასთან ერთად შეუძლია დამნაშავეს დააკისროს არაკანონზომიერი მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს 50 მანეთისა.

მ უ ხ ლ ი 16. ამხანაგურ სასამართლოს შეუძლია დაკმაყოფილდეს საქმის საჯაროდ განხილვით და არ შეუფარდოს მე-15 მუხლით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, თუ დამნაშავე გულწრფელად მოინანიებს და საჯაროდ ბოდიშს მოიხდის კოლექტივის ან დაზარალებულის წინაშე ან ნებაყოფლობით აანაზღაურებს მიყენებულ ზარალს.

თუ არ არსებობს მსჯავრის დადების საფუძველი ამხანაგური სასამართლო გაამართლებს პასუხისგებაში მიცემულ პირს.

ქონებრივი ან სხვა სამოქალაქო უფლებრივი დავის განხილვისას, ამხანაგური სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს მთლიანად ან ნაწილობრივ ან უარს ეტყვის ან მოსპობს საქმეს დავის მონაწილეთა შერიგების გამო.

ამხანაგური სასამართლო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებს აცნობებს იმ გამოვლინებულ მიზეზებისა და პირობების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობდნენ სამართლებრივი დარღვევისა ან სხვა გადაცდომის ჩადენას.

მ უ ხ ლ ი 17. თუ ამხანაგური სასამართლო საქმის განხილვის დროს დარწმუნდება, რომ საჭიროა სამართლებრივი დამრღვევი მიეცეს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, იგი მიიღებს გადაწყვეტილებას სათანადო ორგანოებისათვის მასალის გადაცემის შესახებ.

თუ ქონებრივი ან სხვა სამოქალაქო უფლებრივი დავის განხილვის დროს ამხანაგური სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ მას არ შეუძლია გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე მისი სირთულის გამო, იგი საქმეს გადასცემს სახალხო სასამართლოს.

მ უ ხ ლ ი 18. ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. თუ ამხანაგური სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქმის გარემოებებს ან მოქმედ კანონმდებლობას, პროფკავშირის შესაბამისი საქარხნო, საფაბრიკო, ადგილობრივ კომიტეტს ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს წინადადება მისცენ ამხანაგური სასამართლოს საქმე განიხილოს ხელმეორედ.

მ უ ხ ლ ი 19. ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება მიყენებული ზარალის ანაზღაურების, დაჯარიმების ან სხვა ქონებრივი ანაზღაურების შესახებ უნდა აღსრულდეს გადაწყვეტილებაში ნაჩვენებ ვადაში. დაწესებულ ვადაში გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს უგზავნის სახალხო მოსამართლეს, რომელიც წარდგენილი მასალებისა და გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შემდეგ გას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემს აღმასრულებელ ფურცელს სასამართლოს აღმასრულებლის მეშვეობით შესრულებისათვის.

იმ შემთხვევაში თუ ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, სახალხო მოსამართლე მოტივირებული დადგნილებით უარს ეტყვის აღმასრულებელი ფურცლის გაცემაზე, რასაც აცნობებს ამხანაგურ სასამართლოს და პროფკავშირის შესაბამის კომიტეტს ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საქმის მეორედ განხილვის საკითხის გადასაწყვეტად.

დაჯარიმებულ პირებისაგან აღებული სახსრები ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში კანონით დადგენილი წესით.

მ უ ხ ლ ი 20. ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება ამხანაგური გაფრთხილების, საზოგადოებრივი გაკიცხვის ან საზოგადოებრივი საყვედურის გამოცხადების შესახებ მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. თუ ამ ვადის განმავლობაში პირი, რომლის მიმართ იყო გამოტანილი გადაწყვეტილება, არ ჩაიდენს ახალ სამართლებრივ დარღვევას, ზემოქმედების ზომა ჩაითვლება მოხსნილად.

ამხანაგურ სასამართლოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოს, დაწესებულების ხელმძღვანელის, კოლმეურნეობის გამგეობის შუამდგომლობით ან იმ პირის განცხადებით, რომელიც მიცემული იყო ამხანაგურ სასამართლოში, აგრეთვე საკუთარი ინიციატივით უფლება აქვს მოუხსნას ზემოთ აღნიშნული ზემოქმედების ზომები ერთი წლის ვადის გასვლამდეც. ამის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ცხადდება საყოველთაო ცნობისათვის.

ამხანაგური სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობა

მ უ ხ ლ ი 21. ამხანაგური სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობას საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ახორციელებს პროფკავშირის საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტები. ამხანაგური სასამართლოები კოლმეურნეობებში, სახლებში, რომლებსაც ემსახურება სახლთმმართველობები, ან რომლებიც გაერთიანებული არიან ქუჩის კომიტეტებში, აგრეთვე სოფლად და დაბებში მუშაობენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელობით.

მ უ ხ ლ ი 22. ამხანაგური სასამართლოების ტექნიკური მომსახურება ეკისრებათ შესაბამისად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას და სახლთმმართველობას, კოლმეურნეობის გამგეობას, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი — ზ. გელდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 19 ივლისის დადგენილება № 4

სასამართლოების მიერ იმ პირთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახეობის დანიშვნის წესის შესახებ, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 23-ე მუხლის შესაბამისად ის პირები, რომლებსაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების კოლონიებში, ან საპყრობილეებში. სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებით სასჯელის მთელი ვადით ან ნაწილობრივ, იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაული, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს.

დებულებით მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოლონიებისა და საპყრობილეების შესახებ განსაზღვრულია შრომა-გასწორების კოლონიების 4 სახეობა: საერთო რეჟიმის, გაძლიერებული რეჟიმის, მკაცრი რეჟიმისა და განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიები — მსჯავრდადებულებს კოლონიის იმ სახეობას, სადაც მან უნდა მოიხადოს სასჯელი, უნიშნავს სასამართლო.

სასამართლოს მიერ კოლონიის იმ სახეობის სწორად განსაზღვრას, სადაც უნდა გაიგზავნოს მსჯავრდადებული, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის. კოლონიის ამა თუ იმ სახეობის დანიშვნისას სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოება, რომ მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოლონიებისა და საპყრობილეების დებულებების შესაბამისად, პირები, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მთლიან ვადას იხდიან იმ სახეობის შრომა-გასწორების კოლონიაში, რომელიც მათ დაუნიშნა სასამართლომ.

სასამართლოების მიერ შრომა-გასწორების კოლონიის სახეობის დანიშვნის წესის შესახებ წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს, მიეცეს სასამართლოებს შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი:

1. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის შრომა-გასწორებით კოლონიების სახეობის დანიშვნის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოლონიებისა და საპყრობილეების დებულებებით დადგენილი წესი მიმართულია პატიმართა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის დარგში მუშაობის გაუმჯობესებისაკენ, აგრეთვე მათი გაფრთხილებისაკენ, რათა აღარ ჩაიდინონ ახალი დანაშაული, ამავე დროს იგი მნიშვნელოვნად ამაღლებს ამ საქმეში სასამართლოების როლსა და პასუხისმგებლობას.

2. შრომა-გასწორების კოლონიის სახეობის დანიშვნისას, სადაც მსჯავრდადებულმა უნდა მოიხადოს სასჯელი, სასამართლოები ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ დებულებებით მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოლონიებისა და საპყრობილეების შესახებ, გამომდინარეობენ რა შემდეგიდან:

ა) საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიები, როგორც წესი, წარმოადგენენ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის ადგილს იმ პირთათვის, რომლებიც, პირველად არიან მსჯავრდადებულნი ნაკლებად საშიში დანაშაულისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიები, როგორც წესი წარმოადგენენ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის ადგილს, იმ პირთათვის, რომლებიც პირველად არიან მსჯავრდადებული მძიმე დანაშაულისათვის, მძიმე დანაშაულობათა ნუსხა განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. ამის შესაბამისად სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ იმ დანაშაულობათა ნუსხებით, რომელსაც შეიცავს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44 მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე პუნქტი 1961 წლის 5 მაისის რედაქციით. აგრეთვე რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 53 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლები;

გ) მკაცრი-რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიები, როგორც წესი წარმოადგენენ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის ადგილს, ისეთ მსჯავრდადებულთათვის, რომლებსაც ორჯერ ან მეტჯერ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ არ არიან ცნობილნი საშიშ რეციდივისტებად;

დ) განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიები, წარმოადგენენ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის ადგილს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებისათვის.

განემარტოთ სასამართლოებს, რომ მსჯავრდადებულისათვის შრომა-გასწორების კოლონიებში თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშვნისას, სასამართლო, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში განსაზღვრავს იმ კოლონიის სახეობას, სადაც მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული სასჯელი.

3. მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კოლონიების დებულებებით დადგენილია, რომ ცალკეულ შემთხვევებში ბრალდებულის პიროვნების, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის, აგრეთვე საქმის გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს მსჯავრდადებულს შრომა-გასწორების კოლონიის ყოველნაირი სახეობა. ამის შესაბამისად სასამართლოები შრომა-გასწორების კოლონიის სახეობის განსაზღვრისას მოვალენი არიან გამოდიოდნენ სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებიდან, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 32-ე მუხლით, და ამასთან მხედველობაში მიიღონ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, აგრეთვე დამნაშავის პიროვნება და საქმის გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ და ამძიმებენ პასუხისმგებლობას, კანონით გათვალისწინებულ ისეთ გარემოებათა არსებობისას, რომლებიც ამსუბუქებენ პასუხისმგებლობას, სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს ისინი და დაუნიშნოს მსჯავრდებულს უფრო მსუბუქი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის სათანადო სახეობა. მეორეს მხრივ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა არსებობისას სასამართლოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაუნიშნოს უფრო მკაცრი სახეობის კოლონიაში. (გარდა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიისა, სადაც უნდა გაიგზავნონ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები და პირები, რომლებსაც სიკვდილით დასჯა პატიების წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით) მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევებში სასამართლო მოვალეა განაჩენში მიუთითოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოტივებზე.

4. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული ქალები, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ცნობილი არიან საშიშ რეციდივისტებად და უნდა იმყოფებოდნენ მკაცრი რეჟიმის კოლონიებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა გაიგზავნონ საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში.

5. იმ პირთა მიმართ სისხლის-სამართლის საქმეთა განხილვისას, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდის პერიოდში, სასამართლომ შრომა-გასწორების კოლონიაში მოსახდელი თავისუფლების აღკვეთის შესახებ განაჩენის გამოტანისას უნდა განისაზღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს, მსჯავრდებულმა სასჯელი მოიხადოს შრომა-გასწორების იმ კოლონიაში, სადაც წინათ იმყოფებოდა, თუ იგი გადაყვანილ იქნას სხვა სახეობის უფრო მკაცრი რეჟიმის კოლონიაში.

6. განმარტებულ იქნას, რომ განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის ადმინისტრაციის წარდგინებით სასამართლოებს შეუძლიათ თავიანთი განჩინებით გადაიყვანონ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ის პატიმრები, რომლებმაც განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში მოიხადეს სასჯელის ვადის არა უმცირეს ნახევრისა და თავი გამოიჩინეს სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას ახდენს სახალხო სასამართლოები. მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით იმ პროცესუალური წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 396 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლებით.

7. განმარტებულ იქნას, რომ იმ შემთხვევაში, როცა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებსა და მძიმე დანაშაულობათა ჩამდენ პირებს მიესჯებათ მათთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადის ნაწილის საპყრობილეში მოხდა, განაჩენში საჭიროა აღინიშნოს, რომ სასჯელის ვადის ამ ნაწილის მოხდის შემდეგ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები გადაყვანილი უნდა იქნან განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებში, ხოლო პირები, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან მძიმე დანაშაულთა ჩადენისათვის, მკაცრი რეჟიმის კოლონიებში.

8. მიექცეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ყურადღება იმას, რომ აუცილებელია სისტემატურად იქნას შესწავლილი და განზოგადებული სასამართლოების პრაქტიკა თავისუფლება აღკვეთილ მსჯავრდებულთათვის შრომა-გასწორების კოლონიის სახეობის განსაზღვრის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს
თავმჯდომარე — ა. გორკინი
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის
მდივანი—ი. გრიშანინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 12 სექტემბრის დადგენილება № 5

სასამართლოების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ და 1961 წლის 1 ივლისის ბრძანებულების „სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობაზე

დამნაშავეობასთან საბრძოლველად პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებთან ერთად მოითხოვს სისხლის სამართლის სასჯელის მკაცრი ზომების გამოყენებას მძიმე დანაშაულობათა ჩამდენი პირებისა და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ. ამ მიზნით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულება ზრდის იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც ჩადიან განსაკუთრებით საშიშ დანაშაუ-

ლობებს. ამ ბრძანებულებით, აგრეთვე 1961 წლის 1 ივლისის ბრძანებულებით „სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ გაფართოებულია ნუსხა განსაკუთრებით საშიში დანაშაულობებისა, რომელთა ჩადენისათვის დასაშვებია სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება.

მოისმინა რა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. ვ. კრიუკოვის, ყაზახეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ტ. უ. ურაზალიევისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ე. ბ. ტაკიძის მოხსენებები ამ რესპუბლიკების სასამართლოების მიერ „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ და „სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისისა და 1 ივლისის ბრძანებულებათა შესრულებაზე და იმსჯელა რა ამ მოხსენებათა ირგვლივ, აგრეთვე განიხილა რა სასამართლო პრაქტიკის განზოგადების სხვა მასალები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლო ორგანოებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს დასახელებულ ბრძანებულებათა შესასრულებლად, გააძლიერეს რა ბრძოლა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ.

სასამართლოების მიერ განხილულია რიგი საქმეებისა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება, რომლებიც ამზადებდნენ გასაღების მიზნით ან ასაღებდნენ ყალბ ფულს ან ფასიან ქაღალდებს, ეწეოდნენ სავალუტო ფასეულობებითა და ფასიანი ქაღალდებით სპეკულაციას რეწვის სახით, აწარმოებდნენ შრომა-გასწორების დაწესებულებების მუშაობის დეზორგანიზაციას და იმ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვოდათ ამ დანაშაულობებში, შეეფარდათ კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომები.

ამასთან ერთად, სასამართლოებიც განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა შესახებ საქმეების განხილვისას ჯერ კიდევ უშვებენ სერიოზულ შეცდომებს. ცალკეული სასამართლოების მხრივ შეიმჩნევა ამ დანაშაულთა საზოგადოებრივი საშიშროების შეუფასებლობა, რის გამოც ხშირად იმ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მათ ჩადენაში, დაუსაბუთებლად ენიშნებათ სასჯელის მსუბუქი ზომები. შეცდომების დაშვებას მეტწილად ადგილი აქვს სასჯელის დანიშვნისას ისეთ საქმეებზე, რომლებიც შეეხება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებას.

ასე, მაგალითად, ლენინგრადის ქალაქის სახალხო სასამართლოს განაჩენით სხვა პირებთან ერთად ცნობილი არიან დამნაშავედ ლენინგრადის ავეჯის რემონტის ქარხნიდან 181,570 მან. (ფასთა ძველი მასშტაბით) მასალის დატაცებაში ამ დანაშაულის აქტიური მონაწილეები ბ. ვ. გოლოვინი, ბ. ი. ვინოგრადოვი და ს. ა. ალექსანდროვი. რსფსრ სსკ 89 მუხლის მე-3 ნაწილით გოლოვინსა და ვინოგრადოვს მისჯილი აქვთ 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ალექსანდროვს — 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციის გარეშე.

ასეთი, მსუბუქი სასჯელის ზომების დანიშვნა სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების აქტიურ მონაწილეთათვის სასამართლომ იმით დააასაბუთა, რომ გოლოვინი და ვინოგრადოვი წინათ არ ყოფილან გასამართლებული, მათ სცნეს თავი დამნაშავედ და თვითეულ მათგანს კმაყოფაზე ჰყავს თითო მცირეწლოვანი შვილი, ალექსანდროვს კი უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელი განესაზღვრა „მისი როლის მხედველობაში მიღებით“, რაც თვით სასამართლოს განაჩენის მიხედვით მასში გამოიხატა, რომ იგი სხვა მსჯავრდებულებთან ერთად შეიპარა ღამით ფაბრიკის № 16 საამქროში და დაიტაცა 118,670 მანეთად ღირებული მასალები.

ლატვიის სსრ უმაღლესმა სასამართლომ განიხილა ესტრაქტოვან-ტყავეულის ფეხსაცმელების კომბინატ „ბლაზმას“ მუშაკების ბრალდების საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

291,744 მან. ტყავის საქონლისა და ფეხსაცმელების დატაცების, აგრეთვე სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით 622,170 მან. მატერიალური ზარალის მიყენების შესახებ. ამ დანაშაულის მონაწილეები სარანტო-სამკერვალო საამქროს საწყობის გამგე ბ. ი. ტარაბანოვი და საგამომჭრელო საამქროს ბრიგადირი ლ. ლ. ლიპელისი ცნობილი იქნენ დამნაშავედ 89,200 მან. ღირებულების 400 წყვილი ფეხსაცმლის დატაცებაში და სასამართლომ ლატვიის სსრ სსკ 88 მუხლის მე-3 ნაწილით სსკ 41 მუხლის გამოყენების საფუძველზე პირველს მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მეორეს — 3 წლით, ქონების კონფისკაციის გარეშე, დაასაბუთა რა სასჯელის ასეთი ზომის შეფარდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობითა და იმით, რომ მათ კმაყოფაზე ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები. მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულების დანაშაულებრივ მოქმედებათა შედეგად სახელმწიფოს მიყენდა დიდი მატერიალური ზარალი, სასამართლომ უსაფუძვლოდ დაუნიშნა დამნაშავე პირებს ისეთი სასჯელის ზომა, რაც აშკარად არ შეესაბამება ჩანადენს.

საქართველოს სსრ ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს განაჩენით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ვ. ხ. ქვოვაძეს, რომელმაც მექანიკური ქარხნის საწყობის გამგედ მუშაობის პერიოდში მიითვისა 123,729 მანეთი.

ლიტვის სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენით ს. ი. შატკუსს, რომელიც ცნობილი იქნა დამნაშავედ მასში, რომ საწარმოში არსებული ჰიდრავლიკური წნეხის საშუალებით ამზადებდა ერთმანეთიან ყალბ მონეტებს გასაღების მიზნით, სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 24-ე მუხლის 1 ნაწილით მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ შატკუსსმა განსაკუთრებით საშიში დანაშაული ჩაიდინა, მას განესაზღვრა ძოცემული დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულ უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელი.

ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა სასამართლოები სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს უსაფუძვლოდ ათავისუფლებენ მათ მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან.

სვერდლოვის ოლქის ვერხოტურსკის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით რსფსრ სსკ 92-ე მუხლის მე-3 ნაწილით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ქონების კონფისკაციის გარეშე ვ. ა. პშონკინს, რომელიც ცნობილი იქნა დამნაშავედ მასში, რომ, მუშაობდა რა „ილიჩის ანდერძის“ სახელობის კოლმეურნეობის დამამზადებლად, მიითვისა კოლმეურნეობის ფულადი სახსრები 102,870 მანეთის რაოდენობით. სამოქალაქო სარჩელი, წარდგენილი კოლმეურნეობის მიერ ამ თანხაზე, ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული. როგორც განაჩენშია ძითითებული, სასამართლომ, „მხედველობაში მიიღო რა პშონკინის მატერიალური მდგომარეობა“ და იხელმძღვანელა რა შრომის შესახებ კანონთა კოდექსის 83—6 მუხლით, დაადგინა, რომ მას გადახდეს მის მიერ დატაცებული თანხის მხოლოდ ნახევარი, ე. ი. 51,410 მანეთი.

აზერბაიჯანის სსრ კიურდამირის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით შ. ა. ბოსტანოვს, მ. ი. მუსტაფაევს, მ. გ. აზიზოვს, ლ. ნ. ალიევსა და ვ. ტ. ორაგველიძეს საბჭოთა მეურნეობიდან 303,130 მან. ღირებული 7 კასრი სპირტის დატაცებისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით. მატერიალური ზარალის ანაზღაურება სასამართლომ მხოლოდ ბოსტანოვსა და მუსტაფაევს დააკისრა, უსაფუძვლოდ გაათავისუფლა რა ასეთისაგან დატაცების დანარჩენი სამი მონაწილე.

სასამართლოების მუშაობაში განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა შესახებ საქმეების განხილვისას არსებით ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ ამ საქმეებისადმი არასაკმარისად ხდება საზოგადოებრიობის ყურადღების მიზიდვა და რომ ეს საქმეები იშვიათად განიხილება გამსვლელ სესიებზე, ხოლო მათზე ჩატარებული პროცესები სუსტად შუქდება პრესაში.

რიგ საქმეებზე ადგილი აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების 1 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა არასწორად დაკვალიფიცირების შემთხვევებს; ზოგჯერ ეს დანაშაულებანი ნაცვლად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებისა კვალიფიცირდება ამ ბრძანებულებით.

შეცდომები, რომლებსაც ადგილი აქვს განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა შესახებ საქმეების განხილვისას, რამდენადმე აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი უმაღლესი, სამხარეო და საოლქო სასამართლო თავს არიდებს ამ საქმეთა განხილვას, თუმცა ასეთი საქმეები, როგორც წესი, წარმოადგენენ ყველაზე უფრო რთულ საქმეებს.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს მიეცეს სასამართლოებს შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი:

1. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ გადამწყვეტი ბრძოლა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი ისეთებთან, როგორიცაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება, ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება გასაღების მიზნით ან მათი გასაღება, რაც ჩადენილია რეწვის სახით, სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, ბანდიტიზმი, შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობის დეზორგანიზაცია, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ყაჩაღობა, მექრთამეობა და გაუპატიურება, რომლებიც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში, და სხვა, წარმოადგენს სასამართლო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას. პირებს, რომლებიც ჩადიან ასეთ დანაშაულობებს, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს უნდა შეეფარდოთ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მკაცრი ზომები.

2. საქმეები განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა შესახებ სასამართლოებში განხილული უნდა იქნეს მაქსიმალურად მოკლე ვადაში, როგორც წესი, პროკურორისა და დამცველის მონაწილეობით, გამსვლელ სესიებზე. პროცესები აღნიშნული კატეგორიის ყველაზე უფრო დამახასიათებელ საქმეებზე ფართოდ უნდა გაშუქდეს პრესისა და რადიოს მეშვეობით.

3. ისეთ დანაშაულთა შესახებ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას, რომელთა შედეგადაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიყენდა მატერიალური ზარალი, კერძოდ საქმეებზე დატაცების შესახებ, სასამართლოებმა უნდა მიიღონ კანონით დადგენილი ზომები მიყენებული ზარალის დროულად და სრულად ანაზღაურებისათვის.

5. განემარტოს სასამართლოებს, რომ იმ პირთა მოქმედებები, რომლებმაც ჩაიდინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების I მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულობანი, დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით და სასჯელის ღონისძიების სახით სიკვდილით დასჯის შეფარდების შემთხვევაში უნდა მიეთითოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 22-ე მუხლზე, უკეთუ მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლი არ არის მოყვანილი ამ ბრძანებულების შესაბამისობაში.

ისეთ შემთხვევაში, როცა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი არ არის მოყვანილი დასახელებული ბრძანებულების მე-3 მუხლის შესაბამისობაში, იმ პირთა მოქმედებები, რომლებიც ახდენენ შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობის დეზორგანიზაციას, უნდა დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 14-I მუხლით.

6. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი სასამართლოების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ მოთხოვნა განსაკუთრებით საშიშ დანაშაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ასეთ დანაშაულობათა ჩამდენი პირების და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისათვის სისხლის სამართლის სასჯელის მკაცრ ღონისძიებათა დანიშვნის შესახებ განხორციელებული უნდა იქნეს კანონიერების ზუსტად დაცვით პროცესის ყველა სტადიაზე. სასამართლოები მოვალენი არიან ყველა შემთხვევაში გულმოდგინედ გამოიკვლიონ საქმის მასალები და ყურადღება მიაქციონ, კერძოდ, წინასწარი გამოძიების სისრულეს და წარდგენილი ბრალდების დასაბუთებულობას, დანაშაულის კვალიფიკაციის სისწორეს და სასჯელის ზომები დანიშნონ დიფერენცირებულად, ჩანადენის სიმძიმის შესაბამისად და დამნაშავის პიროვნების მხედველობაში მიღებით.

7. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ აუცილებელია მკაცრად იქნეს დაცული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების მე-4 მუხლში მოცემული მოთხოვნები იმ პირთა მიმართ ვადამდე პირობით განთავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის არგამოყენების შესახებ, რომლებიც ჩამოთვლილია ბრძანებულების ამ მუხლში.

8. რჩევა მიეცეს საოლქო, სამხარეო სასამართლოებს, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს, როგორც წესი, თავიანთ წარმოებაში მიიღონ პირველი ინსტანციით განსახილველად საქმეები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების I მუხლში ჩამოთვლილ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა შესახებ.

9. მიექცეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ყურადღება იმას, რომ აუცილებელია გაძლიერებულ იქნეს ზედამხედველობა საქმეებზე განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა შესახებ, სისტემატურად იქნეს განზოგადებული სასამართლო პრაქტიკა ამ საქმეებზე და მიღებულ იქნეს საჭირო ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს
თავმჯდომარე — ა. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის
მდივანი — ი. გრიშანინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 12 სექტემბრის დადგენილება № 6

სასამართლოების მიერ იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას.

მოისმინა რა უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ფ. კ. გლუხას, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ს. კ. კასუმოვის, უზბეკეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. უ. ი. იბრაჰიმოვისა და ლიტვის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ა. ლ. ლიკასის მოხსენებები სასამართლოების მიერ იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ამ კანონმდებლობის განმარტებასა და სწორად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს პარაზიტული ელემენტების ანტისაზოგადოებრივი საქციელის თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში.

დიდი მნიშვნელობა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებისა, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ცხოვრებისათვის, მდგომარეობს მათს გამაფრთხილებელ, პროფილაქტიკურ ზემოქმედებაში. პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ კანონმდებლობის ძირითად მიზანს წარმოადგენს პატიოსან შრომაში ჩააბას პირები, რომლებიც ეწევიან ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ პირთა უმრავლესობა, რომლებიც თავს არიდებდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, შეუდგა მუშაობას საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მას შემდეგ, რაც გაფრთხილებული იქნენ სამუშაოზე მოწყობის აუცილებლობის შესახებ. პირებს, რომლებსაც ჯიუტად არ სურთ ჩაებან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, ბოროტ მუქთახორებს, რომლებიც მხოლოდ თვალისასახვევად ეწყობიან სამუშაოზე, სასამართლოები ძირითადად სწორად უფარდებენ გასახლებასა და ბრძანებულებით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს. პარაზიტული ელემენტების შესახებ მასალების ღია სამსჯავრო სხდომებზე, ქალაქისა და სოფლის კლუბებში, საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გასვლით განხილვა იზიდავს მშრომელთა ფართო ყურადღებას და ქმნის შეუწყნარებლობისა და საყოველთაო გაკიცხვის გარემოს იმ პირთა მიმართ, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან.

ამასთან ერთად, სასამართლოების საქმიანობაში პარატიზული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ კანონმდებლობის გამოყენებისას ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების შესახებ მასალების განხილვისას სასამართლოები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ ფართო საზოგადოებრიობასთან კავშირის დამყარებას, რაც აუცილებელია გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი ზემოქმედების მიზნების მიღწევისათვის. ზოგჯერ სახალხო მოსამართლეებს ერთპიროვნულად გამოჰქონდათ დადგენილებები გასახლების შესახებ, ხოლო მასალების განხილვა არ ხდებოდა ღია სამსჯავრო სხდომებზე.

გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა სასამართლოები დადგენილად თვლიან რა, რომ პარაზიტული ცხოვრებისათვის პასუხისგებაში მიცემულ პირთა მოქმედებები შეიცავენ დანაშაულის ნიშნებს, ნაცვლად იმისა, რომ მასალები ასეთ პირთა შესახებ გადაგზავნონ პროკურატურის ორგანოებში, სჯერდებიან ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენებას, უქმნიან რა ამით დამნაშავე ელემენტებს შესაძლებლობას გაექცნენ უფრო მკაცრ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ზოგიერთი სასამართლოს პრაქტიკაში ადგილი აქვს პარაზიტული ელემენტების ისეთი ვადით გასახლების შესახებ გადაწყვეტილებათა გამოტანის ფაქტებს, რომელიც კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული, კერძოდ უფრო ნაკლები ვადით, ვიდრე ბრძანებულებებით არის დადგენილი. დადგენილებებში ყოველთვის არ აღინიშნება, რომ ის პირები, რომელთა გადასახლებაც ხდება, აუცილებლად უნდა იქნან ჩაბმული შრომაში გასახლების ადგილას.

რიგ შემთხვევებში სასამართლოები საკმაო ყურადღებას არ უთმობენ პარაზიტული ელემენტების მიერ ქონების შეძენის წყაროების გამორკვევას, რის გამოც კონფისკაციის გარეშე რჩება არაშრომითი გზით მოპოვებული ქონება. კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხშირად სასამართლოები დადგენილებებში არ მიუთითე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ, თუ სახელდობრ არაშრომითი გზით შეძენილ რომელ ქონებას უნდა ეყოს კონფისკაცია.

სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის თავისამრიდებელ პირთა გასახლების შესახებ დადგენილებების გამოტანის ფაქტებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც გაფრთხილების დროს მათი სამუშაოზე მოწყობისათვის დადგენილი ვადა აშკარად არასაკმარისი იყო.

სათანადოდ ვერ აფასებენ რა პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ კანონმდებლობის გამაფრთხილებელ მნიშვნელობას, სასამართლოებს ზოგჯერ გამოაქვთ დადგენილებები იმ პირთა გასახლების შესახებ, რომლებმაც თუმცა დაარღვიეს სამუშაოზე მოსაწყობად მათთვის დადგენილი ვადა, მაგრამ უკვე შეუდგნენ მუშაობას, მათ შესახებ მასალების სასამართლოში განხილვამდე.

ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოები ყოველმხრივ არ იკვლევენ შემოწმების მასალებს და კანონმდებლობის პირდაპირი მოთხოვნის საწინააღმდეგოდ ღებულობენ დადგენილებებს შრომის უნარს მოკლებულ პირთა გასახლების შესახებ.

ცალკეული სასამართლოები აუბრალოებენ იმ პირთა შესახებ მასალების განხილვის წესს, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, არ იკვლევენ წარდგენილ მასალებს სამსჯავრო სხდომებზე და არ ახდენენ მოწმეთა გამოწვევასა და დაკითხვას მაშინაც კი, როცა ეს აუცილებელია. გვხვდება ცალკეული შემთხვევები, როცა იმ პირთა შესახებ მასალების განხილვისას რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, სასამართლოები არ ისმენენ თვით პასუხისგებაში მიცემულ პირთა ახსნა-განმარტებებს. ზოგჯერ სასამართლოები არ ადგენენ სამსჯავრო სხდომის ოქმს, ხოლო დადგენილებებში არ მიუთითებენ მონაცემებზე პასუხისგებაში მიცემულის პიროვნების შესახებ და არ ასაბუთებენ თავიანთ გადაწყვეტილებებს.

სასამართლო პრაქტიკაში ერთნაირად არ წყდება იმ პირთა შესახებ მასალების განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესაძლებლობის საკითხი, რომლებიც ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას. საზოგადოებრივი ბრალმდებლები უმრავლეს შემთხვევაში არ მონაწილეობენ ასეთი მასალების განხილვისას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ძალას.

წამოიჭრა აგრეთვე საკითხები — აქვს თუ არა სასამართლოს უფლება გადადოს მასალების განხილვა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, შეაჩეროს წარმოება ამ მასალებზე ან დააბრუნოს მასალები დამატებითი შემოწმებისათვის.

სასამართლოების მიერ იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკაში არსებული შეცდომების აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს მიეცეს სასამართლოებს შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი:

1. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ სასამართლო ორგანოების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს გააძლიერონ ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას. მასალების განხილვამ იმ პირთა შესახებ, რომლებიც პარაზიტულ არსებობას ეწევიან, უნდა უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებათა სწორი გამოყენება, იგი მიზნად უნდა ისახავდეს ამ პირთა ჩაბმას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და სხვა პირთა გაფრთხილებას, რომ მათ არ ჩაიდინონ მსგავსი ანტისაზოგადოებრივი საქციელი. საჭიროა სასამართლოებმა თავიანთი საქმიანობა წარმართონ ასეთ პირთა შესახებ მასალების განხილვაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმისაკენ, შექმნან ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების მიმართ შეუწყნარებლობისა და მუქთახორების მიმართ საყოველთაო გაკიცხვის გარემო.

2. სასამართლოებმა არ უნდა დაუშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვან ისეთი შემთხვევები, რომ პარაზიტული ელემენტების მიმართ, რომლებმაც დანაშაულობანი ჩაიდინეს, ნაცვლად სისხლის სამართლის სასჯელისა გამოყენებული იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებები. ამასთან დაკავშირებით საჭიროა სასამართლოებმა გულმოდგინედ გამოარკვიონ — ხომ არ შეიცავდა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედობის ნიშნებს იმ პირთა მოქმედებანი, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. იყენებენ რა ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებებს პარაზიტული ელემენტების მიმართ, სასამართლოები კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მოვალენი არიან გადაგზავნონ მასალები ამ პირების დანაშაულებრივ ქმედობათა შესახებ პროკურატურის ორგანოებში.

3. ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებათა განსაზღვრისას სასამართლოებმა ინდივიდუალური მიდგომა უნდა გამოიჩინონ კონკრეტულ გარემოებათა და სამართლის დამრღვევის პიროვნების მიმართ. გასახლება არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს იმ მინიმალურ ვადებზე ქვევით, რომლებიც დადგენილია ბრძანებულებებით ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

სასამართლოებმა დადგენილებებში უნდა მიუთითონ გასახლების ადგილას შრომაში იმ პირთა აუცილებელი ჩაბმის შესახებ, რომელთა გასახლებაც ხდება.

4. სასამართლოებმა იმ პირთა შესახებ მასალების განხილვისას, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევიან, გულმოდგინედ უნდა შეამოწმონ ამ პირთა მიერ ქონების შეძენის წყაროები. ყველა შემთხვევაში, როცა პირებს რომლებიც ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, გააჩნიათ არაშრომითი გზით მოპოვებული ქონება, სასამართლოებმა უნდა შეუფარდონ ამ ქონების კონფისკაცია. სასამართლოები მოვალენი არიან დადგენილებებში დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილება კონფისკაციის შესახებ და მიუთითონ თუ სახელდობრ რომელ ქონებას უნდა ეყოს კონფისკაცია.

5. განემარტოს სასამართლოებს, რომ იმ პირთა შესახებ მასალების განხილვისას, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივი პარაზიტულ ცხოვრებას, ადმინისტრაციული ღონისძიებები არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთ შემთხვევაში, როცა პირი, რომელიც გაფრთხილებული იყო სამუშაოზე მოწყობის აუცილებლობის შესახებ, ვერ შეუდგა მუშაობას საამისოდ მიცემული ვადის არასაკმარისობის ან სხვა მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო. გასახლება არ უნდა შეეფარდოს აგრეთვე იმ პირებს, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას მათ შესახებ მასალების სასამართლოში განხილვამდე, თუნდაც ამ პირების მიერ დარღვეული იყოს სამუშაოზე მოსაწყობად მათთვის მიცემული ვადა. უკეთუ სასამართლო დაადგენს, რომ სამუშაოზე მოწყობისათვის მიცემული ვადა აშკარად არასაკმარისი იყო, მას უფლება აქვს დანიშნოს დამატებითი ვადა სამუშაოზე მოწყობისათვის.

6. სასამართლოებში იმ პირთა შესახებ მასალების განხილვის მთელმა წესმა, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, უნდა უზრუნველყოს სასამართლო პროცესების ფართო აღმზრდელობითი ზემოქმედება, კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ღონისძიებათა დასაბუთებული გამოყენება და გამორიცხოს გასახლების შესახებ არასწორ დადგენილებათა გამოტანის შემთხვევები. ამასთან დაკავშირებით სასამართლოებს განემარტოთ:

ა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მასალები პარაზიტული ელემენტების შესახებ განხილულ უნდა იქნეს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ ღია სამსჯავრო სხდომებზე, მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

იმ პირთა შესახებ საქმეებზე სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი მნიშვნელობის გაზრდის მიზნით, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, უფრო ხშირად ჩატარდეს ასეთი პროცესები საწარმოებში, კოლმეურნეობებში, ქალაქისა და სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლუბებში, საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობით.

ანტისაზოგადოებრივი ელემენტების შესახებ საქმეების დაუსწრებლად განხილვა დაუშვებელია.

ბ) სასამართლოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ საკითხი სამსჯავრო სხდომებზე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ.

გ) ყურადღებას აქცევს რა სასამართლოში შემოსული შემოწმების მასალების სისრულეს და გულმოდგინედ იკვლევს რა ამ მასალებს სამსჯავრო სხდომაზე, სასამართლოს შეუძლია გამოიწვიოს და დაკითხოს მოწმეები.

დამატებითი მონაცემების მიღების აუცილებლობის შემთხვევაში ან სამუშაოზე მოწყობისათვის სამსჯავრო სხდომაზე დამატებითი ვადის დადგენისას სასამართლოებს შეუძლიათ გადადონ მასალების განხილვა. ისეთ შემთხვევაში, როცა ზოგიერთი გარემოებათა გამორკვევა შეუძლებელია საჭირო დამამტკიცებელ საბუთთა გამოთხოვის გზით, მასალები პასუხისგებაში მიცემულ პირთა შესახებ უნდა დაუბრუნდეს პროკურატურას დამატებითი შემოწმებისათვის.

დ) იმ პირთა შესახებ მასალების განხილვისას, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, სასამართლოებმა მოვალენი არიან შეადგინონ სამსჯავრო სხდომის ოქმი.

ე) გასახლების ან საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ გამოტანილ დადგენილებებში სავალდებულოა მითითებულ იქნეს სასამართლოს შემადგენლობა, მოყვანილ იქნეს მონაცემები პასუხისგებაში მიცემულის პიროვნების შესახებ და გადმოცემულ იქნეს მტკიცებები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას.

7. რჩევა მიეცეს სასამართლოებს სისტემატურად შეისწავლონ და განაზოგადონ იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას, და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ისეთ გარემოებათა დადგენისას, რომლებიც ხელს უწყობენ პასუხისგებაში მიცემულ პირთა პარაზიტულ ცხოვრებას, სასამართლოებმა კერძო დადგენილებით უნდა აცნობონ სათანადო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს
თავმჯდომარე — ა. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის
მდივანი — ი. გრიშანინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი შენიშვნა სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის ახალი წესების შესახებ

ჯანმრთელობის და სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის წესებს. მის მიხედვით უნდა იხელმძღვანელოს ექიმმა სასამართლო-სამედიცინო დოკუმენტის შედგენის დროს. სხვა საკითხებთან ერთად, ამ დოკუმენტის დასკვნით ნაწილში, პირველ ყოვლისა განსაზღვრული უნდა იქნეს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხი.

სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრა ექსპერტიზის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. იგი ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მეტად აქტუალურ საკითხს.

სხეულის დაზიანების განსაზღვრა საბჭოთა კანონმდებლობით ხდებოდა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მიერ 1919 წელს გამოცემული დროებითი წესებით, რომელიც არსებითად შემუშავებული იყო რევოლუციამდელი წესების მიხედვით.

საბჭოთა სისხლის სამართლის პირველ კოდექსში (რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა 1922 წ.) სხეულის დაზიანების კლასიფიკაცია ისეთივეა, როგორც ეს მოცემულია 1903 წლის „ხასჯელთა დებულებაში" — სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანება.

1926 წელს სისხლის სამართლის კოდექსის მეორე გამოცემაში სხეულის დაზიანების ხარისხის დაყოფა მოხდა ორ ჯგუფად: მძიმე და მსუბუქი. უკანასკნელი თავის მხრივ გაიყო ორ ჯგუფად. პირველს მიეკუთვნა სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოშლით, ხოლო მეორეს სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ყოველთვის უცვლელად რჩებოდა სამხარისხიანი დაყოფა: მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი.

1928 წელს იუსტიციის და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატების მიერ დამტკიცებული იქნა „წესები, დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, თუ რამდენად მძიმეა სხეულის დაზიანება".

აღნიშნული წესები დიდი ხანია მოძველდა და მოითხოვდა სერიოზულ გადამუშავებას და შეცვლას, ამიტომ ჯერ კიდევ 1939 წელს საკავშირო სამეცნიერო-იურიდიული ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე განსახილველად წარდგენილ ერთიანი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტით ჩამოყალიბებულ იყო სხეულის დაზიანების მედიკურ-იურიდიული კლასიფიკაცია. ამის შემდეგ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე, თათბირებზე და სპეციალურად შექმნილ კომისიებში მუშავდებოდა წესები სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე ვერ მოხერხდა ძველი (1928 წლის) წესების შეცვლა.

1960 წელს, საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული იქნა სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის წესების პროექტი, რომლის საფუძველზე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიერ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შესაბამისად შემუშავებული იქნა ახალი „წესები სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის", რომელიც შეთანხმებული იქნა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან, საქართველოს სსრ პროკურორთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან, ხოლო შემდეგ (1960 წლის 5 მაისს) დამტკიცებული იქნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ.

აღნიშნული „წესები" გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" 1960 წლის მე-5 ნომერში, დაისტამბა ცალკე ბროშურის სახით, გადაეცა სახელმძღვანელოდ ყველა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს და 1961 წლის 1 იანვრიდან მუშაობა დაწყებული იქნა ახალი „წესების" მიხედვით.

ახალი „წესების" შემოღება მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პრაქტიკაში, რადგან საგრძნობლად შეიცვალა სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმი. ბევრი ისეთი დაზიანება, რომელიც ძველი წესებით მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე დაზიანების კატეგორიას ეკუთვნოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წესების მიხედვით მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებათა ჯგუფს.

სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრას საფუძვლად უდევს: სიცოცხლისათვის საშიშროება, ავადმყოფური მდგომარეობის სიმძიმე და მისი მიმდინარეობის ხანგრძლიობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული აღნიშნულ და-

ზიანებასთან, მძიმე შედეგები დაზიანების გამოსავალში (მაგალითად: მწარმოებლური უნარიანობის დაკარგვა და ა. შ.) და შრომისუნარის დაკარგვის ხარისხი და ხანგრძლიობა (ეკონომიური კრიტერიუმი).

ახალ „წესებში" კონკრეტულად ჩამოთვლილია სხეულის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანების სახეები, ცალკეული ნოზოლოგიური ერთეულის მიხედვით, რაც მეტად აადვილებს სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრას, თუმცა, როგორც ეს წესების 10 მუხლშია მითითებული „წინამდებარე წესებში მოყვანილი დაზიანების სხვადასხვა სახეები ვერ ამოწურავს სხეულის დაზიანებების მთელ მრავალფეროვნებას. აქ წარმოდგენილია მხოლოდ დაზიანების ყველაზე უფრო ტიპიური სახეები, რომლებიც სასამართლო-სამედიცინო პრაქტიკაში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება, ამიტომ ეს წესები უნდა წარმოადგენდეს საექსპერტო მოქმედების მხოლოდ ზოგად სახელმძღვანელო მითითებებს".

სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებები მოცემულია ახალი „წესების" მე-6 მუხლში. დაზიანებათა ამ ჯგუფში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ცვლილებები რაც მოხდა გარეშე ზემოქმედებით (ფიზიკური და ფიზიკური ტრავმით) გამოწვეულ აბორტთან და ნაადრევ მშობიარობასთან დაკავშირებით და აგრეთვე ზოგიერთი დამატებები, ძირითადში საკითხის დაზუსტების მიზნით სახის წარუხოცელი დამახინჯების განსაზღვრის საქმეში.

თუ ძველი „წესების" მიხედვით, გარეშე ზემოქმედებით განვითარებული აბორტი ორსულობის პირველ ნახევარშიაც მიეკუთვნებოდა სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებას, ახალი „წესებით" მძიმეა მხოლოდ ორსულობის მეორე ნახევარში განვითარებული აბორტი და ნაადრევი მშობიარობა, რადგანაც სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის განვითარება (სისხლდენა, პერიტონიტი ემბოლია და სხვ.) ამ პერიოდში უფროა მოსალოდნელი.

სხეულის მძიმე დაზიანების ხარისხის განსაზღვრის დროს ექსპერტი ვალდებულია მიუთითოს სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლის შედგენილობის რომელი ელემენტის მიხედვით არის იგი მძიმე. ასე მაგალითად, ხშირად სხეულის მძიმე დაზიანება გამოწვეულია სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შექმნის, საკმაო ინვალიდობის გამოწვევის, რომელიმე ორგანოს დაკარგვის გამო და სხვ. ამიტომ დასკვნაში უნდა იწერებოდეს „მძიმე დაზიანება სიცოცხლისათვის საშიში", „მძიმე დაზიანება საკმაო ინვალიდობის გამოწვევით" და სხვ.

„საკმაო ინვალიდობის გამომწვევ მძიმე დაზიანების" ქვეშ იგულისხმება, რომ დაზიანებულს შრომისუნარი დაკარგული აქვს ხანგრძლივად ან სამუდამოდ, სულ ცოტა ერთი მესამედით, ამიტომ დასკვნის ასეთი ფორმულირების დროს საჭირო არ არის მიეთითოს შრომისუნარის დაკარგვის ხარისხი, რასაც ამ უკანასკნელ ხანებში ექსპერტისაგან უმართებულოდ მოითხოვს გამოძიება და სასამართლო.

არის შემთხვევები, როცა სხეულის მძიმე დაზიანება გამოწვეულია სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შექმნის გამო და ამის შესახებ ექსპერტს დასკვნაშიც აქვს მითითებული, მაგრამ რატომღაც ექიმისაგან მოითხოვენ მითითებულ იქნეს დაზიანებასთან დაკავშირებით შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი. უფრო ხშირად, სიცოცხლისათვის საშიში დაზიანების შემთხვევაში შრომისუნარი ხანმოკლედ არის დაკარგული და ამიტომ დაზიანების სიმძიმე შრომის უნარის (ხანგრძლივი ან სამუდამო) დაკარგვით არ არის განსაზღვრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ სხეულის მძიმე დაზიანება გამოწვეულია 110 მუხლში მითითებული შედგენილობის რამდენიმე ელემენტის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ექსპერტმა უნდა აღნიშნოს სხეულის მძიმე დაზიანების გამომწვევი ყველა ნიშნები. ასე მაგალითად: „...დაზიანება მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საშიშ და მასთან საკმაო ინვალიდობის გამომწვევ მძიმე დაზიანებას". „დაზიანება მიეკუთვნება მძიმე ხარისხს, ორგანოს — მარცხენა წინამხრის — დაკარგვის გამო, რასაც შედეგად მოჰყვა საკმაო ინვალიდობის გამოწვევა" და სხვ.

სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებით დაკარგული შრომის უნარის განსაზღვრა პროცენტებში წარმოებს მხოლოდ სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ჩვეულებრივ გადაწყვეტილი უნდა იქნეს დაზიანების სრული აღდგენის ან შედარებით სტაბილური მდგომარეობის შექმნის შემდეგ, რომლის გადაწყვეტას აწარმოებს ცალკე ექსპერტთა კომისია — სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით. ამიტომ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სხეულის დაზიანების ხასიათის და ხარისხის განსაზღვრის დროს ექსპერტს არ შეიძლება მოეთხოვოს დაზიანების შედეგად დაკარგული შრომის უნარის ხარისხის განსაზღვრა.

სახის წარუხოცელი დამახინჯების საკითხი განმარტებულია ახალი „წესების" მე-6 მუხლის მე-6 შენიშვნაში: „სახეზე ისეთი დაზიანებისას, რომლებმაც გამოიწვიეს მნიშვნელოვანი დანაწიბურება, სხვადასხვაგვარი დეფორმაციები და სხვა ცვლილებანი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი ვალდებულია თავის დასკვნაში უჩვენოს — ხომ არ გამოიწვიეს ამ ცვლილებებმა სახის ასიმეტრია, მიმიკის დარღვევა და სხვა პათოლოგიური მდგომარეობანი და რამდენად შესაძლებელი იქნება ამ ნაწიბურების გამოსწორება პლასტიკური და კოსმეტიკური ოპერაციული ჩარევის გარეშე.

აქვს თუ არა ადგილი მოცემულ შემთხვევაში სახის წარუხოცელ დამახინჯებას, ამ საკითხის გადაწყვეტა შედის საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების კომპეტენციაში".

ამრიგად, სახის წარუხოცელი დამახინჯება შედგება ისეთი დაზიანებებისა, რომლებმაც გამოიწვიეს სახის დეფორმაცია, მნიშვნელოვანი დანაწიბურება, სახის ასიმეტრია, მიმიკის დარღვევა, და სხვ. რომელთა შედეგად მნიშვნელოვნად იცვლება დაზარალებულის სახის გარეგნული შეხედულება. ასეთი შეიძლება განვითარდეს: ცხვირის, ქუთუთოების, ყურის წიაარების, ტუჩების მოცილების შემთხვევაში, სახის დამწვრობის, დამდუღვრის და მწვავე სიმჟავეების და ტუტეების მოქმედებით გამოწვეული ნეკროზის შემთხვევაში, როცა დაწყლულებული უბნების შეხორცების შედეგად წარმოიშობა ღრმა, ტლანქი ნაწიბურები ან ვამოუსწორებელი ლაქები

სახის წარუხოცელი დამახინჯების საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად არ უდევს ეკონომიური კრიტერიუმი, (დაკარგული შრომისუნარის ოდენობა და ხანგრძლივობა). ასეთ შემთხვევა-



ში დაზიანება თითქმის ყოველთვის არის მსუბუქი ხარისხის.

თუმცა სახის წარუხოცელი დამახინჯების ღროს ფსიქიკური განცდებით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლა ძალიან ხშირად დაზარალებულს შრომისუუნაროს ხდის. ასეთი შედეგი ჩვეულებრივ ვითარდება დაზიანების მიყენებიდან საკმაო დროს გავლის შემდეგ (თვეები და წლები).

სახის წარუხოცელი დამახინჯების ექსპერტიზის შემთხვევაში ექიმმა დაზიანება უნდა შეაფასოს, როგორც მსუბუქი ხარისხის (ეკონომიური კრიტერიუმით), ხოლო თუ გამოძიება ან სასამართლო ამ დაზიანებას ჩათვლის, როგორც წარუხოცელ დამახინჯებად, მაშინ იგი იქნება მძიმე და დანაშაულიც დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერისი მუხლით. წინააღმდეგ შემთხვევაში კი დანაშაულის კვალიფიკაცია მოხდება სამედიცინო დასკვნაში მითითებული (მსუბუქი) ნიშნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით. ამით უნდა აიხსნას, რომ სახის წარუხოცელი დამახინჯების დროს ექსპერტი დასკვნაში წერს სხეულის მსუბუქ დაზიანებას და არა მძიმეს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაზიანება სხეულის მძიმე დაზიანების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტის კომპეტენციაში არ შედის სახის წარუხოცელი დამახინჯების საკითხის გადაწყვეტა, ახალი „წესების" მიხედვით ექსპერტი გარკვევით მიუთითებს ასეთი დაზიანების არსებობაზე ან არ არსებობაზე, რადგან ამ პუნქტში არსებული მონაცემების გამოყენებით სამედიცინო დასკვნაში მკაფიოდ გამოჩნდება არის თუ არა სახის წარუხოცელი დამახინჯება. ასე, მაგალითად, ექსპერტი ერთ შემთხვევაში დასკვნაში აღნიშნავს, რომ სახეზე არის უმნიშვნელო ნაწიბური, რომ დაზიანებას არ გამოუწვევია სახის დეფორმაცია, ასიმეტრია და მიმიკის შეცვლა. ან მეორე შემთხვევაში სახეზე დაზიანების შედეგად განვითარებულია ტლანქი, მნიშვნელოვანი ნაწიბური, სახე დეფორმირებულია ან მიმიკა შეცვლილია. პირველ შემთხვევაში დაზიანებას არ გამოუწვევია სახის დამახინჯება, ხოლო მეორე შემთხვევაში ადგილი აქვს სახის წარუხოცელ დამახინჯებას.



მნიშვნელოვანია ისიც, რომ მხედველობაში არ შეიძლება იქნეს მიღებული სახეზე არსებული ნაწიბურები, დეფორმაცია — ასიმეტრია და მიმიკის მოშლა გამოსწორდება თუ არა პლასტიკურ ან კოსმეტიკური ოპერაციით. ასეთი სიახლე „წესებში" შეტანილია იმის გამო, რომ ამდაგვარი ოპერაციის გაკეთება დაზარალებულის თანხმობის გარეშე არ შეიძლება. ამასთან ერთად იგი გარანტირებული არ არის ქირურგიული ოპერაციის დადებითი შედეგით, ხოლო თვით ეს ოპერაცია — კანის გადანერგვა, ნაწიბურების ამოჭრა და სხვ. დაკავშირებულია ხანგრძლივ და მასთან საკმაოდ მტკივნეულ მანიპულაციებთან.

სახის დაზიანების წარუხოცელობის საკითხი უნდა გადაწყდეს არა დაზიანების მიყენებისთანავე, არამედ მისი შეხორცების და სრული მორჩენის შემდეგ, როცა აღარაა მოსალოდნელი რაიმე მკვეთრი ცვლილებების განვითარება.

სახის წარუხოცელი დამახინჯების საკითხის გადაწყვეტა ექსპერტის კომპეტენციაში არ შედის, ეს უნდა დაადგინოს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებმა. ძველი „წესების" მიხედვით ამ საკითხს მხოლოდ სასამართლო წყვეტდა. ამიტომ იყო, რომ საგამომძიებლო ორგანოებში არ ხდებოდა ასეთი ხელყოფის სწორი კვალიფიკაცია, ესლა კი გამომძიებელს თავისი შეხედულების მიხედვით შეუძლია სახეზე არსებული დაზიანება ჩათვალოს წარუხოცელ დამახინჯებად ან უარყოს ასეთი და საქმეს თავიდანვე მისცეს სწორი მიმართულება.

ქვემოდ მოგვყავს სახის წარუხოცელი დამახინჯების ზოგიერთ შემთხვევების ფოტოსურათები.

მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი სხეულის „ნაკლებად მძიმე" დაზიანების განსაზღვრაში. ამ მხრივ საყურადღებოა ბევრი ისეთი დაზიანებანი (1-8 ნეკნის მოტეხილობა ცალ მხარეზე, შინაგანი ორგანოების დაზიანების გარეშე, ღრმა ჭრილობები, რომლებიც ქირურგიულ დამუშავებას მოითხოვენ, სახის ძვლების დახურული გაურთულებელი მოტეხილობები, მრავლობითი — გავრცელებული სისხლნაყიღნთები, ძვლების ამოვარდნილობა წვრილ სახსრებში, სამი და მეტი სრულფასოვანი კბილის ტრავმული მოცილება და მრავალი სხვა (იხ. „წესების" მე-7 პუნქტი), რომელიც ძველი „წესების" მიხედვით სხეულის მსუბუქ დაზიანებას მიეკუთვნება, მაგრამ ახალი „წესებით" მიეკუთვნება „ნაკლებად" მძიმე დაზიანებათა ჯგუფს.

ახალი წესებით, სხეულის მსუბუქი დაზიანება, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 112-მუხლის შესაბამისად არის ორი სახის; „სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოშლით" და „სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად". პირველს ეკუთვნის ისეთი დაზიანებანი, რომლებიც სიცოცხლისათვის საშიში არ არიან, იწვევენ ჯანმრთელობის მოშლას და საჭიროებენ მკურნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობას არა უმეტეს 12 დღისა და რომელთა გამოსავალია სრული გაჯანსაღება, ასე მაგალითად (1-2 სრულფასოვანი კბილის ტრავმული მოცილება, კანის ჭრილობები, მნიშვნელოვანი სისხლნაჟღენთები და სხვ.).

სხეულის დაზიანების ყველა სხვა შემთხვევა, რომელთაც არ აქვთ მე-6-7 და მე-8 პუნქტებში ჩამოთვლილ დაზიანებათა ნიშნები, არ საჭიროებენ საექიმო დახმარებას და არ იწვევენ ჯანმრთელობის მოშლას — მიეკუთვნება სხეულის მსუბუქ დაზიანებას — ჯანმრთელობის მოუშლელად, ასე მაგალითად: ნაჭდევები, განაკაწრები, მცირე ზომის სისხლნაჟღენთები და სხვ.

აღნიშნული ცვლილებები მართალია ართულებს ექსპერტის მუშაობას, მაგრამ სამაგიეროდ გარკვეული დიფერენციაცია შეაქვს მსუბუქი დაზიანების დიდ ჯგუფში, რითაც შესაძლებელი ხდება მცირე ან უფრო მნიშვნელოვანი მსუბუქი დაზიანებისათვის გამოყენებული იქნეს განსხვავებული (სხვადასხვა) სასჯელი.

ეს სიახლე გათვალისწინებული არ არის ახალ წესებში. აუცილებელია აღნიშნული წესების მე-8 პუნქტი წარმოდგენილი იქნეს ახალი რედაქციით, აგრეთვე დაემატოს მას ახალი პუნქტი. აქვე ვიძლევით ამ ცვლილებებს „წესებში".

8. სხეულის მსუბუქ დაზიანებას ჯანმრთელობის მოშლით წარმოადგენენ ყველა ის დაზიანებანი, რომელთაც არა აქვთ 6 და 7 პუნქტებში ჩაშოთვლილ დაზიანებათა ნიშნები, სიცოცხლისათვის საშიშნი არ არიან, იწვევენ ჯანმრთელობის მოშლას და საჭიროებენ მკურნალობას არაუმეტეს 12 დღისა და რომელთა გამოსავალია სრული გაჯანსაღება (1-2 სრულფასოვანი კბილის ტრავმული მოცილება, კანის ჭრილობები, მნიშვნელოვანი სისხლნაჟღენთები და სხვა).

9. სხეულის მსუბუქ დაზიანებას ჯანმრთელობის მოუშლელად წარმოადგენენ ყველა ის დაზიანებანი, რომელთაც არა აქვთ 6, 7 და 8 პუნქტებში ჩამოთვლილ დაზიანებათა ნიშნები, არ იწვევენ ჯანმრთელობის მოშლას, არ საჭიროებენ საექიმო დახმარებას და მკურნალობას (ნაჭდევები, განაკაწრები, მცირე ზომის სისხლნაჟღენთები და სხვა).

გარკვეული სიახლეა შეტანილი თავის ტვინის შერყევის შემთხვევაში სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის საკითხში.

„ტვინის შერყევა, დაზიანების კლინიკურ სურათის სიმძიმისა და გამოსავლის მიხედვით შეიძლება მიეკუთვნოს როგორც მძიმე, ისე ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებას. ტვინის შერყევა, რომლის დიაგნოზი არ მტკიცდება ობიექტური ჩივილების საფუძველზე, სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული".

ამრიგად, თავის ტვინის შერყევა, დადასტუ-



რებული კლინიკური გამოკვლევით, არ შეიძლება შეფასდეს მსუბუქ დაზიანებად, როგორც ეს ხდებოდა ძველი „წესებით" მუშაობის დროს.

ყველა ზემოდ აღნიშნულის მიხედვით აშკარაა, რომ სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის ახალი წესები უფრო მეტად დასავსებით სამართლიანად, იცავს ადამიანის ჯანმრთელობის ხელშეუხებლობას, რის გამოც იგი კარგი საშუალება იქნება ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის საპროფილაქტიკოდ.

დოც. ვ. შანიძე

საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი.

სასამართლო წესით ზოგიერთი ფაქტის დადგენის შესახებ

თ. მოდებაძე

ქ. თბილისის პირველი სახელმწიფო
სანოტარო კანტორის უფროსი ნოტარიუსი.

დიდი და საპასუხისმგებლო როლი აკისრია სამოქალაქო ურთიერთობის გაფორმებათა დადგენისა და განხორციელების საქმეში სახელმწიფო სანოტარო ორგანოებს, რომლებიც თავის მუშაობაში ხელმძღვანელობენ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით და სანოტარო ორგანოების დებულებით.

თუ რა დიდი მოვალეობანი და უფლებანი აკისრია სანოტარო კანტორის ორგანოებს, ამაზე მეტყველებს ის, რომ სანოტარო კანტორის მოვალეობაში შედის კანონის შესაბამისი სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების, მინდობილობებისა და ანდერძების დამოწმება, მოწმობების გაცემა საჯარო ვაჭრობით შენობათა ყიდვის შესახებ, მეუღლეთა იმ საერთო ქონების უფლების შესახებ, რომელიც შეძენილია ქორწინების შემდგომ პერიოდში ერთად ცხოვრების მანძილზე, ქონების დამკვიდრების უფლებისა და მისი ბეითალმანობის შესახებ, სანოტარო კანტორების მოვალეობაა მიიღონ ზომები გარდაცვალებულების დანაშთი ქონების დასაცავად, დაადებიოს და მოხსნას ყადაღა შენობაზე, აკეთებს აღსრულებით წარწერებს დოკუმენტებზე. დამოწმებს დოკუმენტებსა და ამ დოკუმენტების ამონაწერების ასლების სიზწორეს, აგრეთვე დაამოწმებს ხელისმოწერის სინამდვილეს, დაამოწმებს გირავნობის აღნაგობის ხელშეკრულებებს.

სანოტარო კანტორის მიერ დამოწმებული დოკუმენტების საფუძველზე, მოქალაქეს, საწარმო-დაწესებულებას შეუძლია უფლება მოიპოვოს ამათუიმ ღირებულების მქონე ქონებაზე, აღუკვეთოს ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლება და ა. შ.

ჩვენი წერილის მიზანი არ არის ვრცლად შევჩერდეთ სანოტარო ორგანოების უფლება-მოვალეობაზე, არამედ გვინდა შევეხოთ ერთ საკითხს — სასამართლო წესით ისეთი ფაქტების დადგენის შესახებ, რომლისაგანაც დამოკიდებულია მოქალაქეთა პირადი ან ქონებრივი უფლების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკაში აღძრული საკითხების განმარტებისათვის და სამემკვიდრეო საკითხზე წინათ მოცემულ სახელმძღვანელო მითითებათა გაერთიანების მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სასამართლოებს მისცა მითითებები, რომელშიც ნათლადაა განმარტებული, როგორც საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 430-432 და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების, ისევე საქართველოს სსრ ნოტარიატის დებულების 61-62-ე მუხლების გამოყენების წესი.

პლენუმის ეს დადგენილება წარმოადგენს სახელმძღვანელო მითითებას სამემკვიდრეო სამართალში, კერძოთ კი მემკვიდრეობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემისას.

ამიტომ მემკვიდრეობის საკითხის გადაჭრისა და მასთან დაკავშირებული ყოველგვარ იურიდიულ ფაქტის დადგენისას, როგორც სახალხო სასამართლოებმა, ისევე ნოტარიუსებმა, რომელთა კომპეტენციაშიც შედის მემკვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემა, საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო, აგრეთვე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსებთან და საქართველოს სსრ ნოტარიატის დებულებასთან ერთად უნდა იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის № 2 დადგენილებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც სასამართლო გადაწყვეტილებები, აგრეთვე სანოტარო კანტორის მიერ გაცემული სამემკვიდრეო მოწმობები, ვერ დააკმაყოფილებენ იმ ელემენტარულ მოთხოვნებს, რაც გამომდინარეობს სამემკვიდრეო სამართლიდან. თვალსაჩინოებისათვის დავასახელებთ რამოდენიმე მაგალითს.

ანდრია გრიგორის ძე ნასყიდაშვილს, რომელსაც არ ქონდა დაბადების მოწმობა, მიუმართავს სახალხო სასამართლოსათვის და მოუთხოვია იურიდიული ფაქტების დადასტურება იმის შესახებ, რომ იგი ნამდვილად არის შვილი გარდაცვალებულ გრიგორი სოლომონის ძე ნასყიდაშვილის. ა. გ. ნასყიდაშვილს იურიდიული ფაქტის დადასტურება ესაჭიროებოდა სანოტარო კანტორაში წარსადგენად, მამის, გრიგორი სოლომონის ძე ნასყიდაშვილის დანაშთი ქონებაზე სამემკვიდრეო მოწმობის გასაცემათ.

1960 წლის 25 აპრილს ქ. თბილისის 26 კომისრების რაიონის სახალხო სასამართლოს განუხილავს საქმე და გამოუტანია გადაწყვეტილება, რომლითაც დაუდგენია, რომ „მაძიებელი არის ერთად ერთი მემკვიდრე გრიგოლი სოლომონის ძე ნასყიდაშვილის“. აქვეა აღნიშნული ისიც, რომ „გადაწყვეტილება ესაჭიროება იმისათვის, რომ არ უფორმებენ მისი მამის სახლს“. სახალხო სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სამემკვიდრეო მოწმობის გასაცემად, რადგან:

1. გარდა იმისა, რომ სამემკვიდრეო მოწმობის გაცემა მოქმედი კანონით სანოტარო კანტორის კომპეტენციაში შედის და არა სახალხო სასამართლოსი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ 1959 წლიდან 27 აგვისტოს დაშვებულია სადირექტივო წერილი, რითაც ნოტარიუსებს ეკრძალებათ სასასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებების საფუძვლათ დადება მემკვიდრეობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემისას.

2. გადაწყვეტილებით დადგენილი არ არის ნათესაური კავშირი სამკვიდროს დამტოვებლის და მაძიებელს შორის.

3. მაძიებელს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 432 მუხლით და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის № 10 დადგენილებით მემკვიდრეობაზე დაკარგული ქონია უფლება, რადგანაც თითონ ცხოვრობს და მემკვიდრეობის გახსნის დროსაც ცხოვრობდა ქარელის რაიონში სოფელ რუისში, მემკვიდრეობა კი გახსნილია თბილისში, სადაც იმყოფება ქონებაც.

მოქალაქე ელისაბედ მათეს ასულმა ბოლქვაძემ მიმართა სახალხო სასამართლოს და მოითხოვა იურიდიული ფაქტის დადასტურება იმის შესახებ, რომ იგი იყო გარდაცვალებულ ნიკოლოზ ილარიონის ძე ბოლქვაძესთან ფაქტიურ ქორწინებაში 1914 წლიდან. ამავე დროს ძიებით განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ გადაწყვეტილება ესაჭიროებოდა სანოტარო კანტორაში წარსადგენად საქართველოს სსრ საქორწინო საოჯახო და სამეურვეო კოდექსის მე-17 მუხლის გამოსაყენებლად.

1957 წლის 11 სექტემბერს ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა საქმე და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ ელისაბედ მათეს ასული ბოლქვაძე არის ცოლი ნიკოლოზ ილარიონის ძე ბოლქვაძის.

ეს გადაწყვეტილებაც ვერ გამოიყენება საფუძვლად მემკვიდრეობის დამადასტურებელი მოწმობის გასაცემად.

კიდევ ერთი მაგალითი. მოქალაქე იულია სამსონის ასულმა კვანტალიანმა სახალხო სასამართლოში აღძრა საქმე და მოითხოვა იურიდიული ფაქტის დადასტურება, იმის შესახებ, რომ მისი გარდაცვალებული მეუღლე, გრიგოლ კონსტანტინეს ძე კვანტალიანი იყო შვილი კონსტანტინე იორდანეს ძე კვანტალიანის. ძიებითი განცხადებაში აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნული იყო ის, რომ იურიდიული ფაქტის დადასტურება მას ესაჭიროებოდა მამამთილის, კონსტანტინე იორდანეს ძე კვანტალიანის დანაშთ ქონებაზე სამემკვიდრეო მოწმობის მიღებად.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ, 1957 წლის 9 თებერვალს განიხილა აღნიშნული საქმე და გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც დადგენილია იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ „გრიგოლ კონსტანტინეს ძე კვანტალიანი დაბადებულია 1902 წელს, რაც დასტურდება ოსოვიაქიმის წიგნაკით“ (?) ასეთი გადაწყვეტილება სამემკვიდრეო მოწმობის გაცემას საფუძვლად ვერ დაედება და ვერც რაიმე ფაქტის დადგენათ ჩაითვლება.

ყველა ზემოთ მოყვანილი და სხვა ანალოგიური გადაწყვეტილებები გამოტანილი სახალხო სასამართლოების მიერ იმდენად აჭიანურებენ და ართულებენ სამემკვიდრეო მოწმობის გაცემის ფაქტებს, რომ ხშირად მოქალაქეები უკმაყოფილონი და დაღლილნი სასამართლოებში განუწყვეტელი სიარულით, იძულებული არიან უარი თქვან მემკვიდრეობაში შესვლაზე, რის გამოც ღიად და გადაუწყვეტელი რჩება საკითხი.

სასამართლო ორგანოები მსგავსი კატეგორიის საქმეების განხილვისას უნდა ხელმძღვანელობდნენ ზემდგომ ორგანოთა დადგენილებებით, კერძოთ კი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის № 2 დადგენილებით, აგრეთვე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამეურვეო კოდექსის 418—420 და საქართველოს სსრ საქორწინო საოჯახო და სამეურვეო კოდექსის 17 მუხლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუნდობლად ვებრძოლოთ საბჭოთა კანონიერების დამრღვევთ

თათბირი საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტში

საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ამასწინათ ჩაატარა მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო მუშაკთა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი „ქალაქში დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების ამოცანების შესახებ". თათბირზე საინფორმაციო მოხსენებებით გამოვიდნენ მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსი ამხ. გ. შალამბერიძე, ქალაქის პროკურორი ამხ. ა. ყღენტი და სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ა. იობიძე.

მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა ამხ. გ. შალამბერიძემ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ქალაქში იშვიათი როდია სისხლის სამართლის დანაშაულებათა შემთხვევები — ქურდობის, ხულიგნობის, სპეკულაციის, სახელმწიფო ქონების დატაცებისა და სხვა ფაქტები.

არასაკმაო ბრძოლა სწარმოებს გაფლანგვა-მტაცებლობის, სპეკულაციის, კერძო რეწვის, ვაჭრობის წესების დარღვევათა აღსაკვეთად.

მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ხშირია საგზაო შემთხვევები და ტრანსპორტის ავარიები, ავტოინსპექციაᲐ და მისი მუშაკები ვერ ახორციელებენ ჯეროვან ღონისძიებებს საგზაო შემთხვევების აღმოფხვრისათვის.

ინდივიდუალური ავტომანქანების მფლობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არღვევს მოძრაობის წესებს, ზოგიერთი მათგანი სრულებით არაა ჩაბმული შრომით საქმიანობაში და მანქანებს პირადი გამორჩენისათვის იყენებს. მათ მიმართ მილიციის მუშაკები ვერ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას. ვინც მანქანას პირადი გამდიდრების მიზნით იყენებს იგი გასამართლებულ უნდა იქნას და მის მანქანას კონფისკაცია უნდა ეყოს. უნდა განაახლოს მუშაობა სპეციალურმა სახალხო რაზმმა, რომელიც მილიციის ორგანოებთან ერთად იმუშავებს ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობის მოსაწესრიგებლად.

ხშირია ხულიგნობის, განსაკუთრებით წვრილმანი ხელიგნობის შემთხვევები. მილიციის განყოფილებები არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან საპასპორტო რეჟიმის განმტკიცებისათვის.

სუსტად ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებანი. მილიციის, პროკურატურის, სასამართლოს ორგანოები არასაკმარისად სწავლობენ ცალკეული დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და სუსტად იბრძვიან ამ მიზეზების აღსაკვეთად.

დასასრულ ამხ. გ. შალამბერიძემ მოითხოვა, რომ ნებაყოფლობითმა სახალხო რაზმეულებმა, გააქტიურონ თავიანთი საქმიანობა, რომლებიც ხშირად მხოლოდ წვრილმანი საკითხებით არიან გატაცებული.

ქალაქის პროკურორმა ამხ. ა. ყღენტმა თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების დიდ მნიშვნელობას. მან აღნიშნა, რომ მთავარია არ იქნეს დაშვებული დანაშაული, მაგრამ თუ ასეთი მოხდა იგი აუცილებლად უნდა გამოვავლინოთ და მისი ჩამდენი სათანადოდ დავსაჯოთ.

სავაჭრო ორგანიზაციებში, ბევრ საწარმო-დაწესებულებაში მატერიალურ საპასუხისმგებლო სამუშაოზე არიან ისეთი პირები, რომლებიც ნდობას ვერ იმსახურებენ.

ამხ. ა. ყღენტმა აღიარა, რომ პროკურატურის მუშაობაში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი ნაკლოვანებები. საბჭოთა კანონიერების განუხრელად დაცვის ინტერესები მოითხოვენ პროკურატურის, მილიციისა და სასამართლო ორგანოების ერთობლივ ღონისძიებათა გაძლიერებას.

ქალაქის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. ა. იობიძემ თათბირის მონაწილეთა ყურადღება შეაჩერა მთელი რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. სასამართლოში, — ამბობს იგი, — საკმაო რაოდენობით შემოდის საქმეები პროკურატურიდან, მილიციიდან. საქმის გარჩევის დროს ხელს გვიშლის ის, რომ ზოგიერთი დამნაშავის მიმართ წინასწარ არაა გატარებული აღმკვეთი ღონისძიება. ასეთი დამნაშავეები დროულად არ ცხადდებიან პროცესზე, ახერხებენ ცრუმოწმეთა მონახვას და ამით ცდილობენ ყოველმხრივ შეასუსტონ მათ მიმართ წაყენებული ბრალდება. ამიტომ ის პირები, რომელთა დანაშაული აღმკვეთ ღონისძიებას ითვალისწინებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა დავტოვოთ თავდებში. მან თვითკრიტიკით აღნიშნა, რომ სასამართლოს მუშაობაშიც აქვს ანალოგიური ფაქტებს ადგილი. იყო შემთხვევები, როცა ბრალდებულს მიესაჯა აღმკვეთი ღონისძიება და არ იქნა იგი აყვანილი პატიმრობაში. ჩვენ ვუცდით უმაღლეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას. თავის დაზღვევის ასეთი პრაქტიკა მომავალში არ უნდა განმეორდეს.

სასამართლოები ძალზე იშვიათად აწყობენ საჩვენებელ პროცესებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს შემდგომში ეს ფორმა ფართოდ დავნერგოთ მუშაობის პრაქტიკაში. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს პროცესებზე საზოგადოებრივ ბრალმდებელთა მონაწილეობას.

წვრილმანი ხულიგნობისათვის მისჯილნი, როგორც წესი, გამოყენებულ უნდა იქნენ ქუჩების, სკვერების, პარკების კეთილმოწყობისათვის, რაც აგრეთვე ჩვენს სინამდვილეში არ ხორციელდება. მომავალში კი ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების კრიტიკით დაიწყო თავისი გამოსვლა პარტიის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანიზაციების განყოფილების გამგემ ამხ. გ. ცხელაშვილმა. სუსტად სწარმოებს ბრძოლა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებათა წინააღმდეგ. ავიღოთ თუნდაც სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. ავლენენ წვრილმანი სპეკულაციის ფაქტებს, ხოლო მსხვილი სპეკულანტები მიმალულნი არიან. ამასთან არაა გამოვლინებული სპეკულაციის წყარო. ამას წინათ შაუმიანის ქუჩაზე გამოვლინებულ იქნა 5 სპეკულანტი, მაგრამ არაა დადგენილი ის, თუ საიდან ღებულობნენ ისინი სასპეკულაციო საქონელს.

სავსებით თვითდინებაზეა მიშვებული ავტომოხალტურეთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმე. ჩვენს ქალაქში ძნელი მოსაძებნი როდია პირადი მანქანების ისეთი მფლობელები, რომლებიც ხალტურით ცხოვრობენ და არსად არ მუშაობენ. შ. ხელაძე წინათ გასამართლებული იყო მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, 1950 წლიდან 1957 წლამდე შეიძინა და გაყიდა 5 მსუბუქი ავტომანქანა „პობედა“. ეს და ანალოგიური ფაქტები რატომღაც შეუმჩნეველი რჩებათ მილიციისა და ავტოინსპექტიის მუშაკებს. აღსანიშნავია, რომ 1960-1961 წლებში არაა გასამართლებული არცერთი ავტომოხალტურე, რომელიც ავტომანქანებს გამორჩენის მიზნით იყენებს.

ამხ. ბ. ცხელაშვილმა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები იმის დასადასტურებლად, რომ არასაკმაო ღონისძიებები ტარდება მიმალვაში მყოფ პირთა დაძებნა-დაპატიმრებისათვის, გააკრიტიკა, სასამართლოს მუშაკები, რომლებსაც ზოგჯერ ლმობიერი სასჯელი გამოაქვთ დამნაშავე პირთა მიმართ.

წვრილმანი ხულიგნობის ჩამდენი 75 პროცენტი ახალგაზრდობაა, მათ შორის ბევრია კომკავშირელიც. ამიტომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა უფრო მეტად უნდა იზრუნონ ახალგაზრდობის შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის, მათი კომუნისტური შეგნებულობისა და დისციპლინის სულისკვეთებით აღზრდისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მილიციის პირველი, მეორე, მესამე განყოფილებათა უფროსებმა ამხ. ამხ. ვ. სხირელმა, ვ. ჯინჭველაშვილმა, გ. გვეტაძემ, რომლებმაც აღიარეს თავიანთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, მიიღეს კრიტიკა, რაც მათი მისამართით გამოითქვა და აღუთქვეს თათბირს, რომ უახლოეს დროში განახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა ქ. ქუთაისში დამყარდეს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მილიციის საქალაქო განყოფილების სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების გამგემ ამხ. პ. ჯაფარიძემ, საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ბურჯანაძემ, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. უ. ცქვიტინიძემ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. შ. კობახიძემ. იგი ვრცლად შეჩერდა მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და ილაპარაკა იმ გადაუდებელ ამოცანებზე, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას, საბჭოთა კანონიერების განმტკიცებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იურიდიული კითხვა-პასუხის საღამოები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ლენტეხის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის რაიონის კოლმეურნეობებში, საწარმოებში და რაიონული აქტივისათვის ჩატარდა ლექციები თემებზე: „საბჭოთა საარჩევნო სისტემა ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში“, და „სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი“.

ლექციები წაიკითხა საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწემ აღსრულებაზე კონტროლის დარგში ვ. გოგუაძემ.

ზემოთდასახელებულ რაიონებში ჩატარდა აგრეთვე იურიდიული კითხვა-პასუხის საღამოები. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლენტეხის რაიონის პროკურორმა გ. გაზდელიანმა, ცაგერის რაიონის პროკურორმა ი. მიქაუტაძემ, ამბროლაურის სარაიონთაშორისო პროკურორმა ვ. ბაქრაძემ, ამბროლაურის რაიონის სახალხო მოსამართლემ ი. რეხვიაშვილმა, მილიციის უფროსმა კ. კაციტაძემ და გამომძიებელმა ი. ჭაბუკიანმა, ონის რაიონის სახალხო მოსამართლემ ნ. საბანაძემ, ლენტეხის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა გ. მეშველიანმა.

იურიდიული კითხვა-პასუხის საღამო ჩატარდა აგრეთვე ქ. თელავში. საღამოზე შემოსულ კითხვებზე პასუხი გასცეს საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორებმა: ბ. ჭანტურიამ, ა. გოკიელმა, ო. ხარატიშვილმა და ქ. თელავის რაიონის პროკურორმა ა. გეგიამ.

ზ. მ.

საინტერესო ლექცია

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დიდ დარბაზში იურიდიული დარგის მუშაკთათვის ბ. ფურცხვანიძემ წაიკითხა საინტერესო ლექცია თემაზე: „სკკპ ახალი პროგრამა და სოციალისტური კანონიერების დაცვა“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სკკპ 22-ე ყრილობა და ამ ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები და ყრილობის მიერ სკკპ პროგრამის და წესდების მიღება უდიდესი მოვლენაა ისტორიაში. ბ. ფურცხვანიძემ ვრცლად გააშუქა სკკპ პროგრამის დებულებანი ჩვენს ქვეყანაში უმოკლეს ისტორიულ ვადაში კომუნიზმის მშენებლობის შესახებ.

ბ. ფურცხვანიძე შეეხო რა სკკპ პროგრამის დებულებას, განმარტა, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ უზრუნველყო კომუნიზმის პირველი ფაზის — სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება და საზოგადოების გადასვლა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაზე, სახელმწიფო, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო გარდაიქმნა ახალ, თანამედროვე ეტაპზე საყოველთაო სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამომხატველ ორგანოდ. — მაგრამ, — აღნიშნავს მომხსენებელი, — ეს როდი ნიშნავს ჩვენს საზოგადოებაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის შესუსტებას. საზოგადოების ხელმძღვანელის თავის ფუნქციას იგი დაასრულებს კომუნიზმის აშენებით, როდესაც კლასები მოისპობიან.

მომხსენებელმა დეტალურად გააშუქა სკკპ პროგრამის მოთხოვნა სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვის აუცილებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ სკკპ პროგრამის დებულებანი განამტკიცებენ სკკპ მე-20 და 21-ე ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მითითებებს, სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში კანონიერებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის წინასწარ აღდგენისა და აღმოფხვრის შესახებ.

— კანონიერების დარღვევა, — ამბობს ბ. ფურცხვანიძე, — განსაკუთრებით მოუთმენელია დღევანდელ პირობებში, როდესაც სკკპ პროგრამამ წამოაყენა მოთხოვნა სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა აღმოფხვრის შესახებ. ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრება თუ საბჭოთა მუშაკები სათუთად მოეპყრობიან მშრომელთა სიგნალებს, თუ სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა აქტიურ ბრძოლას აწარმოებენ მუქთახორეობის, ყველა სახის დანაშაულობათა წინააღმდეგ.

მოხსენებაში განსაკუთრებით გამახვილებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ყურადღება დღევანდელ ეტაპზე მოკვლევის, გამოძიების, პროკურატურის და სასამართლო ორგანოების მხრივ კანონის მოთხოვნათა ზუსტად დაცვის აუცილებლობაზე. მართლმსაჯულება საბჭოთა კავშირში, — ნათქვამია სკკპ ახალ პროგრამაში ხორციელდება დემოკრატიული საწყისების სრული შესაბამისობით, „სასამართლოს, გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოების მიერ კანონიერების, საპროცესო ნორმების სრული დაცვით“.

ლექციაში მოყვანილ იქნა კონკრეტული მაგალითები სასამართლო-საგამომძიებლო მუშაობის პრაქტიკიდან იმის შესახებ, თუ რა დიდი ზიანი შეიძლება მოუტანოს სახელმწიფოს, საზოგადოებას და ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს დასახელებული ორგანოების მხრივ მცირეოდენი უკანონობის დაშვებამ.

— საბჭოთა ადამიანები, — ამბოს დასასრულ ბ. ფურცხვანიძე, — სკკპ ახალ პროგრამას აღიქვამს, როგორც თავის მშობლიურ საქმეს, როგორც თავის ცხოვრების უდიდეს მიზანს და მთელ თავის შესაძლებლობებს მოახმარს პროგრამით დასახულ ისტორიულ ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ბ. ფურცხვანიძის ლექციამ დამსწრეთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ზ. ჟუთათელი

პენსიონერები—საზოგადოებრივი წესრიგის დამცველნი

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში ამასწინად გაიმართა დედაქალაქის პენსიონერთა საქალაქო თათბირი, რომელიც მიეძღვნა აქტივისტ პენსიონერთა მონაწილეობას საზოგადოებრივ ორგანიზაციულ მუშაობაში და პენსიონერთა საყოფაცხოვრებო კულტურული მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

დედაქალაქის პენსიონერთა აქტივის თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი მ. თოფურიძე.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, — ამბობს ამხ. მ. თოფურიძე, — იზრდება და უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ 1956 წლის 14 ივლისს მიღებული „კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ დიდ ყურადღებას აქცევს მთავრობა და პარტია პენსიონერთა საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებას.

შემდეგ ამხ. მ. თოფურიძე ვრცლად შეეხო საკითხს, თუ რა როლი შეუძლიათ ითამაშონ პენსიონერთა მრავალრიცხოვან არმიას საზოგადოებრივ საქმიანობაში.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ქ. თბილისის აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის გამგე შ. ჯაფარიძე. იგი დაწვრილებით შეჩერდა ქ. თბილისში პენსიონერთა საქმიანობაზე და შეეხო მათ მონაწილეობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. — ეს კეთილშობილი საქმე, — ამბობს მომხსენებელი, — თბილისში დაიწყო ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისა და მისი აქტივის ინიციატივით, რომლებიც აქტიურად გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის საკითხს, ამჟამად ამ კეთილშობილ საქმიანობაში 3000-ზე მეტი შრომის ვეტერანია ჩაბმული. მათ მუშაობას ხელმძღვანელობს ქალაქის რაიონების მიხედვით ჩამოყალიბებული პენსიონერთა საბჭოები.

მომხსენებელმა დაწვრილებით განიხილა და დადებითად დაახასიათა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პენსიონერთა საბჭოს მუშაობა. საბჭოსთან მუშაობენ სხვადასხვა სექციები. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სექცია, სადაც 40 პენსიონერია გაერთიანებული. პენსიონერთა სახალხო რაზმეული დიდ დახმარებას უწევს მილიციის ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. აღსანიშნავია, რომ პენსიონერთა სახალხო რაზმეულთა საქმიანობა გადაღებულ იქნა თბილისის კინოსტუდიის მიერ და ნაჩვენები იქნა ეკრანზე. კარგი მუშაობით გამოირჩევა აგრეთვე ოქტომბრის რაიონის პენსიონერთა საბჭოსთან არსებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სექცია, რომლის წევრებმა ამ რაიონში გამოავლინეს აზარტული მოთამაშენი და გამოსწორების გზაზე დააყენეს ალკოგოლის ბევრი მოყვარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხსენებელმა ასევე დადებითი შეფასება მისცა ქ. თბილისის ლენინის რაიონის პენსიონერთა საბჭოს მუშაობას.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა და განიხილა გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული პენსიონერთა წერილები — ჩვენი მჩქეფარე ცხოვრების ფერხულში პენსიონერთა ჩაბმის შესახებ და ამ მიმართებით დააყენა მთელი რიგი საინტერესო საკითხები.

თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ ლენინის რაიონის პენსიონერთა საკლუბო კომისიის თავმჯდომარე ს. გულიაშვილი, ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის გამგე პ. პირველი, ლენინის რაიონის პენსიონერთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ბერიაშვილი, პირველი მაისის რაიონის აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის უფროსი ინსპექტორი ა. ჭავჭანიძე, საქართველოს პროფსაბჭოს სოცდაზღვევის განყოფილების მუშაკი ა. გულუა, პენსიონერები ი. აბაშიძე, ლიპშიცი და შნაიდერმანი.

ქ. თბილისის პენსიონერთა აქტივის საქალაქო თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა მ. თოფურიძემ.

ზ. მესენგისერი

Შ. ᲔᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲝᲗᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

(ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ)

1

დიასახლისი სადილის მზადებას შეუდგა. მასპინძელმა ლევან ხიდისთაველმა აივანზე გამიყვანა. თორმეტიოდე წლის ბიჭუნამ დაბალ ოთხკუთხა მაგიდაზე ჭადრაკი გააწყო.

— დათო, დედას მიეხმარე — მიმართა მამამ.

ბავშვი უსიტყვოდ გაემართა.

თვალი გავაყოლე. ტანმაღალი იყო. ფართო და გახსნილი შუბლი ჰქონდა. ოქროსფერი სწორი თმები შუბლზე ხშირად უცვიოდა და მარჯვენა ხელის მოხდენილი მოძრაობით უკანვე იყრიდა. თითქოს თანდაყოლილი ღიმილი კიდევ უფრო მეტ სიხალისეს მატებდა ისედაც მოძრავსა და სიცოცხლით სავსეს. მამას შევადარე. სხვა იერი დაჰკრავდა. საერთო ვერც დედის ნაკვთებთან მოვუნახე. თავი ოდნავ ჰქონდა აწეული. ზვიადი და დაუდევარი ჩანდა. ხანგამოშვებით, სახეზე ძლივსშესამჩნევი სევდა გადაეკვროდა. ეს ნიშნებიც ანსხვავებდა. და მაინც მშობლებსაც და შვილსაც რაღაც საერთო ჰქონდათ. ძნელი იყო ამ რაღაცის გარკვევა. ეს კია, ოჯახში ადამიანური სითბო და უშუალობა საოცარი სიმდიდრით დაღვრილიყო.

ლევანი იღიმებოდა. მიხვდა, შვილს ვადარებდი.

— არა მგავს?

— ასეა.

— არც დედას?!

— თანხმობის ნიშნად თავი დავხარე.

— დიახ. ეს საინტერესო ამბავია, თანაც მძიმე და დრამატიული...

მზერა ჭადრაკზე გადავიტანე. შემდეგ ისევ ლევანს დავაკვირდი, ის კვლავ იღიმებოდა. უცნაური ღიმილი იყო. იქ წარსული ამბის გახსენებით გამოწვეული სევდაც ჩანდა, სიყვარულიც, კმაყოფილებაც და შვილისადმი მამობრივი მზრუნველობაც.

მეფის ხაზი გახსნა. იმავე სვლით ვუპასუხე.

ჩაფიქრდა, თითქოს და აზრები ფიგურების მოძრაობას უნდა შეუთანხმოსო.

— მძიმე იყო, — თქვა მან...

მეგობარმა განაგრძო.

2

მთელი ღამის უწყვეტ თქეშს ლიახვი აედიდებინა. ნიადაგი, ბილიკები, წყლით გაჟღენთილიყო და გადარეცხილიყო. ცა, უკვე გადაწმენდილი, ლაჟვარდისფრად კამკამებდა. დედამიწის მკერდს ორთქლის ბუღი ასდიოდა. მზეცის კაბადონზე ისე მიზოზინობდა, გეგონებოდათ ქვეყნიერების მადლით შემთვრალაო. ღრუბლის ნაფლეთები დასალიერზეღა შემორჩენილიყო და შორეული კავკასიონის ჭაღარა მწვერვალებს თალხი მანდილივით შემოხვეოდა.

გორის კულტურისა და დასვენების პარკის ახლოს ლიახვი თავის პატარა ტალღებს მტკვარს უერთებს. დედა მდინარესთან შეერთებამდე კი ერთი უწყინარი მორევი შეუქმნია. გორელი ბიჭები ამ ბუნებრივი საცურაო აუზის ხშირი სტუმრები არიან. ასე იყო ახლაც.

ბიჭუნები შლამში გორაობდნენ და მზის სხივებით აწითლებულ შიშველ სხეულზე წამდაუწუმ ლამს იყრიდნენ. მათი ორი ამხანაგი წყალში ცურაობდა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ყვინთავდნენ და ფსკერიდან ქვიშის ამოღებას ცდილობდნენ. ერთმა მათგანმა ჩაყვინთვის ადგილიდან მოცილებით ამოყო თავი. ნაპირისკენ მკლავების აჩქარებული მოძრაობით გამოეშურა. გამოვიდა და შეშინებულმა შეჰყვირა.

— ზაზა, ზაზა, გამოდი, ჩქარა!

ბავშვები გარს შემოეხვივნენ.

— იქ რაღაცა გდია.

— რა უნდა იყოს?

— არ ვიცი. რბილია და დიდი...

ლევანი გაჩუმდა, გაირინდა. თითქოს მასაც ჩაეყვინთოს და ახლა სულის მობრუნებას ცდილობდა.

— მდინარეში ასეთი შიში მეც განმიცდია. პატარა წკეპლის შეხებითაც კი ტანი გამთანგვია. წყალში ყოველი უცხო საგნის შეხება შემაზრზენი და უცნაური შიშის მომგვრელია. რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც ბიჭები ისე დაწყნარდნენ, რომ უსიამოვნო შთაბეჭდილებანი ცნობისმოყვარეობამ შეცვალა, ზაზამ თქვა:

— მაინც რა უნდა იყოს?!

ამხანაგმა მხრები აიჩეჩა.

— გიგი!

— ჰო! — აზრმიუცემლად გაეპასუხა.

— ამოვიღოთ.

— ამოვიღოთ? —შიშით შეხედა მეგობარს.

— ჰო, ამოვიღოთ, ერთად ჩევყვინთოთ.

ზაზას იმედიან ხმაზე, ცოტა არ იყოს, გიგისაც გული მოეცა.

— ვცადოთ.

ბიჭები მდინარეში ხელახლა შეცურდნენ. ნაპირზე დარჩენილი ბავშვები უხმოდ შეჰყურებდნენ მათ. დრო გადიოდა, მატულობდა მათი შეშფოთება. ცნობისმოყვარე თვალები მორევში სადგისივით ჩაესოთ.

ზაზა და გიგი ცალი ხელით ლეიბის პირში შეფუთულ უჩვეულო ტვირთს ჩაფრენოდნენ, მეორეთი მორევს მოარღვევდნენ და ნაპირისკენ მოიწევდნენ. ხმელეთზე ლასლასით გადმოვიდნენ. ტვირთი ახლა უკვე ტყვიასავით დამძიმებულიყო და ლამზე კვალს სათარივით ტოვებდა. ბავშვები შეფუთულს მიესივნენ. ნაკერები დაგლიჯეს, ლეიბის პირი გაშალეს და... შიშისაგან ერთმანეთს მიაწყდნენ. უცნაურ სხეულს მონუხსულებივით დააცქერდნენ. თანაც ფრთხილად, უხმაუროდ, მოკლე ნაბიჯებით უკან დაიხეს. არა, ასეთი რამ მათ არასოდეს არ ენახათ. ქვეშეცნობილად იგრძნეს, ადამიანის ტანი იყო. თუმცა მას არც თავი, არც ხელები, არც ფეხები არა ჰქონდა. გაბერილი და გასიებული ტიკივით ეგდო. ვიღაცამ შეჰკივლა, სწრაფად მოტრიალდა და გაიქცა. მას დანარჩენებიც მიყვნენე.

— გვიშველეთ, გვიშველეთ! — ყვიროდნენ პატარები და უკვე ქალაქის ქუჩებში მიჰქროდნენ.

3

მე მონაყოლის შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ჭადრაკის თამაშს ინსტიქტურად გავნაგრძობ. მოვიგებ თუ წავაგებ, რა ბედენაა. ლევანს მძიმე ფიგურები მეფის ფრთაზე გადმოაქვს და კვლავ თავის მძიმე ამბავს აგრძელებს.

— ქალაქის პროკურორი ვახტანგ სიდამონიძე, რამდენიმე ოპერატიული მუშაკი და მე შემთხვევის ადგილზე მივედით. ლიახვის ტალღების ნადავლი გულმოდგინედ შევამოწმეთ. იგი ქალის ტანი იყო. ვინაობას ვინ ჩიოდა, ასაკის მიახლოვებით დადგენაც კი შეუძლებელი გახდა. წყალს უცნაური ჩვევა აქვს. ნადავლს დიდხანს ინახავს, შეიძლება ანკერთან ერგილზე შემოინახოს, გვამს არ გახრწნის, მაგრამ ისე გაბერავს და გატიკავს, ყოველგვარ საცნობ ნიშანს წაუშლის.

ვინ უნდა ყოფილიყო? — ეს იყო პირველი კითხვა, რომელიც აუცილებლად უნდა ამოგვეხსნა.—მაგრამ, როგორ?—ყველა პროკურორს შევაცქერდით. ვახტანგი თითების ნერვიული მოძრაობით ქერა ულვაშებს იწიწკნიდა. ანდა ამ უღმერთო დანაშაულის მოწმეს რა უნდა ეთქვა, გარდა იმისა, რომ გვამი საავადმყოფოში გადაასვენონ და განკვეთონ.

როდესაც პირველი ღონისძიება შესრულდა, პროკურორმა მღელვარებაშეპარული ხმით მომმართა:

— უნდა დავადგინო, გვამი აქვეა გადაგდებული, თუ მდინარემ ზევიდან წამოიღო და ამ პატარა მორევში გააჩერა.

საჭირო განკარგულება გავეცი. ვინ იცის, რამე სანიშნობელი იქნებ აქ, მდინარის სიღრმეში იყოს დარჩენილი. ამ დროს ეჭვის გარდა სხვა რა შეიძლება იყოს. თუმცა ეჭვიც არის და ეჭვიც. ეჭვი უსაფუძვლო, ფუჭ ოცნებებს აყოლილი და ეჭვი საფუძვლიანი, ფანტაზიით, მყარი ნიადაგი რომ გააჩნია და დანაშაულის გახსნას აახლოვებს.

ჩემს ფიქრებში უნებურად წარსული ამოტივტივდა. ჩემი ძველი ამხანაგის და თანაკლასელის გედეონ ცერცვაძის უცნაური სიკვდილი გამახსენდა, რომლის უბედურობის უნებლიე მოწმე მეც ვიყავი.

4

მაშინ უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. საზაფხულო გამოცდები ჩავბარე და ქუთაისში დეიდასთან გავემგზავრე. მე იქ ხშირად დავიარებოდი, საშუალო სკოლა იქ დავამთავრე, რამდენიმე ამხანაგიც შევიძინე. მათთან ერთად დრო სიამოვნებით გამიტარებია. და აი უკვე ქალაქში ვიყავი. მაღლაკის ველიდან მონაბერმა სუფთა ჰაერმა შიმშილი მაგრძნობინა. ნათესავთან მისვლას აღარ დაველოდე. შესანაყრებლად სადგურის რესტორანში შევედი. კუთხეში მდგარი მრგვალი მაგიდა ამოვირჩიე. ის იყო საუზმე შევუკვეთე, შემოსასვლელში თვალი ჩემ ყოფილ სკოლის ამხანაგს გედეონ ცერცვაძეს მოვკარი, მოწყენილი იყო.

— გედეონ, ჩემთან მოდი! — მოვუხმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემომხედა. ნაძალადევად გამიღიმა, რატომ-ღაც ასევე ნაძალადევად გამოემართა. „ტიბაანი“ შეკთავაზა. ხელი უხერხულად მოისვა ჯიბეზე. დავტუქსე.

— აბა, წესს ნუ არღვევ. მე მოგიწვიე, გადასახადიც ჩემია.

მწარედ გაიცინა. ჭიქას წაატანა ხელი.

სასმელს მიეძალა. ამით თუ უნდოდა შემაწუხებელი ფიქრების ჩაკვლა. ღვინომ თავისი გაიტანა. ალაპარაკდა. თუმც თავისი დარდების გადმოლაგებაში ისე ძუნწობდა, გეგონებოდათ ყელში მჭადის ლუკმა ეხირებაო.

დიდხანს ვისაუბრეთ. საუზმეს რომ მოვრჩით, გამომემშვიდობა. მთხოვა კი, საღამოს მის ოჯახს ვწვეოდი.

გედეონმა ჩამაფიქრა. ისევ ისეთი უცნაური, გრძნობისეული, უნებისყოფო. მისი საუბრიდან შევიტყე, ცოლზე ეჭვიანობდა. რა ჯოჯოხეთური კოშმარია, — გიყვარდეს, აღმერთებდე, მის ერთგულებას ცდილობდე, ერთადერთ ვაჟიშვილს დაჰხაროდეთ და... და ცოლი გღალატობდეს. ზოგჯერ რატომღაც მგონია, მეუღლე რომ ერთგული გყავდეს, მას ძალა უნდა აჩვენო. მისი დაკარგვის შენ კი არ უნდა გეშინოდეს, არამედ მას უნდა აფიქრებდეს შენი. დაე, ცოლი შენზე ეჭვიანობდეს და არა შენ ცოლზე. ეს ისეთი მაგარი ოჯახური ღვედებია, მეუღლე რომ ვერ გაწყვეტს.

ვფიქრობდი, რომ გედეონი მებრძოლი, ცხოვრებისეული კაცი არ იყო. ვფიქრობდი მასზე და ნელი ნაბიჯით მივემართებოდი სახლისაკენ.

დღე უსიამოვნოდ გავატარე. გედეონზე ფიქრმა ისე დამღალა, მასთან მისვლის მაგიერ ქალაქში ხეტიალი გადავწყვიტე.

— რას ვიტეხ თავს, მისი ცოლია, თვითონვე მოუაროს. მე რა მათი გამრიგე ვარ. — გავკიცხე ჩემი თავი.

დიდებულია შემოდგომა საქართველოში, მით უფრო საღამო და ისიც ქუთაისში. ბულვარში გავედი. თბილი ჰაერი გულზე მომესალბუნა. ღღე ღამეს ეყრებოდა. ქუჩებში აქა იქ ელნათურები აკაფდნენ. ინსტიქტურად გედეონის ბინისაკენ გავწიე. მისი სახლის მახლობლად ჩემს წინ წყვილი შევნიშნე. ჩემი ყურადღება მათმა საუბარმა მიიპყრო.

— გედეონი? — იყო ასე ორმოცდაათწელს მიღწეული მამაკაცის ხმა.

— თავი დაანებე, ის ჩვენ ხელს ვერ შეგვიშლის — უპასუხა ქალმა.

— შეგვნიშნა!

— არა მგონია, ასეც რომ იყოს...

დაბალ ხმაზე მამაკაცის მიერ წარმოთქმული საპასუხო სიტყვები ვეღარ გავარკვიე.

— ოჰ, ხელი გამიშვი, მტკივა. — ყვეროდა ქალმა...

ქალი გედეონის ცოლი იყო. გვერდი სწრაფად ვუქცევ ისე, რომ ვერ შემნიშნეს. ფალიაშვილის ქუჩაზე გავედი. ჩის ბინას მივადექი. ისევ შევყოყმანდი. თავში გამიელვა, უკან გამოვბრუნებულიყავი, ეს სირცხვილნაჭამი ოჯახი ძმეტოვებინა. მაგრამ თავს ძალა დავატანე. „ოჯახი ინგრევა, იქნებ გადაარჩინო“, ვთქვი და მეორე სართულზე ასასვლელ ხის მოძველებული კიბის საფეხურზე ზანტად ავაბიჯე. გულისწამღებად აჭრიალდა. „ჭრრ, ჭრრ“, მესმოდა ყოველ საფეხურზე, თითქოს ის ის არის უნდა ჩატყდესო. მალიმალ ძირს ვიხედებოდი, ვიწრო ასასვლელი და სიმაღლე მაკრთობდა. უფრო ფრთხილად დავიწყე აბიჯება, „ჭრრრ, ჭრრ, ჭრრ,“ გულისწამღები ჭრიალი ყოველ საფეხურზე საკუთარი აჩრდილივით მომყვებოდა. ფეხი შემდეგ საფეხურზე შევდგი, წელში გავიმართე. ჰახ!.., კი არ მომესმა, მეძგერა საშინელი ხმა. ერთ ადგილზე გავხევდი. ტანში ჟრუოლამ ჭიანჭველებივით დამირბინა. აბნეული თვალებით ძირს დავიხედე. გავარჩიე, საფეხური მთელი იყო. მზერა ზემოთ ავაყოლე. კიბე სწრაფად ავირბინე და ოთახში შევვარდი. იატაკზე ბოთლის ნამსხვრევები და სისხლის ნაკადი შევნიშნე, მაგიდაზე ცარიელი ბოთლი იდგა. საფერფლეზე პაპიროსი ბოლავდა. იქვე, დასრესილი კოლოფი ეგდო. მაგიდის იქით გადახედვის შემეშინდა. ინსტიქტურად ნაბიჯი წინ წავედგი. სკამიდან უკან გადავარდნილ გედეონს



გედეონს საფეთქლიდან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეთქელთან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა. უკნდან ხმაური მომესმა. ალბად მეზობლები იყვნენ. ვიღაცამ გულზე ხელი დაადო. ხმამაღლა ჩასძახა. აღარაფერი ესმოდა. ფერდაკარგული სახე სიცოცხლის უკანასკნელ ნიშანწყალს კარგავდა.

ჩემს ირგვლივ ბორიალი დაიწყეს. ცოცხალმკვდარი სადღაც წაასვენეს, ალბათ საავადმყოფოში. შემდეგ იატაკიდან ბოთლის ჩამსხვრევები მოკრიფეს, სისხლის. და ღვინის ნაერთი მოფხიკეს, მაგიდაზე მყოფი საგნებიც ფრთხილად შეფუთეს და წაიღეს.

ბავშვის ტირილი მომესმა. ეს გედეონის ექვსი წლის ბიჭუნა მამას უმანკო ცრემლებით დასტიროდა. კუთხეში ქალი აქვითინდა. მივიხედე, ცოლი იყო, სწორედ ის, რამდენიმე ხნის წინ მამაკაცთან რომ ვნახე. ის უცხო მამაკაციც მოსულიყო და ამშვიდებდა. სული შეშეხუთა. გარედ გამოვვარდი და კიბეზე სწრაფად დავეშვი, თუმცა ხაფეხურების ჭრიალი აღარ გამიგონია.

მეორე დღეს შევიტყვე, გედეონს თავი მოეწამლა. როგორც ექიმები ამტკიცებდნენ, მისი გადარჩენა შესაძლებელი იქნებოდა, სკამიდან გადმოვარდნის დროს საფეთქელი ბოთლის ნატეხებისთვის რომ არ დაერტყა. ზოგიერთები იმასაც ამბობდნენ, თითქოს ცოლს მოეწამლოს. ამ მითქმა-მოთქმის მიზეზი იყო ღვინის ბოთლში აღმოჩენილი საწამლავი და ოთახში ნაპოვები ქაღალდის პატარა ნაგლეჯი წარწერით — „გაიხსნას ორ ბოთლში“.

ეს კია ამ ბატისფეხა ნაწერს არც გედეონის, არც მისი ცოლის ხელწერასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა. ავტორი ვერ აღმოაჩინეს. საქმე ლიად დარჩა, ოჯახი ობლად.

5

ლიახვის ტალღები შხუილით მიექანებიან. ლოდები ლოდებს ეხეთქებიან, დაღმართში ხმაურითა და დგანდგარით მიგორავენ. აქ კი, ამ პატარა მორევში ყველაფერი უხმოა, იდუმალებით მოცული სიწყნარეა. კენჭი გადავაგდე. წყალმა ყლურწუნით გადაყლაპა. პატარა წრე გაჩნდა. იგი თანდათან გაიზარდა, გაფართოვდა, სანამ სულ არ გაიშალა და არ გაქრა. უნებურად ადამიანის ბედს ვამსგავსე. ის უთავო ქალიც ხომ გაჩნდა. ჯერ სულ პატარა იყო, გაიზარდა, დაქალდა. რა კარგია ყველაფერი ბუნებრივი. მას კი ვიღაცა თუ რაღაცა გადაეღობა და მოსპო. რა მნიშვნელობა აქვს, ეს ვიღაცა თუ რაღაცა რა არის? ბოლოს და ბოლოს სიკვდილი ყველასათვის აუცდენელია. ადამიანის უმწეობამ გული დამიმძიმა. პატარა ბიჭუნა ხელიდ. ცეცხლოვან და ჩაუქრობელ თვალებში მარადიული სიცოცხლე კიაფობდა. გულზე მომეშვა. „იცოცხლეთ, ინავარდეთ, ვფიქრობდი ჩემთვის, სიცოცხლე თქვენთან არის, თქვენისთანებთან“.

წყალში რამდენიმე ახალგაზრდა გადახტა. ჩაყვინთვის ადგილზე დიდი წრე გვირგვინივით შემოევლო მორევს და პატარა ზვირთებად გაიშალა.

მყვინთავებმა ლეიბის პირში შეფუთული პატარა საგნები ამოათრიეს. გახსნეს. ქალის კიდურები აღმოჩნდა, გალურჯებული და გასიებული. არავითარი საცნობი ნიშანი არ შერჩენოდა. მხოლოდ ერთადერთი დავადგინეთ. დამნაშავეს დაჩეხილი ქალის გვამი აქ გადაეგდო. ამ ქალის ბედმა შემაწუხა.

პროკურორი მომიახლოვდა.

— რესპუბლიკის ყველა რაიონში შესაბამის ორგანოებს ცნობები უნდა დავუგზავნოთ, — მითხრა ვახტანგიმ, უნდა შევიტყოთ, ამ ბოლო ხანებში უგზო-უკვლოდ ვინ დაიკარგა.

— ამ საქმეს დღესვე შევუდგები.

* * *

ცოტა ხანში ცნობები რესპუბლიკის ყველა რაიონებიდან მივიღეთ. უკანასკნელ თვეებში უგზოუკვლოდ დაკარგული მხოლოდ ქუთაისელი ნადია ცერცვაძე აღმოჩნდა, გედეონის მეუღლე.

6

— დათო, — მივმართე პატარა ბიჭუნას, რომელიც ჩემი კაბინეტის მოწყობილობას ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა,—შენ ამბობ, რომ დედამ ხუთი თვის წინ მიგატოვა?

— დიახ, მისი წერილი მომივიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ბიძა ჩამოვიდა ქუთაისში, ყველაფერი ვუამბე. დედის ბარათიც უნდა მეჩვენებინა, მაგრამ დამეკარგა.

— მაშ დაიკარგა? — წყენით ჩავილაპარაკე.

— არა. ერთი კვირის წინ ჩემს წიგნებს ვფურცლავდი. იქ ვნახე.

— ახლა შენა გაქვს?

— დიახ.

— დათო, მაჩვენე ის ბარათი.

წყენა დაეტყო შევატყე.

— ნუ გეშინია, უკანვე დაგიბრუნებ. საღა გაქვს?

— სახლში, ბიძასთან. ქუთაისიდან წამომიყვანა, აქა ვცხოვრობ.

დათოს ახალი ბინისაკენ გავემართე.

სახლი ერთ სართულიანი იყო. ორი ოთახისა და ერთი სამზარეულოსაგან შედგებოდა. და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოსათვის მიჩენილი ოთახი პატარა იყო. ერთადერთი ფანჯარა ბაღს გადაჰყურებდა. ოთახის სამკაულს შეადგენდა ტახტი, ერთი სკამი და მაგიდა. მაგიდაზე სასკოლო წიგნები ძველი და ახალი, დაფლეთილი და დაძონძილი უწესრიგოდ ეყარა. მეორე ოთახი მისი ბიძის ვარდენ ხაზარაშვილის ცოლის დას, ასე სამოც წელს ძიღწეულს, დათოს სიტყვით „ბებია“ მართას დაესაკუთრებინა.

ვარდენი სად არის? — შეეკითხე მას.

— თბილისში გადავიდა. პატარა გროშებს გვიგზავნის და თავს ძლივს ვირჩენთ — აწუწუნდა მოხუცი.

— როგორც დაინტერესებული პირი, უნდა დავიხმაროთ, მნიშვნელოვან ცნობებს მოგვაწვდის — გავიფიქრე და დათოს მივუბრუნდი.

— ჩემო ბიჭუნი, დედის წერილი მაჩვენე.

7

ჩემს კაბინეტში ვიჯექი და რამდენიმე წლის წინ ქუთაისში გედეონის სიკვდილის შესახებ შედგენილ საქმეს ჩავკირკიტებდი. სანუგეშო ბევრი არაფერი ჩანდა, გარდა იმ დროს დაწერილი გედეონის ცოლის ახსნა-განმარტებისა და ქალალდის პატარა ნაგლეჯისა. ეს ის ქალალდი იყო. რომელზედაც „ბატისფეხურით“ წაეჯლაპნათ „გაიხსნას ორ ბოთლში“. სრულიად არ გავდა „ახსნა-განმარტების“ სუფთა ქალურ ხელს, მაგრამ საოცრად ემსგავსებოდა „დედის ბარათს“. ეჭვი არ მეპარებოდა, ორივე ერთი ხელით იყო შესრულებული. ავტორი აუცილებლად უნდა მომენახა. ის რაღაც კავშირში იყო გედეონისა და მისი მეუღლის ბედთან. და ვინ იცის ამ უთავო ქალთანაც.

უთავო ქალის საქმიო ექსპერტმა ცოტა ხასიათი გამიფუჭა. ორსული აღმოჩნდა. თუ ეს ქალი დათოს დედა იყო, მაშინ ვიღაცასთან სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა.

ბარათი კიდევ ერთხელ გადავიკითხე. პატარა იყო. რამდენიმე წინადადებისაგან შედგებოდა. ეწერა: „ჩემო ბიჭუნი, მე ვეღარ შევძელი. შენთან დამნაშავე ვარ. ერთ სამხედროს რუსეთში გავყევი. ბიძა არ მიგატოვებს. გაიზრდები და ბედნიერი კაცი გახდები. ჩემო შვილიკო, შენი უნამუსო დედა სამუდამოდ დაივიწყე“. კონვერტზე მისამართი სხვა ხელით იყო მიწერილი.

საქმის გახსნას კარგი პირი არ უჩანდა. ეჭვები ეჭვებად რჩებოდა, დამნაშავე ამოუხსნელი. რაღაცის მჯეროდა, ამ რაღაცას ვეღარ ვაკვლევდი.

პროკურორთან გავეშურე.

— როგორ არის საქმე! — ძითხრა ტონალით, როგორც კი მის კაბინეტში შევედი.

საქმის შინაარსი დაწვრილებით გავაცანი.

„დედის ბარათი“, „ბატისფეხურა“ და ახსნა-განმარტება ხელში დიდხანს ატრიალა.

— შეიძლება კვალს უკვე მიაგენი? გამომცდელათ და მოუშორებელი ღიმილით თქვა.

— მაინც და მაინც ვერ ვხედავ.

— ამ ბარათისა და „ბატიფეხურას“ ავტორი იქნებ შენს მიერ ქუთაისის ბულვარში ნახულ უცნობთან რაიმე კავშირშია?

— იქნებ — მხრების აჩეჩვით ვუპასუხე.

— ვინ იყო ის უცნობი, რომელიც გედეონის სიკვდილის დროს მის ოჯახში თავს თავისუფლად გრძნობდა, ოჯახის ჭირისუფალსა და თავის საყვარელს ასე მოურიდებლად ამშვიდებდა?

— ისე იქცეოდა, ოჯახისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. იგი ადვილი შესაძლებელი იყო მის ნათესავებსაც და მეზობლებსაც სცნობოდათ.

— მაშ დამანაშავეც ამ ახლობლებში ვეძებოთ, მისი ნათესავები და მეზობლები დავკითხოთ.

— მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. — შევეცადე საწინააღმდეგო, მაგრამ საფუძვლიანი არგუმენტი მომეყვანა.

— ადამიანები ასე ჩქარა არ იცვლებიან, არც მათი ხელწერა.

— ბავშვის ერთადერთი პატრონი მისი ბიძაა. მისი ნახვაა საჭირო.

— დიახ, საჭიროა. ქუთაისში ოპერრწმუნებული გიორგი ცააძე გაემგზავროს — დაფიქრებით თქვა, — შენ კი ვარდენი მონახე.

გამოვემშვიდობე.

მეორე დღეს თბილისში ვიყავი. დიდი ხნის ძებნის შემდეგ ვარდენის ბინას მივაგენი. მთაწმინდის ძირში ცხოვრობდა. სახლში არ დამხვდა, მეზობლებს შევეკითხე. მიპასუხეს, რომ დილით სახლში იყო, ბინას ყიდის და ალბად მუშტართან წავიდაო. აქეთ-იქით ხეტიალში დღე გაილია ისე, რომ დათოს ბიძა ვერ ვნახე. მეორე დღეს გორში დავრეკე. მიპასუხეს, რომ ცააძე ქუთაისიდან დაბრუნებულა და თბილისში ჩემთან წამოსულა. სადგურზე დავხვდი.

— გიორგი, რა გაარკვე? — აჩქარებით მივმართე ამხანაგს.

— ბევრი ვერაფერი. შენ მიერ აღწერილ უცნობს არცერთი მეზობელი არ იცნობს. ვინმე არც საეჭვო იყო. მხოლოდ ქალის დაკარგვის დღეს მასთან მისი მაზლი ვარდენი ყოფილა. ყველა დარწმუნებულია, რომ ქალი რუსეთში გაიქცა. აძაგეს. ავხორცი იყოვო.

მთაწმინდისაკენ ორივე გავემართეთ. ვარდენი ბინაში დაგვხვდა. დავაკაკუნეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეხლავე — მოგვესმა.

გამოვიდა თუ არა მოულოდნელობისაგან უკან დავიხიე. „ნუთუ, აი ვინ ყოფილა, ის არის, ის უცნობი“, გამკრა გულში. მაღალი, წელში ოდნავ მოხრილი, ხმელ-ხმელი, კეხიანი ცხვირი, ჩოფურა და ჩაქანგებული სახე, ფრთხილი დიდი ნაბიჯები, თითქოს ვისმეს ეპარებაო, ნემსებივით მჩხვლეტავი წვრილი შავი თვალები, ხერხის პირივით გარდიგარდმო ჩაწყობილი გაყვითლებული კბილები.

თქვენ დაპატიმრებული ხართ! — მივუგე მშვიდად.

— თქვენ ბრძანდებით ვარდენ ხაზარამშვილი?

— დიახ! — მიპასუხა.

— გედეონ ცერცვაძის ძმა?

— ნახევარი ძმა, — შეასწორა. — გედეონი ჩემი დედინაცვლის შვილი იყო.

გავეცანით. არ ესიამოვნა.

— სად არის თქვენი რძალი ნადია ცერცვაძე?

— არაფერი ვიცი, — გვიპასუხა შემკრთალმა, — როგორც გავიგე, რუსეთშია გადახვეწილი. ძმისწული მარტო დარჩა. ვერ მივატოვე. გორში ჩამოვიყვანე.

— ეგ ძალიან კეთილი საქმეა. — ვთქვი სრულიად დამშვიდებულმა, — მისი დედის პოვნაშიც როგორმე უნდა დაგვეხმაროთ.

— თუ რაიმეს შევძლებ?

— მისი გაქცევის წინა დღეს ქუთაისში ყოფილხართ, — გავნაგრძე შერბილებული ტონით, — და გორში წამოვიყვანიათ. ეს ცნობები ძალიან გვჭირდება.

ჩაფიქრდა. უარყოფას ველოდი. მაშინ ძიებაც გაიოლდებოდა. მან ნაღვლიანად გააქნია თავი და მითხრა:

— დიახ, მე და ჩემი რძალი ერთად წამოვედით. მას სახლში მისვლა ვთხოვე. მე თბილისში აუცილებელი საქმე მქონდა. აქეთ წამოვედი. მას შემდეგ აღარ მინახავს.

— რაც თქვენ მითხარით, ახსნა-განმარტების სახით დამიწერეთ. — ჩავილაპარაკე მოღუშულმა. — ერთს გთხოვთ, ყური თუ რამეს მოჰკრათ, დაუყოვნებლივ მაცნობეთ. გორში ალბად ისედაც დადიხართ.

— კეთილი.

ახსნა-განმარტების წერაზე დიდი დრო არ დაუხარჯავს.

— რამდენი ხანია თბილისში ცხოვრობთ? — შევეკითხე, როცა მისი ახსნა-განმარტება ჯიბეში ჩავიდე.

— რამდენიმე თვეა. აქ ვაპირებ მუშაობის დაწყებას.

— ეს ბინა როდის შეიძინეთ?

— თბილისში ჩამოსვლის შემდეგ. ვფიქრობ ბავშვიც ჩამოვიყვანო. კარგად მოვეწყობით. კერძო ბინაა.

— მე ვიცი, ამ ბინას ყიდით?!

შეტოკდა. შავი, ჩაბნელებული და ჩაღრმავებული თვალები ჯიქურ მომაშტერა.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! — მშვიდად მივუგე და ოპერრწმუნებულს ვანიშნე...

* * *

უკვე გვიან იყო. ხელნაწერების მიტანა კრიმინალისტურ ლაბორატორიაში ძალაუნებურად შემდეგ დღისთვის გადავდე. დაღლა ვიგრძენი. სასტუმროს მივაშურე. ოთახში შევედი და საწოლზე გაუხდელადვე მივწექი. ფიქრები განვლილ ამბავს დაუტრიალდნენ. ეჭვებმა ღრღნა უფრო მეტად დამიწყო.

დავუშვათ მაზლი რძალს ყვარობდა, ვფიქრობდი ჩემთვის. თავისუფლად რომ ემოქმედათ, გედეონი თავიდან მოიცილეს. დათო ხომ ხელის შემშლელი იქნებოდა? დედა შვილს ვერ გაიმეტებდა, პატარის ყურადღების მოდუნება კი ადვილია. თუ მხოლოდ ხორციელი ყინი ამოძრავებდა, რძალი რატომ უნდა მოეკლა, იქნებ ანგარება. უფრო გასაგებია, ბავშვი მეზობლებისთვის მიაბარებია. საყვარელი ადვილად დაიყოლია და გორში წამოიყვანა. ალბად იქ, სადაც ახლა დათო წევს, ექვსი თვის წინ იმის დედას ყელი გაშოლადრა, ლეიბის პირში შეფუთა, იმ ერთადერთი სარკმლიდან ბაღის გამოვლით გამოიტანა და ლიახვის მორევში შთანთქა. ქუთაისში დედის სახელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალბი ბარათი გაგზავნა. შემდეგ ბავშვი ჩამოიყვანა, სახლი გაუყიდა და ხელი მოითბო. მაგრამ იმ ბარათის ავტორი ნამდვილად ვარდენია? იქნებ სწორ კვალზე არ ვდგევარ და დამნაშავე ჩემგან ისევე შორსაა, როგორც ძიების დასაწყისში?

წამოვდექი. მაგიდაზე ხელნაწერები გავშალე. დედის ბარათი ეპვმიტანილის ახსნა-განმარტებას შევადარე. არაფერი საერთო არ ჰქონდა. ვერაფერს ვახერხებდი. თავის ტკივილი ვიგრძენი. დაწოლა დავაპირე. ხელნაწერები ავიღე. ყალბი ბარათი კონვერტში ჩავდე. ახლა ღა გამახსენდა, მისამართი სხვა ხელით იყო დაწერილი. დავაკვირდი და შვებით ამოვისუნთქე. ახსნა-განმარტების ასოებს წყლის წვეთებივით გავდა...

მეორე დღეს კრიმინალისტურ ლაბორატორიაში მოულოდნელობას ადგილი აღარ ჰქონია. ოფიციალურად დამიდასტურეს, ორპწკარიანი „ბატიფეხურა“ და ბარათი ისევე, როგორც ეპვმიტანილის ახსნა-განმარტება და მისამართი შესრულებული იყო ერთიდაიმავე ხელით.

8

ვახტანგიმ ძიების შედეგები ყურადღებით მოისმინა. ხელის გული ფართო შუბლზე მოისვა. შემდეგ თითები ქერა ხვეულ თმებში შეაცურა. თავი აიღო. ანთებული ცისფერი თვალებით შემომხედა და მითხრა:

— დავიწყოთ!

ტყავგადაკრული კარები მძიმედ გაიღო. ბრალდებული შემოიყვანეს. შეთავაზებულ სკამზე თამამად დაჯდა. გაკვირვებით იკითხა.

— ჩემი დაბარება რისთვის დაგჭირდათ?

— თქვენ რძალი მოჰკალით! — მკაცრად მიმართა პროკურორმა.

— რას ამბობთ! — აღშფოთდა ხაზარაშვილი, — ყოფილი სასულიერო პირი ვარ, მე და დანაშაული?!

— ეს ვისი ხელნაწერია? — პროკურორმა ახსნა-განმარტება ცხვირწინ მიუტანა, — უარყოფთ?

ბრალდებულმა ნაწერს სწრაფად მოავლო თვალი.

— ჩემია, გამომძიებელმა დამაწერინა!

ქუთაისში თქვენს რძალს წერილებს რისთვის უგზავნიდით.

— წერილებს? არ მახსოვს.

— ეს ვისი ნაწერია! — ახლა დახურული კონვერტი უჩვენა.

შეკრთა. ხელი წაატანა. მიხვდა, კონვერტზე მკაფიო ასოებით გამოყვანილი მისამართის უარყოფა უაზრობა იყო.

— თქვენ თვითონ შეადარეთ! — გადასცა ახსნა-განმარტება და კონვერტი ისე, რომ მისთვის თვალი არ მოუცილებია.

— ზოგჯერ, ალბად, ვუგზავნიდი, — დაბნეულად თქვა, — ქმრის სიკვდილის შემდეგ ვეხმარებოდი.

— გახსენით კონვერტი!

ბრალდებულის თითები კონვერტზე უგერგილოდ გაცურდნენ.

— გახსენი! — განმეორდა მკაცრი ხმა.

პაპიროსი გავუწოდე. სწრაფად დაეტანა. ვხედავდი, როგორ გაუძნელდა აღება, როგორ უკანკალებდა ხელი. გარუჯულ და ჩაჟანგებულ სახეზე აღელვების არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა. მისი თვალები ისევე ბოროტად და ჯიუტად იცქირებოდნენ. მაგრამ ეს თითები დანაშაულზე წასწრებულივით აკანკალებული, პაპიროსს რომ ძლივს იღებდა, პატრონის ნებას აღარ ემორჩილებოდა. მთელი მისი შინაგანი ღელვა და განცდა სხეულის ამ პატარა ნაწილაკში ჩამოღვენთილიყო.

მოვუკიდე. კვამლი ღრმად ჩაისუნთქა. ოდნავ მოეშვა, დამშვიდდა. თითქოს გაბედულებაც მოემატა. კონვერტს კუთხე ფრთხილად მოახია. გადაკეცილი რვეულის ფურცელი გამოჩნდა. თითები ამ პატარა ნაკეცს ჩაკიდა... ამოიღო. ერთხანს გაუშლელ ქაღალდს ეპვით დაჰყურებდა. ბოლოს თავს ძალა დაატანა, გაშალა და... „დედის“ ბარათი უმალვე დაკეცა. არ ელოდა. ალბად სხვა რომელიმე ადრინდელი წერილი ეგონა, საყვარელთან გაგზავნილი.

— წაიკითხე! — გულზე მოხვდა ცივი მოკვეთილი ხმა.

— „ჩემო ბიჭუნი, ველარ შევძელი...„ — გაგუდული ხმა ძლივს ამოიღო და გაჩერდა.

— ვის დააწერინე?!

მარცხენა ხელი შეუტოკცა, უნებურად მაგიდის ქვეშ შეაფარა.

— მაგ ხელით იცოდვილე?

თავი ისე გააქანა, გეგონებოდათ, პროკურორის კითხვებს კი არა, ბრძოლის ველზე სეტყვასავით წამოსულ ტყვიებს აერიდაო.

— რა მიზეზით დაიღუპა ცვრცვაძე?

— გედეონი?.. ჰო, ცოლმა მოწამლა, — ჩაიხიხინა და უკანასკნელ იმედს ჩააფრინდა, — იმან მოკლა. ალბად ცოდვამ უწია.

— ოჯახში საწამლავი ვინ გაგზავნა, ეს „ბატიფეხურა“ ვისი ნაცოდვილარია, დააკვირდი, ესეც მარცხენა ხელით?!

პროკურორმა ახლა ქაღალდის ბატარა ნაგლეჯი დაუდო.

წინ ყუმბარა რომ დაეგდოთ, ისე არ შეკრთებოდა.

— ბავშვს დედა ვინ მოუკლა?!... მიპასუხე!

— მე... —ძლივს ამოიხრიალა ყელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამა ვინ მოაწამლინა!?

— მე...

— ვინ გაუყიდა ბინა, ვინ ისარგებლა ფულით! — ყურში ეროსავით ხვდებოდა პროკურორის უმოწყალო სიტყვები.

— მე... პასუხობდა, მაგრამ ეს „მე“ არც ძეცნობილი, არც ნებით, არც იძულებით არ იყო წარმოთქმული. მასში არაფერი აღარ იყო, გარდა მის ენის წვერზე გადმომჯდარი უაზრო „მესი“.

— რას ერჩოდი ბავშვს.

ხმას აღარ იღებდა.

— გაიყვანეთ!

იგრძნო, აქეთ, იქით მილიციის მუშაკები ამოუდგნენ. დამძიმებული ტანი ძლივს ასწია.

—ბავშვი შემოიყვანეთ! — გასცა განკარგულება ვახტანგიმ.

კაბინეტის კარი გაიღო. ბავშვთან ერთად ქალი შემოვიდა და პატარას თავზე ნაზად გადაუსვა ხელი. ბავშვმა ქალს ბრიალა თვალები შეანათა. იმ თვალებში უიმედობა და ღვთისანაბრობა იყო ჩაქსოვილი.

პროკურორი სწრაფად წამოდგა, თავაზიანად მიესალმა.

— გთხოვთ.

— ჩემი მოსვლის მიზეზს იცნობთ. — ღიმილით მიმართა ქალმა.

— დიახ, დიახ, მაგრამ თვითონ ბავშვი?..

პასუხის ნაცვლად ქალი პატარას მიუბრუნდა.

— ჩემო ბიჭიკო, ჩემთან წამოხვალ, კი? — დედური მზრუნველობით უთხრა და შუბლზე აკოცა.

დათომ უჩვეულო სითბო იგრძნო. თანხმობის ნიშნად ზედ მიეკრა...

ვახტანგიმ ღიმილით გააცილა ახალი დედაშვილი, და მომილოცა. ის ქალი ჩემი მეუღლე იყო.

* * *

— მობრძანდით! მოგვესმა დიასახლისის ხმა.

— რა მიუსაჯეს? — ვკითხე ლევანს.

— შენ რას შეურჩევდი?

— სიკვდილს! — ვუპასუხე აღგზნებულმა.

— ასეც მოხდა.

მკლავში ხელი წამავლო. გავემართეთ. წინ პატარა მასპინძელი დათო მიგვიძღოდა.

ქრონიკა და ბიბლიოგრაფია

საქართველოს ჩვეულებითი სჯული

ი. დოლიძე: საქართველოს ჩვეულებითი სჯული.
თბ. 1960, გვ. 199. რედაქტორი: ილ. აბულაძე.

მოცემული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ნამდვილი სურათის აღდგენისათვის, ისტორიულ მოვლენათა სწორად ახსნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც წერილობითი სამართლის ძეგლებს, ასევე ჩვეულებითი (დაუწერელი) სამართლის ნორმებსაც.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ფეოდალური საქართველოს ისტორიის შესასწავლად და წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური ტიპის ქართული ვარიანტის სათანადოდ გამოსაკვლევად ჩვეულებითი სამართლის ნორმები ძვირფასი — „ხელი-ხელ საგოგმანები“ მასალაა.

ჩვეულებითი სჯულის ნორმები სპეციალურად XIX საუკუნის დასაწყისამდე საქართველოში არ შეუგროვებიათ.

ჩვეულებითი სჯული ფეოდალური საქართველოს ჩვეულებების კრებულია, რომელიც შეკრებილია გასული საუკუნის დასაწყისში.

ძეგლი შეიცავს განსაკუთრებით ძვირფას მასალას ქართული ფეოდალური სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების შესახებ. ბატონყმური ურთიერთობა, მამულისა და ყმის ყიდვა-გაყიდვა, თამასუქითა და გირაოთი აღებული ვალი, სავაჭრო ამხანაგობები, მემკვიდრეობა, გაყრა, მიწის დამუშავება-გაშენება, სასამართლო და პროცესი — ასეთია სჯულში გათვალისწინებული საკითხები. ზოგიერთი ჩამოთვლილი საკითხების შესახებ (გირაო, ამხანაგობა და სხვ.) მეტად მცირე მასალა მოგვეპოვება ქართული სამართლის წერილობით ძეგლებში. ამ მხრივ **ჩვეულებითი სჯული** ავსებს კანონმდებლობის ხარვეზს.

სამართლიანად შენიშნავს ხსენებული ძეგლის ხელახლა გამომცემელი, რომ „ქართული სამართლის ისტორიის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს **ჩვეულებითი სჯულის** ცნობებს ვახტანგის კანონთა კრებულში შეტანილი უცხო სამართლის წიგნების (ბერძნულის, სომხურის, ებრაულის) მუხლების გამოყენებისა და მათი სავალდებულო ძალის შესახებ საქართველოში.

„საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნის“ ხელნაწერი პირველად **პროფ. პაატა გუგუშვილმა** აღმოაჩინა და მანვე გამოსცა ტექსტი მოკლე შესავლით, რომელშიც განხილულია **ჩვეულებითი სჯულის** შეკრებისა და ჩაწერის ისტორია („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. 1938 წ., ნაკ. 111, გვ. 67-90). **ჩვეულებითი სჯულის** ქართული ტექსტი მანამდე უცნობი იყო.

პროფ. პ. გუგუშვილის მიერ გამოცემული ჩვეულებითი სჯულის ტექსტი ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ამასთანავე **ჩვეულებითი სჯულის ახალი და ცალკე გამოცემის საჭიროება** როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით დიდი ხანია იგრძნობოდა.

პროფ. ის. დოლიძის ნაშრომი „ჩვეულებითი სჯული“ — შედგება წინასიტყვაობის (გვ. 5-6), შესავლის (ადათი, როგორც სამართლის წყარო გვ. 7-34), ჩვეულებითი სჯულის ქართული და რუსული ტექსტის (გვ. 35-80), კომენტარების (81-156), ლექსიკონის (გვ. 157-178) და დანართებისაგან (გვ. 179-199). წინასიტყვაობაში ავტორი მოკლედ ჩერდება ჩვეულებითი სჯულის მნიშვნელობაზე ძველი საქართველოს იურიდიული ყოფა-ცხოვრების სამოქალაქო სამართლებრივი მხარის გაშუქებისათვის.

ავტორი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ღანზრახული ყოფილა ძველთაგანვე, ქართველ მეფეთა დროს შემოღებული და დაკანონებული ადათ-ჩვეულებების შეკრება-ჩაწერა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ამოცანა განხორციელებულა მხოლოდ ნაწილობრივ. სჯულში წარმოდგენილი ჩვეულებანი შეიცავენ ფეოდალურ საქართველოში მოქმედი ჩვეულებითი სამართლის მხოლოდ ერთ ნაწილს. ამასთან სჯული წარმოადგენს ქალაქის ჩვეულებითი სამართლის კრებულს, მოქალაქეთა ადათ-ჩვეულებების ჩანაწერს. ძეგლი შეიცავს უმთავრესად ისეთ ნორმებს, რომლებიც მიძღვნილია ქალაქის მცხოვრებთა კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისადმი. კრებულში ძირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თადად შეტანილია სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობის ამსახველი ჩვეულებები. სამართლის სხვა დარგების ნორმები, გარდა ორიოდე მუხლისა, გათვალისწინებული არაა. აქედან ჩანს, რომ მოქმედი ჩვეულებითი სამართლის მთელი რიგი ნორმები, რომლებიც აწესრიგებდნენ სამართლის სხვადასხვა დარგების იურიდიულ ურთიერთობებსა და ინსტიტუტებს, ჩვეულებით სჯულში ჩაწერილი არ არის.

სწორად მიუთითებს ავტორი, რომ ,მიუხედავად ამისა, ჩვეულებით სჯულს, როგორც მოქმედი სამართლის ნორმების კრებულს და ქართული სამართლის ისტორიის შემეცნების წყაროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სამართლის ისტორიის, კერძოდ, ქართული ჩვეულებითი სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების ისტორიის შესწავლისათვის (გვ. 6).

სარეცენზიო ნაშრომის პირველ თავში მოცემულია ადათის-როგორც სამართლის წყაროს ცნებისა და მისი დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრა, აღნიშნულია ადათობრივი სამართლის უმნიშვნელოვანესი კრებულები, მითითებულია ადათისა და საკანონმდებლო ძეგლების კავშირურთიერთობაზე ძველ დროსა და შუა საუკუნეებში. აქვე მოცემულია ქართული ჩვეულებითი სამართლისა და კანონმდებლობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი შემდეგ ადათობრივი სამართლის, როგორც სამართლის წყაროს თვალსაზრისით მიმოიხილავს ძველი ეგვიპტის, ბაბილონის, ასირიის, ხეთების, ებრაელების, ბერძნების, რომაელების, ძველი გერმანელების, ფრანგების, რუსების კანონმდებლობას.

ავტორი განსაკუთრებით ჩერდება ჩვეულებით სამართალზე, როგორც ქართული კანონმდებლობის წყაროზე (გვ. 26-33). არაბული წარმოშობის ტერმინი „ადათი“ ქართულში გვიან შემოდის. მის ნაცვლად ძველ ქართულში რამდენიმე ტერმინი იხმარებოდა, რომელთა შორის ძირითადს „წესი“ წარმოადგენდა. საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონა“-ში განმარტავს: „წესი უწოდიან ჩვეულებასა განმტკიცებულსა და მდგომარესა. ვინაი ცა ჩვეულება არა ოდენ მისი სახელი არს, რომელსა ჟამ ქმნითა ჩვეულებად შეჰქონდეს, არამედ ოდესმე მისცა რომელი ბუნებით ოდეს რაიმე ყოს წესგანმტკიცებული“. უფრო ადრე შ. რუსთაველიც წესს ჩვეულების მნიშვნელობით ხმარობს. „ვეფხის ტყაოსნის“ მიხედვით ფატმანი ეუბნება ავთანდილს: „ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნავროზობასა არცავინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა“ (1121). რუის-ურბნისის 1103 წლის ხალეკლესიო კრების „ძეგლის წერა“ და ბეჭა-ანდატურუხუცესის და გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნიც ჩვეულებას წესს უწოდებენ.

ჩვეულებითი სამართალი იყო ქართული ფეოდალური კანონმდებლობის ერთერთი მნიშვნელოვანი წყარო. სწორია ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩვეულებითი სამართალი უხვად არის მოცემული ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებში. ბაგრატ კურაპალატის, ბექასა და აღბუღას, გიორგი ბრწყინვალის და ვახტანგის სჯულის ძირითად წყაროს ადათობრივი სამართალი წარმოადგენდა (გვ. 30-33).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვეულებითი სჯულის ტექსტს ავტორმა დაურთო ისტორიულ-იურიდიული კომენტარები, სადაც მოცემულია მასალები ჩვეულებითი სჯულის წყაროებისათვის. კომენტარები შედგენილია ძეგლის ცალკეული თავების მიხედვით. კომენტარების მიზანია დაეხმაროს მკითხველს ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტების შესწავლისა და გაგების საქმეში. ავტორი საინტერესოდ ხსნის ჩვეულებითი სჯულის ინსტიტუტებს, იძლევა ძეგლის საიმედო გასაღებს. იგივე ითქმის ლექსიკონის (გვ. 157-178) შესახებაც.

დასასრულ ნაშრომისათვის დართულ საარქივო მასალებიდან (181-198) ირკვევა ძეგლის შედგენის ისტორია. ჩვეულებითი სჯულის შემკრები კომიტეტის წევრები ყოფილან თავადები: ფალავანდიშვილი, ანდრონიკაშვილი, ბებუთაშვილი, ორბელიანი და სხვ.

ასეთია პროფ. ი. დოლიძის შრომის მოკლე შინაარსი.

სარეცენზიო ნაშრომის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც.

ნაშრომის მე-7 გვერდზე ავტორს მოყავს ციტატი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ერთობლივი ნაშრომიდან („გერმანული იდეოლოგია“) და მას მხოლოდ კ. მარქსს მიაწერს.

გვ. 143-154--ზე ავტორი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ საქვრივო გადასახდელი პრინციპში შეეძლოთ მიეღოთ არა მარტო ბატონებს, არამედ ქვრივის და მისი ქმრის ნათესავებსაც. არსებობს საქვრივოს გამორთმევის წიგნი, რომელიც 1737-1757 წლებს უნდა ეკუთვნოდეს. ამ საბუთში ნათქვამია: „ესე წიგნი მოგეცი მე, გიორგიმ თურქისტანის — შვილმა, შენ, ჩინჩალაძეს გიორგის, და შვილსა შენსა ნიკოლოზს: — ასე რომ ჩემი ბიძაშვილი გიუას ნაცოლარი ქვრივი მაინდომე შესართავათ და მეც მოვინდომე და ჩემის რაზითა მოგათხოვე და საქვრიოც ვამოგართვი, რაც ჩემი გული შეგჯერდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, და შენთან არას კაცს ხელი არა ქონდეს მღთის მეტს".[1]

საბუთის სქოლიოში აკად. ნ. ბერძენიშვილი საეჭვოდ მიიჩნევს წაკითხვას „ჩემი ბიძაშვილი". იგი ფიქრობს, რომ „ჩემი ბიძაშვილის" ნაცვლად საბუთში ალბათ იყო „შენი ბიძაშვილი"-ო. თუ ეს ასე იყო, მაშინ გამოდის რომ საქვრივოს იღებს ყმა ჩინჩალაძის ბატონი თურქისტანიშვილი და არა ქვრივის ქმრის ნათესავი. მაგრამ აქ წარმოიშობა მეორე წინააღმდეგობა. დართავდა თუ არა ქრისტიანული ეკლესია ნებას შეერთოთ ბიძაშვილის ქვრივი? მათ შორის ხომ მოყვრობის საფუძველზე მეოთხე ხარისხის ნათესაობა იყო. ცნობილია, რომ ქრისტიანული ეკლესია ასეთ ქორწინებას არ დაუშვებდა. გარდა ამისა, საქართველოში ნაკლებადაა საგულვებელი ბიძაშვილის ქვრივის შერთვა. მაშასადამე, პროფ. ი. დოლიძეს მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა ხსენებული დოკუმენტის გამოყენების დროს.

გვ. 154-ზე პროფ. ი. დოლიძე შეუსაბამოდ მიიჩნევს მოსაზრებას ქართულ საქვრივოსა და სალიკური სამართლის „რეიპუს"-ს შორის ანალოგიის შესახებ.[2] პროფ. ი. დოლიძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „რეიპუსის" მიღების წესი... წარმოადგენს სალიელი ფრანკების ძველ საგვარეულო ტომობრივ ჩვეულებას და არავითარ შემთხვევაში არ განეკუთვნება ბატონყმური ურთიერთობის ინსტიტუტს" (გვ. 154).

ცნობილია, რომ სისხლის დაურვების ჩვეულებაც, როგორც ამას ავტორიც აღიარებს (გვ. 8) საგვარეულო წყობილების ადათ-ჩვეულებებიდან მიმდინარეობს, მაგრამ არსებობდა საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის მთელ მანძილზე. რატომ არ შეიძლება, რომ გვაროვნული წყობილებიდან მიმდინარე სხვა ჩვეულებასაც მიეძებნოს ანალოგია საქართველოში?

ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერება იცნობს ხევის მასალების მიხედვით ქვრივის დაძახებით შერთვას, რასაც XVIII საუკუნის საკანონმდებლო ძეგლი — ბარისა და მთიურთა ადგილთა განჩინებაც ახსენებს (მუხლი დ.). ხსენებულ საკანონმდებლო ძეგლში კანონმდებელი ამბობს: „ქ. თუ რომელიც ქვრივს დაიძახებს კაცი ვინმე, იმასაც ჩვენს მუხანათობასავით მოვიკითხავთ. დღეის იქით დაძახებით ქვრივის შერთვა აღარ იქნება არას კაცისაგან".

ს. მაკალათიას აღნიშნული აქვს, რომ თუ ძველად ხევში ვინმეს ქვრივი ქალი მოეწონებოდა, მაშინ მთხოვარი სახლის ბანზე ავიდოდა, თოფს გაისროდა და დაიძახებდა, რომ ესა და ეს ქვრივი (დაასახელებდა) მე მომწონს და არავინ შეირთოსო. „მაგრამ ქვრივის შერთვისათვის საჭირო იყო „საქვრივოდ მისვლა", პირველი ქმრის ოჯახში და მათი შემორიგება". ქვრივის პირველი ქმრის ნათესავების შემოსარიგებლად იხარჯებოდა ახალი ქმრის მიერ მოტანილი ურვათის ნახევარი. ამის შემდეგ „პირველი ქმრის ოჯახში გაიმართებოდა სადილი, სადაც მიცვალებულს შენდობას ეტყოდნენ და უფროსი კაცების შუამავლობით აქ შერიგებაც ხდებოდა. **ვინც ამ საქვრივოს არ გადაიხდიდა**, მეორე ქმარს პირველი ქმრის ნათესავები საცემრად დასდევდნენ".[3] მაშასადამე, როგორც მოტანილი ტექსტებიდან ჩანს, საქვრივოს ქვრივის ქმრის ნათესავებიც ღებულობდნენ საქართველოს მთიანეთის სინამდვილეშიც და პროფ. ი. დოლიძესაც მეტი ანგარიში რომ გაეწია ეთნოგრაფიული მასალებისათვის მაშინ, გვეგონია, აზრს შეიცვლიდა „რეიპუსის" და საქვრივოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით.

ასეთია ჩვენი შენიშვნები პროფ. ი. დოლიძის ნაშრომის შესახებ. იგი სასარგებლო და საჭირო მეცნიერული გამოკვლევაა.

გ. ნადარეიშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

---

[1] **დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. წ. 1, აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1950, გვ. 34.**

[2] **იხ. ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი" № 6. 1958 წ. გვ. 92.**

[3] **იხ. ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, გვ. 165—166.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარბიტრაჟის ამბები

1. სარჩელი ხელშეკრულების დადების ვადის გაშვებისათვის ჯარიმის შეფარდების შესახებ, განცხადებული დამოუკიდებლად, იხილება საერთო ქვემდებარეობით მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით.

ერთ-ერთმა მიმწოდებელმა აღძრა სარჩელი ქარხანა „გორხელსაწყოსაგან“ (მყიდველი) სახელშეკრულებო სპეციფიკაციის წარდგენის ვადის გაშვებისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე. დაისვა საკითხი ამ დავის ქვემდებარეობის შესახებ, ვინაიდან სახელმწიფო არბიტრაჟის 1955 წ. 26 დეკემბრის № ი-I-56 ინსტრუქციის თანახმად, მოთხოვნა ხელშეკრულების დადებისაგან თავის არიდებისათვის ჯარიმის შესახებ განხილული უნდა იქნეს სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ მიმწოდებლის ადგილმდებარეობის მიხედვით, ისევე როგორც მოთხოვნა ხელშეკრულების დადების იძულების შესახებ.

1961 წ. 6 ნოემბრის № ი-7-54 წერილით სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა განმარტა, რომ თუ სარჩელი განცხადებულია მხოლოდ ჯარიმის გადახდევინებაზე თვით ხელშეკრულების დადების საკითხისაგან დამოუკიდებლად, ასეთი კი უნდა განიხილოს არბიტრაჟმა მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ამ განმარტების საფუძველზე მიმწოდებელის სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ.

2. სარჩელი საქონლის დანაკლისზე შეიძლება აღძრული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ საქონლის ღირებულება განაღდებულია მყიდველის მიერ.

საერთო სამშენებლო ტრესტის № 4 მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორამ აღძრა სარჩელი ახალციხის ხე-ტყის კომბინატისაგან მიღებული ხე-ტყის დანაკლისის ღირებულებაზე.

სასარჩელო მასალების შემოწმების პროცესში, მაძიებელს მოეთხოვა მიმწოდებლის ანგარიში სადავო საქონელზე და მისი განაღდების მტკიცება. მოსარჩელის პასუხიდან გამოირკვა, რომ მიმწოდებელს მისთვის ანგარიში არ წარუდგენია, მიწოდებული ხე-ტყის ღირებულება არ განაღდებულა და მაშასადამე საქონლის მიმღებს სარჩელის აღძვრის დღისათვის არავითარი ზარალი ამ გზავნილიდან არ ჰქონია. საერთო სამშენებლო № 4 მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორის ძიება არბიტრაჟმა განუხილველად დატოვა, ვინაიდან ასეთ პირობებში მას ძიების აღძვრისათვის საფუძველი არ ჰქონდა.

3. სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებით კუთვნილი თანხების გადახდევინება შეიძლება, მხოლოდ ამ ბრძანების მოქმედების ვადის ფარგლებში და იმ ორგანიზაციის მიმართ, რომელიც ბრძანებაში არის დასახელებული, როგორც გადამხდელი.

გორის რაისამომხმარებლო კავშირის დამზადების კანტორამ მიაწოდა „მოსგორპლოდოვოშჩის“ სარეზერვო ბაზას ვაშლი, რომლის ღირებულების განაღდებაზე წარუდგინა ანგარიში ინკასოზე, ბანკში.

სარეზერვო ბაზამ ეს ანგარიში გაანაღდა ნაწილობრივად 6815 მან. 82 კაპ. ნაკლები თანხით, იმ მოტივით, რომ ამ თანხაზე მას აქვს სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანება კონსერვტრესტის გორის დამამზადებელ კანტორისაგან გადახდევინებაზე, ხოლო ვინაიდან დამზადების ფუნქციები ამჟამად გადაეცა სამომხმარებლო კოოპერაციას ის სთვლიდა გორის რაისამომხმარებლო კავშირის დამზადების კანტორას ყოფ. საქკონსერვტრესტის გორის დ/კანტორის უფლებრივ მონაცვლეთ. გორის რაისამომხმარებლო კავშირის დამზადების კანტორამ აღძრა სახელმწიფო არბიტრაჟში სარჩელი „მოსგორპლოდოვოშჩის“ სარეზერვო ბაზის და საქკონსერვტრესტის, როგორც თანამოპასუხის, მიმართ.

არბიტრმა იცნო რა, რომ საქკონსერვტრესტის და ცეკავშირის ერთობლივი ბრძანების თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახმად, გადაცემული დამზადების კანტორების დებიტორული დავალიანების ანაზღაურება დაევალა საქკონსერვტრესტს, დააკმაყოფილა სარჩელი ამ უკანასკნელის მიმართ.

საქკონსერვტრესტის ზედამხედველობის წესით შემოტანილი საჩივრის განხილვის დროს გამოირკვა, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის პრძანება, რომლის დასაფარავად „მოსგორპლოდოვოშჩის“ სარეზერვო ბაზამ დაუკავა გორის რაი-სამომხმარებლო კავშირის დ/კანტორას სასარჩელო თანხა, არბიტრის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის და სარჩელის აღძვრის მომენტისათვის ვადა გადაცილებული იყო და გარდა ამისა გაცემული იყო საქკონსერვტრესტის გორის დამამზადებელ კანტორის სახელზე და არა გორის რაისამომხმარებლო კავშირის დ/კანტორის ე. ი. სულ სხვა, დამოუკიდებელი ორგანიზაციის სახელზე.

გამომდინარე აქედან, მთავარმა არბიტრმა იცნო რა სარეზერვო ბაზის მოქმედება აშკარად არა სწორად, შეცვალა არბიტრის გადაწყვეტილება და გორის რაისამომხმარებლო კავშირის დ/კანტორის ძიება დაკმაყოფილა „მოსგორპლოდოვოშჩის“ სარეზერვო ბაზის ხარჯზე.

4. ნაკრებ ვაგონში მოსული ტვირთის დანაკლისისათვის პასუხისმგებელია რკინიგზა, თუ ტვირთი გაცემულია რკინიგზის სადგურის საწყობიდან

სახელმწიფო სტატისტიკურ გამომცემლობის სომხეთის განყოფილებამ აღძრა სარჩელი ინგურის ცელულოზის და ქაღალდის კომბინატისაგან 185 მან. 90 კ. გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა ორი რულონი საწერი ქაღალდის დანაკლისის ღირებულებას.

საქმის გარჩევის პროცესში გამოირკვა, რომ სადავო ქაღალდი გამოგზავნილი იყო ინგურის კომბინატის მიერ რკინიგზით, ნაკრები ვაგონით, რომელიც გარდა მოსარჩელის ტვირთისა, დატვირთული იყო ერევნის სასკოლო ხელსაწყოების ფაბრიკის კუთვნილი ქაღალდით.

ტვირთის გადასაზიდათ მიღების დროს, რკინიგზის სადგურის მტვირთავმა აღნიშნა გადასაზიდათ მიღებული ქაღალდის რულონების რაოდენობა. ვაგონი განტვირთული იყო რკინიგზის მიერ. სახელმწიფო სტატისტიკური გამომცემლობის სომხეთის განყოფილების სარჩელი აცილებული იქნა იმის საფუძველზე, რომ მოცემულ პირობებში არ იყო გამორიცხული რკინიგზის ბრალი ორი რულონი ქაღალდის დანაკლისისათვის ვინაიდან შესაძლებელი იყო, რომ ასეთი გაეცა ტვირთის მეორე მიმღებს. რადგანაც მოსარჩელემ თავის დროზე არ ჩაბა რკინიგზის სამმართველო საქმეში მოპასუხედ, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გაშვებული იყო, სახელმწიფო არბიტრმა უარი უთხრა მოსარჩელეს მის შუამდგომლობაზე რკინიგზის თანამოპასუხედ ჩაბმის შესახებ და სარჩელი აიცილა მთლიანად.

5. რკინიგზის მიმართ პრეტენზიის წარდგენის ვადა იწყება ტვირთის გაცემის დღიდან; რომელიც ნაჩვენებია დანიშნულების სადგურის შტამპით დასმულ ზედნადების პირის მარცხენა ქვედა კუთხეში.

სომხეთის ლითონნაწარმის გასაღება-მომარაგების სამმართველო ეძიებდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და ტაგანროგის მეტალურგიულ ქარხნისაგან 1254 მან. 80 კაპ. რაც შეადგენდა ტაგანროგის მეტალურგიულ ქარხნის მიერ მოწოდებულ გზის მილების დანაკლისის ღირებულებას.

აღნიშნული საქმე არბიტრმა კერძო დადგენილებით მოსპო წარმოებით იმის გამო, რომ სადავო ტვირთი მიღებული იყო რკინიგზიდან 1960 წ. 15 ივლისს, ხოლო პრეტენზია წარედგინა რკინიგზას 1961 წ. 26 იანვარს ე. ი. ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ. მოსარჩელე არ დაეთანხმა არბიტრის ამ კერძო დადგენილებას და შემოიტანა ზედწესით საჩივარი, რომელშიც უთითებდა, რომ არბიტრი არა სწორად ანგარიშობს ტვირთის გაცემის თარიღს. მან იხელმძღვანელა თარიღით,როდესაც მოხდენილი იყო ტვირთის გამოსყიდვა, ხოლო ფაქტიურად ტვირთი იყო გაცემული 1960 წ. 16 სექტემბერს, იმ დღეს, როდესაც შესდგა კომმერციული აქტი. ზეწესით საჩივარი აცილებული იქნა, ხოლო მოსარჩელეს ეცნობა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1961 წ. 3 იანვრის (№ 0-2-4 განმარტების თანახმად, რკინიგზის მიმართ პრეტენზიის წარდგენის ვადა იწყება ტვირთის გაცემის დღიდან, რომელიც ნაჩვენებია დანიშნულების სადგურის შტამპით რომელიც დასმულია ზედნადების პირის მარცხენა ქვედა კუთხეში. ამის შესაბამისად არბიტრმა სწორად იცნო დარღვეულად საპრეტენზიო ვადა ე. ი. სწორად მოსპო საქმე წარმოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. როდესაც დავა გამომდინარეობს ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, დავის გადაწყვეტის დროს არბიტრაჟი ხელმძღვანელობს რკინიგზის წესდებით და არა მხარეების ხელშეკრულების პირობებით, თუნდაც საქმეში თანამოპასუხედ ჩაბმულია საქონლის გამომგზავნიც.

ერთ-ერთმა ორგანიზაციამ აღძრა რამოდენიმე სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და საქართველოს შაქრის კომბინატისაგან შაქრის ფხვნილის დანაკლისის ღირებულებაზე საერთო თანხით 1244 მ 41 კაპ. სარჩელის დასამტკიცებლად წარმოდგენილი იყო კომერციული აქტები შედგენილი რკინიგზის მიერ ვაგონების დაცლის დროს.

ვინაიდან ვაგონები მოსული იყო საღ მდგომარეობაში, გამომგზავნის საღი პლომბებით, ხოლო დანაკლისი და შაქრის ფხვნილის არა სათანადო შეფუთვა დადგენილი იყო ვაგონების შიგნით, პასუხისმგებლობა აღმოჩენილ დანაკლისისათვის არბიტრმა დააკისრა საქონლის გამომგზავნს — საქართველოს შაქრის კომბინატს.

ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა არბიტრის ყველა გადაწყვეტილებები და სხვა მოტივებს შორის უთითებდა იმას, რომ შაქრის დანაკლისის დადგენის დროს მოსარჩელემ არ გამოიძახა მისი წარმომადგენელი აქტების შედგენაში მონაწილეობის მიღებისათვის.

საქართველოს შაქრის კომბინატის საჩივრები აცილებული იქნა. მომჩივანს მიეთითა მასზედ, რომ რკინიგზის წესდება არ ითვალისწინებს კომერციული აქტის შედგენის დროს საქონლის გამომგზავნის გამოძახების პირობას და იმის გამო, რომ კომერციული აქტები შედგენილია მისი წარმომადგენლის გარეშე არ უკარგავთ მათ მტკიცების ძალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1961 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

მოწინავე და სარედაქციო წერილები

გავაძლიეროთ ბრძოლა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ № 4 გვ. 3-8.

დავეუფლოთ მუშაობის ლენინურ სტილს № 2 გვ. 3-5.

კომუნიზმის მშენებელთა ისტორიული ყრილობა № 5, გვ. 3-10.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა, № 5, გვ. 10-12.

სოციალისტური კანონიერებისათვის ზრუნვის ახალი გამოხატულება № 1, გვ. 3-7.

უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი საბჭოთა კანონმდებლობის განვითარებაში № 6, გვ. 3-13.

სტატიები

ვ. აბაშმაძე — სკკპ XXII ყრილობა და სოციალისტური სახელმწიფოს საკითხები № 6, გვ. 13-22.

ა. ბაჯელიძე — საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები და მათი როლი საკოლმეურნეო საკუთრების განზოგადების დონის ამაღლებაში № 5, გვ. 23-31.

ზ. კვაჭაძე — სახელოვანი გზა № 3, გვ. 3-10.

ვ. მერკვილაძე — დიადი ეპოქალური დოკუმენტი № 5, გვ. 12-23.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ისტორია, საერთაშორისო სამართალი

უ. ბახტაძე — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის უფლებრივი მდგომარეობა № 1, გვ. 11-20.

გ. ინწკრიველი — სამართლის სისტემა № 3, გვ. 17-27.

ა. კარანაძე — სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების ძირითადი პრინციპები № 3, გვ. 21-37.

ნ. კანდელაკი — ძველი ქართული სამოსამართლო მეევრმეტყველება № 1, გვ. 72-81.

მ. კეკელია — სასამართლო ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში № 4, გვ. 29-36.

ს. მამულია — მშვიდობიანი თანაარსებობა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია № 2, გვ. 5-13.

ვ. სიდამონიძე — XVIII საუკუნის განაჩენი № 6, გვ. 68-71.

ი. ცინცაძე — მძევლის საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში № 4, გვ. 66-76.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინალისტიკა

გ. ვაჩეიშვილი — ახალი შესაძლებლობანი სასამართლო ექსპერტიზის დარგში № 4, გვ. 60-62.

შ. ესიტაშვილი — სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება დანაშაულის გახსნის საუკეთესო პირობაა № 4, გვ. 63-66.

გ. ლეჟავა — სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში დამცველის მონაწილეობის ერთი საკითხის გამო № 6, გვ. 36-30.

მ. ლომიძე — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შესახებ № 2, გვ. 14-26.

ო. მგელაძე — ხელმოწერის კრიმინალისტური ექსპერტიზის შეფასების ერთი საკითხისათვის № 6, გვ. 39-42.

ვ. მაისურაძე — საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ № 3, გვ. 27-31.

გ. მოსესიანი — გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე № 4, გვ. 21-29.

გ. ნადირაძე — მოკვლევა და წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით № 5, გვ. 43-51.

მ. ნანიკაშვილი — განაჩენის მოტივირება და მისი მნიშვნელობა № 5, გვ. 51-56.

გ. ტყეშელიაძე — დანაშაულის განმეორების საკითხები ახალ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში № 4, გვ. 15-21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ფალიაშვილი — სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი და აუცილებლობა № 4, გვ. 8-15.

ა. ფალიაშვილი — სასამართლო ექსპერტიზის საკითხები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით № 6, გვ. 29-36.

ბ. ფურცხვანიძე — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი № 2, გვ. 26-34.

ბ. ფურცხვანიძე — დანაშაული პიროვნების სიცოცხლის წინააღმდეგ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით № 5, გვ. 31-43.

თ. წერეთელი — გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის საკითხისათვის № 2, გვ. 34-41.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი, არბიტრაჟი

თ. ლილუაშვილი — იურიდიული ინტერესი და მისი მნიშვნელობა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში № 6, გვ. 22-29.

შ. ჩიკვაშვილი — მიწოდების ხელშეკრულების ზოგიერთი პირობის სწორი კვალიფიკაციისათვის № 1, გვ. 20-26.

ლ. ჩორგოლაშვილი — ხილბოსტნეულის კონსერვების მიწოდების განსაკუთრებული პირობების მე-9 პუნქტის შეფასების საკითხისათვის № 6, გვ. 42-44.

საბჭოების მუშაობის გამოცდილებიდან

მ. ბიბილაშვილი — გავაუმჯობესოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობა № 2, გვ. 41-47.

ნ. ერქომაიშვილი — საბჭოთა კონტროლის კომისია სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების სადარაჯოზე № 2, გვ. 47-53.

ლ. ჯღარკავა — მასებთან კავშირის განმტკიცების გზით № 5 გვ. 56-61.

თარიღებთან დაკავშირებით

გ. ნადარეიშვილი — სისხლის აღების ჩვეულება და ჰუმანიზმი ვაჟა-ფშაველას „სტუმარმასპინძელში" № 4, გვ. 76-79.

გ. ნეიძე — ქალთა უფლებები საბჭოთა კავშირში № 2, გვ. 53-57.

ა. პივაზიანი — სახალხო სასამართლოების შექმნა სომხეთში № 3, გვ. 10-17.

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

ბ. ბუბაშვილი — გარდავქმნათ საალსრულებო მოქმედება საალიმენტო საქმეებზე № 2, გვ. 63-64.

ა. ვაიტაძე — უზრუნველყოთ უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვა № 2, გვ. 61-63.

ი. გოგაშვილი — ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესების 52-ე მუხლის სწორად გაგებისათვის № 1, გვ. 61-64.

მ. გუგუჩია — დანაშაულობათა წინააღმდეგ საზოგადოებრიობისა და მართლმსაჯულების ორგანოების ერთობლივი მუშაობის გამოცდილებიდან № 1, გვ. 57-61.

გ. დევდარიანი — მიწათსარგებლობის უფლების თაობაზე წარმოშობილი დავების უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხისათვის სასამართლო პრაქტიკაში № 4, გვ. 48-51.

ლ. ზაიჩიკი — საჭიროა სათანადო დასკვნების გამოტანა № 4, გვ. 56-60.

მ. თოფურიძე — თვალისახვევა, წამატება, სახელმწიფოს მოტყუება უმძიმესი დანაშაულია № 2, გვ. 57-61.

ა. იობიძე — მკაცრად დავსაჯოთ რეციდივისტები და განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირები № 1, გვ. 54-57.

ა. პაიჭაძე — საშიში დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ მეტი სიმკაცრეა საჭირო № 1, გვ. 67-71.

ს. რასტი — ამხანაგური სასამართლოები დიდი ძალაა № 5, გვ. 63-65.

ვ. სიმონიშვილი — შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ № 1, გვ. 64-67.

გ. ცირამუა — სასამართლო-საპროკურორო პრაქტიკა აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ № 4, გვ. 51-56.

გ. ცქიტიშვილი — ნოტარიატის მუშაობის ზოგიერთი საკითხი № 3, გვ. 53-56.

წინადადებები ახალი კანონმდებლობისათვის

ნ. ლომსაძე — მიწისა და საკოლმეურნეო კანონმდებლობის კოდიფიკაციის საკითხისათვის № 1, გვ. 26-33.

საზოგადოებრიობა ებრძვის დანაშაულს

ე. ტაკიძე — საზოგადოებრიობის როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში № 1, გვ. 33-39.

ე. ხითარიშვილი — თავდებით გადაცემის ზოგიერთი საკითხი № 1, გვ. 39-43.

ბრძანებულება მოქმედებაში № 1, გვ. 47-49.

დავრაზმოთ მთელი საზოგადოებრიობა დანაშაულის აღსაკვეთად № 1, გვ. 43-47.

საქალაქო კომიტეტის ბიურო იხილავს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას № 1, გვ. 49-51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მსაჯულთა დასახმარებლად

ა. მახარაძე — სახალხო სასამართლოების სისტემა და მსაჯულთა უფლება-მოვალეობანი № 4, გვ. 41-45.

ე. ტაკიძე — მართლმსაჯულების განხორციელება ახალი ამოცანების დონეზე № 4, 36-41.

ადვოკატურის შესახებ

შ. დანელია — ადვოკატთა დაცვითი სიტყვის შესახებ № 3, გვ. 58-61.

ვ. ჯუღელი — ადვოკატთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის საკითხისათვის № 3, გვ. 56-58.

იურიდიულ კონსულტაციებში ადვოკატთა დატვირთვისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ნარკვევი, ფელეტონი

ზ. მესენგისერი — ორსახიანი იანუსი № 2, გვ. 65-67.

ზ. მესენგისერი — მის გულში კვლავ გაზაფხულია № 6, გვ. 44-51.

ს. პრაგა — „სოპი“ № 4, გვ. 79-90, № 5, გვ. 81-87, № 6, გვ. 51-68.

სხვადასხვა

ზ. მესენგისერი — სასამართლო რეპორტიორის ჩანაწერები № 5, გვ. 77-81.

ს. ჯორბენაძე — სრულად გამოვიყენოთ ქართული ლექსიკის ულევი საუნჯე № 5, გვ. 65-77.

ოფიციალური მასალა

დებულება „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ № 2, გვ. 67-72.

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგები № 1, გვ. 7-11.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 31 მაისის დადგენილება № 1, № 4, გვ. 45-48.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 29 ნოემბრის დადგენილება № 7, № 1, გვ. 51-52.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 2 დეკემბრის დადგენილება № 8, № 1, გვ. 52-54.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის დადგენილება № 1, № 3, გვ. 37-42.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის დადგენილება № 2 № 3, გვ 42-50.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის დადგენილება № 3, № 3, გვ. 50-53.

ოფიციალური მასალა № 3, გვ. 61-70, № 6, გვ. 71-81.

არბიტრაჟის პრაქტიკა № 2, გვ. 86-89, № 3, გვ. 91-94.

ბიბლიოგრაფია № 2, გვ. 94-96.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში № 2, გვ. 72-73.

ინფორმაცია № 1, გვ. 81-88, № 2, გვ. 73-81, № 3, გვ. 71-82, № 4, გვ. 90-93, № 5, გვ. 87-93.

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას № 3, გვ. 87-90.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია № 1, გვ. 88-93, № 2, გვ. 81-86, № 3, გვ. 82-87, № 4, გვ. 93-96, № 6, გვ. 81-85.

პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე № 3, გვ. 90.91.

სასამართლო პრაქტიკა №1, გვ. 93-96, № 2, გვ. 89-94, № 3, გვ. 94-96, № 5, გვ. 93-96.

წერილები რედაქციას № 3, გვ. 70-71.

ფასი 50 კაპ.

Б 2/149

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР